

ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
შურნალი

№12 (66) დეკემბერი, 2018 წელი ფასი 2 ლარი

ნომრის ავტორები

რეზან ზეიუძე

1970
2018

& ალექსანდრე წიგნნიკი

ჰოეზია

ქეთევან ნათანაძე
ელენე კვიციანი
ზურაბ ლომუა

კრიტიკა

დავით ჩინლაძე
ვალენტინ ჰოეზიაშვილი

ახალი თარგმანები



ალფრედ დე მიუსე
დიმიტრი გრიგორიევი

პროზა

ლუკა გონუა

ლიტერატურული კალენდარი

ქეთევან კოკოშავილი – გიორგი აპოლინაროვი
ამბროსი ბრიშკაშვილი – ზვიგნევი პერკინოვი



ყველაფერი ჩვენს წარმოებში



- სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისაღობები;
- დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
- ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
- პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
- ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
- ნებისმიერი სიჩქარის ყუთები;
- ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
- ყველა სიჩქარის ვეფები;
- ეტიკეტები და სხვა თვითნებანი
- პროდუქტები; ბილდები;
- აფიშები, ბანერები, ვიტრინების
- და ავტომობილების გაფორმება;
- საათების ბრენდინგა;
- ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
- ნატურალურ ტილოზე;
- მლახტივერი ბარათებზე ბეჭდვა;
- მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ქუთათელასის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com



ქართული ბავშვის საბავშვო
 ლიტერატურისა და კვლავი წიგნის საინისტროს
 გამომცემლობა

ნომრის ავტორები

ლევან ბრეგვაძე

ელისო მებრეპელი - ლევან ბრეგვაძის „ძალიან დიდი სიყვარული“ - 3
ლევან ბრეგვაძე - გული - ტელესკოპი - 10

ალეხანდრა პიზარნიკი

ბიოგრაფია (მოამზადა ირაკლი მენტეშაშვილმა) - 15
ალეხანდრა პიზარნიკი - ლექსები (ესპანურიდან თარგმნეს
ირაკლი მენტეშაშვილმა და შოთა იათაშვილმა) - 17
ალეხანდრა პიზარნიკი - ლექსები კრებულიდან „შრომები და ღამეები“
(ესპანურიდან თარგმნა ირაკლი ყოლბაიამ) - 19
რამდენიმე გასაღები ალეხანდრა პიზარნიკისათვის (ინტერვიუ)
(ესპანურიდან თარგმნა ირაკლი ყოლბაიამ) - 21
ალეხანდრა პიზარნიკი - სარკის ბილიკები (ესპანურიდან თარგმნა
ირაკლი ყოლბაიამ) - 23
ალეხანდრა პიზარნიკი - ჩანაწერები (ესპანურიდან თარგმნა
ირაკლი ყოლბაიამ) - 24

პოეზია

ქეთევან ნათელაძე - 25
ელენე კვიციანი - 29
ზურაბ ლომჯე - 31

პროზა

ლუკა გომეზ - აკრძალულია! - 34





პროექტის ავტორი
ვაჟა ნონაოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაგვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოძალაგვილი

დიზაინი და დეკორაცია:
ნინა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
ბიკა ექვთიშვილი
დათო ტურაშვილი
ვაჟა შათირიშვილი
დავით ჩინლაძე
ბიკა ხაჭავაძე

ნომერზე მუშაობდნენ:
ელინო მისტრევილი
ლევან ბრეგვაძე
ირაკლი მეთევაშვილი
ირაკლი ყოლაგია
ქეთევან ნათელაძე
ელენე კვიციანი
ზურაბ ლომიძე
ლუკა გოშა
დავით ჩინლაძე
ქეთევან კოპოლაშვილი
ანდრეას ბრიჯიკაშვილი
დინა ბიძელაძე
ლელა კოძალაგვილი.

4

5

6

პარიტიკა

დავით ჩინლაძე – გუშინ სევდებმა
საბურთალო გადაირბინა... – 44

ლიტერატურული კალენდარი

ქეთევან კოპოლაშვილი – მე ვრჩები დრო კი გადის – 53
პერბერტმა ვერ მიიღო ახალი პოლონეთი
(მოამზადა ამბროსი გრიშუკაშვილმა) – 58

ახალი თარგმანები

ალფრედ ღი მისუა – მარიანას ახირებები
(ფრანგულიდან თარგმნა დინა მიქელაძემ) – 63
დინიტრი ბრიგორიძე – სიცოცხლის ყველა ფერი
(რუსულიდან თარგმნა ლელა კოძალაგვილმა) – 77

ბამოცემლოვა – „საუნჯე“
მის: ალ. საზაბიძის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: ბამოცემლოვა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunje>
www.saungeo.ge

1


ნომრის ავტორები

ლევან ბრეგვაძის „ქაღიან დიდი სიყვარული“

ელისო მეტრეველი

„ეს წიგნი მოგვითხრობს... მოთხრობებზე, ნოველებზე, რომანებზე, ლექსებზე, მოგვითხრობს მათი ავტორების მწერლურ ოსტატობაზე, მოგვითხრობს მხატვრული ტექსტების, მხატვრული შემოქმედების თავისებურებათა შესახებ. დიხაც, მოთხრობაზეც შეიძლება დაინეროს მოთხრობა, რომანზეც, ლექსზეც, ესეისტურ თხზულებაზეც...“ – ეს წიგნი „მოთხრობები ლიტერატურაზე“ და ლევან ბრეგვაძის ეს სიტყვები, სულ თუ არა, ნაწილობრივ მაინც მის სხვა წიგნებსაც ეხება.

„ლიტერატურული [ცამო]ძიებანი“, „თარგმანი და ორიგინალი“, „მარჯნალიები“ და ლევან ბრეგვაძის სხვა ტექსტებიც უფრო კრიტიკის, ამ „ძნელი და სახათბალო საქმიანობის“, საზღვრების გაფართოება, არსის და მნიშვნელობის გამარჯვებულფორმება, დროის დამახსოვრება და კიდევ – სიყვარული, ლიტერატურის დიდი სიყვარული, რომელიც ავტორს ხელს ააღებინებს ლექსის წერაზე, ფურნალისტკაზე, თუმცა ლევან ბრეგვაძის შემთხვევაში ეს „ხელის აღება“ პირობითია. ძირითადად რედაქციებში მიუშობს და ამ მასალის (ფურნალისტური ფარგონით რომ ვთქვათ) წერის დროსაც, სულ „თავის“ წესებს მიჰყვებოდა, პროფესიონალი ფურნალისტის წესებს. რაც შეეხება პოეზიას, სატირულ-იუმორისტული ყვირის ლექსებს ახლაც წერს და ზოგჯერ ფეისბუქის ქრონიკაზეც დებს. უფრო სერიოზულად კი, ერთ-ერთ ყველაზე რთულ დროს, როგორც თვითონ ამბობს, მშველელად მოეუღინა პოეზია.



„ბარჩავის ხელოვანი“ და „თანაჯატორი“

ლევან ბრეგვაძისთვის კრიტიკა დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ლიტერატურული მოვლენა და არა მხოლოდ „ტარჩევის ხელოვნება“ და „განსჯა“, როგორც „კრიტიკის“ პირველივე მნიშვნელობა. თუმცა ხელოვნება ნამდვილად არის, ნამდვილი ხელოვნება. საერთოდ, ის ჯერ მკითხველია, მერე კი თანაავტორად იქცევა ხოლმე. მწერლები ხშირად ამბობენ, რომ დღეს თითქმის აღარ იწერება კრიტიკა, ძალიან შემცირდა ასეთი ტექსტები, რადგან ბევრი არ შეუძლია ლიტერატურის პროფესიონალურად შეფასება.



მამასთან ერთად

მწერლების აზრი კრიტიკაზე ნაკლებსაფურადღებოა. მწერალს მხოლოდ ქება აინტერესებს. და მაშინაც კი, როცა ქებით ცაბდე იყვან, თუ ისეთი ღირსებები შენიშნე მის დაწერილში, რასაც თვითონ არ მოელოდა, ბრახდება: ამან ჩემი შექმნილი ტექსტი ჩემზე უკეთ რატომ იცის! ეჭვიანობას... ჩემს მახსოვრობაში ურთადერთი მუსხრან მათეარიაინი იყო, რომელიც აღიარებდა: აქვებზე ძალიან ბევრი დაწერილა დადებითიც და უარყოფითიც. და, უნდა ითქვას, ორივეს (დადებითსაც და უარყოფითსაც) დიდი ზეგავლენა მოუხდენია (ზოგჯერ უნებურად) ჩემს შემდგომ შემოქმედებით მუშაობაზე“.

კრიტიკამ თავი უნდა დააღწიოს „მომახზურე პერსონალის“ როლს და დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულების მქონე სრულფასოვან ლიტერატურულ მოვლენად ჩამოყალიბდეს, ნოველის თვისებები შეიძინოს: მოულოდნელ დაკვირვებებსა და აღმოჩენებს უნდა შეიცავდეს და კომპოზიციურადაც ნოველასავე უნდა აიგოს. ლიტმცოდნეობა კიდევ

სხვა რამ არის – ის ალბათ ველავეც „გამოყენებით“ ვარაუდდარჩება. თუმცა ლიტმცოდნეობითი ნოველებიც გამოჩნდა უკვე. სამაგალითოდ დავასახელებ თეიმურაზ დონაშვილის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ნაშრომს იდეულღებში: ასაკზე სიტყვის – „ირმიაგლის“ – თაობაზე, რომელიც გალაკტიონის ტექსტებში გვხვდება, და კიდევ ნათია სხარულაიძის ძიებებს იმავე გალაკტიონოლოგიის სფეროში, რასაც ასევე ფილოლოგიური ნოველისტიკის სახე აქვს.

რას იტყვით კრიტიკის ძალაზე და „ძალაუფლებაზე“? – ხომ იყო დრო, როცა ის სიკვდილ-სიცოცხლის ამბებს წყვეტდა, მაგალითად, საბჭოთა კავშირში და დღესაც იყენებენ მას რეჟიმები მთელ მსოფლიოში.

ღიას, მართალი ბრძანდებით: იყო ასე საბჭოთა კავშირში და ზოგიერთ ქვეყანაში ახლაც ასეა. ორი ათას ხუთასი ხნის წინ დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონიც ფიქრობდა, რომ პოეტებს სახელმწიფოსთვის ზიანის მოტანა შეუძლიათ. ეს პოეტური სიტყვის ძლიერების აღიარებაა, რასაც დიქტატორული რეჟიმები კრიტიკული სიტყვის ძალას უპირისპირებენ. ასეთ დროს ნაწარმოების შეფასება იდეოლოგიური კრიტერიუმებით ხდება, მაშინ როდესაც მხატვრული ტექსტი უწინარეს ყოვლისა ესთეტიკური კრიტერიუმებით უნდა ფასდებოდეს, თუმცა მხატვრული ტექსტის იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად გამოყენებასაც ვერავის აუკრძალავ.

პირადად ჩემთვის უფრო საინტერესოა კრიტიკოსი, როგორც მწერლის თანავეტორი. პრინციპში, ყოველი მკითხველი მწერლის თანავეტორია, ვინაიდან კითხვის პროცესში იგი თავის ცნობიერებაში ახდენს ნაკითხულის კონკრეტულზადიარეკონსტრუქციას. კრიტიკოსი კი ის მკითხველია, რომელიც თავისთვის კი არ იტოვებს თავის აზრს ნაკითხულზე, არამედ საჯარო სივრცეში გამოაქვს ის. ეს არის მხატვრული ტექსტის აღქმა-შეფასების უადრესად ზვანისა, საჭირო და საინტერესო პროცესი, რომელიც ზოგჯერ მწვევე კამათში გადაიზრდება. ჩემსობას რამდენიმე ასეთი ლიტერატურული შეხლა-შემოხლის მომხსრენი გავხდით. ზოგიერთს გავიხსენებ: რეზო ჭყვიშვილის, ოთარ ჩუიშვილის, გურამ დორაძაშვილის, ბესიკ ხარანაულიის, ლია სტურუას მთელ შემოქმედებასა თუ ცალკეულ ნაწარმოებზე გამართულ ცხარე დისკუსიები ძალიან აცოცხლებდა ლიტერატურულ ცხოვრებას. ახლა ამის ნაკლებობაა, რაც სამწუხაროა ფრიალ!

ვინ არის კრიტიკოსი?

კრიტიკოსი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია განმარტოს და დაასაბუთოს, რატომ მოსწონს ან არ მოსწონს ესა თუ მხატვრული ნაწარმოები (რაც ცოტა ვინმეს შეუძლია), და თინაც ეს მოიმოქმედოს საჯაროდ (რაც კიდევ უფრო ცოტა ვინმეს ძალუქს). ამ დროს ხშირად გინჯეს განსახალავი ნაწარმოების ავტორისთვის არასასიამოვნო შეხედულებების გამოთქმა, რაც დიდ სულიერ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული (მე-17 საუკუნის ესპანელი ბრძენკაცი ბალტასარ გრასიანი წერს: სიმართლის თქმა ვულგარია სისხლის გამოშვებასა შვავს). მოკლედ, კრიტიკოსობა ძნელი და სახათაბალო საქმიანობა – ბავშვობაში მასზე ვერავინ იოცნებებს! და თუ ასეა, აბა რა ძალა გვადებს, რომ ეკრიტიკოსობთ?

ჩემი აზრით, კრიტიკოსობისკენ გვიბიძგებს ლიტერატურის ძალიან დიდი სიყვარული. ლიტერატურის ძალიან დიდი სიყვარული ისეთი რამ არის, ლექსების წერაზეც კი ავალენიხებს ხელს, თუ შეატყვევ, რომ ეს საქმე ისე არ გამოგდის, როგორც პოეზიას ეკადრება. ჰოდა, ასეთი კაცი სხვას შუუნდობს პოეზიის სახელის შებღალავს? მეორე მხრივ, ლიტერატურის ძალიან დიდი სიყვარული იწვევს იმას, რომ სხვისი შედეგრი შენიც ხდება, თუკი მისში ისეთ ძვირფას თვისებებს შენიშნავ, ზოგჯერ მისი ავტორისთვისაც კი მოულოდნელი რომ არის. ეს ძალიან სასიამოვნო განცდაა. ასე გამოითავისება ბევრი შედეგრი.

პროფესიით ჟურნალისტს რამ გადაგანკვეტინათ ლიტერატურის კრიტიკოსობა?
ჩემს კრიტიკოსობას საინტერესო პრეისტორია აქვს.

1973 წლის დეკემბერში ვახეთების კოსკეში შევნიშნე შინდისფერი ჟურნალი, რომელსაც დიდი შიგი ასობით ეწერა „კრიტიკა“. გადავშალე და როგორც კი დავადგიინე, რომ მწერალთა კავშირის ორგანო ყოფილა, ასეთი რამ გავიფიქრე: აი, დაუარსებიათ ახალი ჟურნალი, რომელშიც მე არასოდეს არაფერს დავებქადებოდი. პატიოსან კაცს (მით უფრო, თუ ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ასპირანტურაში სწავლობს) ასეთი აზრი რატომ უნდა დაეხადოს თავში? და დახტო ბედის ირონიას: გავიდა ზუსტად ერთი

წელი და ჩემი პირველი კრიტიკული წერილი (სწორედ იანაჭე მანის კურობები) სწორედ იმ ჟურნალში დაიბეჭდა, ხოლო 1978 წლის თებერვლიდან მუშაობაც სწორედ იმ ჟურნალში რედაქციამ დადინეცე პასუხისმგებელ მდინედაქრედაქციებში არის მოადგილეობას ნიშნავდა. მარტოვე რომ შეუცნობელი არიან გზანი განვებისანი!

პირველი წიგნი და მოთხრობები მოთხრობაზე


ლენას პირველი პირველი წიგნი, ლიტერატურული წერილების პირველი კრებული, 1982 წელს გამოვიდა, საინტერესო და მოულოდნელი სათაურით: „პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს“. მაშინ ბევრი არ ინერგებოდა პერსონაჟების „შეხვედრებში“ და „გადაკეთებზე“. დღეს მათი შეხვედრა რეკლამბრები ახმაია, შესაძლოა, უმეტესად საეჭვო ლიტერატურული ღირებულების Fan Fiction-ის უზარმაზარ ვირტუალურ სივრცეებში, თუმცა ზოგჯერ პერსონაჟები მნიშვნელოვან ტექსტებშიც ხვდებიან ერთმანეთს.

წიგნის გამოცემას არ ვქარობდი, ჯანსუღ ლენჯილიამ, გამომცემლობა „მერანის“ მთავარმა რედაქტორმა დამაძახა. სახელწოდებად ერთ-ერთი წერილის სათაურმა გატანა ილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე, მამუკა წიკლაურმა მიჩნია ეს). იმ ორნაწილიან პაკარა წერილში ერთმანეთს შევხვებდრე თომას მანისა და აკაკი ბელიაშვილის, გოთესა და ლეო ქიანჯლის პერსონაჟები. ინტერტექსტუალურ-კომპარატივისტული ესეია. ეს წიგნი ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იმით არის, რომ რამდენიმე ისეთ წერილს შეიცავს, რომლებიც ნოველის ყაიდაზეა დაწერილი (ზემოთ რომ ვილაპარაკე, იმ ყაიდაზე). ასეთი, მაგალითად „იდეალური ბოძოლა“ (ჯერმალ ქარხანის მოთხრობებზე) და „ოცი წლის შემდეგ“ (სოსო პაიჭაძის „პაქანი „ბოტანიკური ბაღის“ ანალიზი. ამ წერილის შესახებ სოსოს უთქვამს, ლეკანმა ჩემს მოთხრობაზე მოთხრობა დაწერა. ეს ელდარ კერძევაძისგან ვიცი, რომელიც მაშინ სოსოსთან ერთად მუშაობდა საქართველოს რადიოს ლიტერატურულ განყოფილებაში რედაქციაში. 2008 წელს ბაკურ სულაქაურის გამომცემლობის მიერ გამოცემულ ჩემს წიგნს სოსო პაიჭაძის ამ შეფასების გამო დავარქვე „მოთხრობები ლიტერატურაზე“. მეორე „საბა“ მაგ წიგნში მივიღე. წინასიტყვაობაში ვაბობ: „დიხაც, მოთხრობაზე შეიძლება დაწეროს მოთხრობა, რომანზეც, ლექსზეც...“).

წიგნის გამოცემა იმ დროს ადვილი არ იყო და დიდ მოულოდნელ წარმოადგენდა მწერლობის პრეტენზიის მქონე ადამიანის ცხოვრებაში. საბჭოთა ხანაში კიდევ ორი წიგნი მოვასწარა - 1985 (თეიმურაზ დიანავის თანავტორობით) და 1988 წლებში.

და მერე ვაჩნდა რამდენიმეწილიანი პაუზა. ეს ძალიან რთული დროც იყო - ქვეყნისთვის, ხალხისთვის, ყველაფრისთვის. მხოლოდ ეს იყო მიზეზი?

სწორად შენიშნეთ, რომ საბჭოთა პერიოდში გამოსულ ჩემს ბოლო წიგნსა და პოსტსაბჭოთა ხანის პირველ წიგნს შორის დიდმა დრომ განვლდა - თერთმეტმა წელმა (1988-1999).



ეს ხომ არ უკავშირდება იმ უმძიმეს ყოფას, რომელიც ავადსახსენებელ 90-იან წლებში აღმოუჩნდით სამოქალაქო დაპირისპირებებისა და ეკონომიკური კატასტროფების შედეგად? დიახ, რა თქმა უნდა, მაგას უკავშირდება! მით უფრო, რომ ძველი გამაჟმრებელი სისტემა მოიშალა, ხოლო ახალი გამომცემლობები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ. მაგრამ ჩემთვის უმძიმესი ხანა უფრო ადრე დაიწყო – 1986 წლის გაზაფხულიდან, როდესაც ზემოთ უკვე ნახსენებები ჟურნალის – „კრიტიკის“ – რედაქტორი თეიმურაზ დოიაშვილი და მე, მისი მოადგილე, მოგვხსნეს დაკავებული თანამდებობებიდან, რასაც წინ უძღოდა ჩვენ წინააღმდეგ რამდენიმე თვიანი დაუზღობელი პრძოლა პრესის ფურცლებიდან და რადიო-ტელევიზიიდან. სამეძი ის გახლდათ, რომ რამდენიმე წერილმა, „კრიტიკაში“ დაბეჭდილმა ჩვენი იქ ერთობლივი მუშაობის ხანმოკლე პერიოდში, უმაღლესი რანგის პარტიული ფუნქციონერებისა და მწერალთა კავშირის იმდროინდელი ხელმძღვანელების უკმაყოფილებს გამოიწვია. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთი მოვლენა მათში იხე არ იყო გაშუქებული, როგორც მათ ეამებოდათ. კარგა ხანს უსამსახუროდ დავრჩი. მძიმე სულიერ დეპრესიაში მყოფს მშველელად მომეცინა... პოეზია: მიულოდნელად და უცაბედად აღმოეჩინე, რომ ეპიგრამების თარგმნა შეძლებოდა. პოეზია კი (თუნდაც ეპიგრამული) ისეთ ჯეზირს ქმნის ჩვენსა და გარემოს შორის, რომლის გადალახვას ნუთისოფლის ორომეტრიული ვერ ახერხებს. ასე გვიცავს პოეზია მტრული გარემოს აგრესიისაგან, რაც, პრინციპში, ზოგადად, თეორიულად ვიცოდი კიდევ, მაგრამ პრაქტიკულად მაშინ დავერწმუნდი ამაში (იმ ხანებში „ცისკარი“ ვ. ე. ლესინგის ეპიგრამების თარგმანები დაბეჭდვდ. ჯარჯი ფხოველს ნაეკითხა და მითხრა – მე სულ ვიციხი, კაცი უსაქმოდ არ უნდა დატოვო, თორემ ლექსების წერას დაიწყებო).

აგრძელებთ ახლა ეპიგრამებზე მუშაობას?
მიულოდნელად და უცაბედად მოხდა-მეთქი ეს ამბავი, და აი, როგორ იყო: პირველი საუკუნის რომაელი პოეტის, მარციალისის, ეპიგრამების გერმანულ თარგმანთა ჯიბის გამოცემა მაქვს (რითიხანი ლექსითა იქ მარციალისი თარგმნილი), იმას ვათვლიერებდი და ერთი ორსტრიქონიანი ეპიგრამა, სათაურად „პლაგიატორი დეკლამატორი“, თავისით (აი, ზუსტად რომ თავისით... არ ვაჭარბებ!) შემოთარგმნა:

„მე მაგ ლექსში, ფიდენტინუს, ჩემი ლექსი შევიცანი, მაგრამ ისე ცუდად ამბობ, ამავე დროს შენც ვინააი“
ბიჯოს!
მოდი, კიდევ ვცალო-მეთქი, და მეორე ეს იყო:

„ეს ჩვენი თვალის ქვიში გამიბარა მოფარაკავე. ამასთან დაკავშირებით არ ვთქვა, თავს ველარ ვიკავე: აბაღვარ მეტამორფოზას ხელობის მეცვლა არც ვიქმის, – რა ბედენაა კაცს თვალებს დამწით დაიხირო თუ ლანცეტი“.

მერე მივყვეთ და მივყვეთ. გერმანელები ვთარგმნი, რუსები, ბულგარელები. მთელი შაბნული 90-იანები ეპიგრამების კითხვაში, შერჩევაში, თარგმნასა და თარგმნის დახვეწა-სრულყოფაში გავლიე. მადლობა პოეზიის ქალმერთს, რომლის წყალობითაც სულიერი სიჯანსაღე და ხალისი შევინარჩუნე იმ ძნელბედობის ფაშს (რა ყოფილა მაინც ეს ლექსი, რა საჭირო რამ ყოფილა ზოგჯერ! სულიერი ციხე-სიმაგრის დანიშნულებას ასრულებს დიდებულად!), და დიდი მადლობა როსტომ ჩხეიძეს, რომელმაც ეს ეპიგრამები წინადა გამოიცა 2004 წელს. ამით დასრულდა ეპიგრამების თარგმნით ჩემი გატაცების ხანა, აღარავითარი სურვილი აღარ მაქვს კვლავ მიუზღოვნე, თან, ვატყობ, ისეთი აღარც გამოვივა.
როსტომის მიერ გამოცემულ წიგნში ყველაფერი არ შემიტანია. ერთი ფრანგიც მყავს ნათარგმნი, მე-16-17 საუკუნეების პოეტი თან-ოვე დე გომბო. იგი გვასწავლის, როგორ მიუშოროთ თავიდან აბეზარი ადამიანი. იქნებ დაგაინტერესოთ:

„სახლშიც ვაკითხავს? არ განებებს თავს აბეზარი? და აღარ იცი ან რა ასვა, ან რა აჭამო? ჩემი რჩევაა არ დაუწყო ბევრი ბაზარი, – ასესებ ფული და გაქრება სამარადჟამოდ“.





ლევან ბრეგვაძის კრიტიკისა და თარგმანის მიუხედავად, არასდროს მიუტოვებია ჟურნალისტიკა, მედია - ძირითადად მუშაობდა ლიტერატურულ პრესაში, ასევე „მოგზაურობდა“ ძველი გამოცემების ფურცლებზეც (სმოგზაურობა „კავკასიზე პოსტის“ ფურცლებზე“, 2010; „მოგზაურობა „ლე კოკაზ ილიუსტრეს“ ფურცლებზე“, 2013). ლევან ბრეგვაძე, ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დღეს ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობს და „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის“ მთავარი რედაქტორია, ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემასთან. მიღებული აქვს ვაჟა-ფშაველას პრემია (1993), „საგურამო“ (2007), გივი ვაჩიშვილის სახელობის პრემია (2012), აკაკი წერეთლის სახელობის პრემია (2017) და სპი „საბა“ (2003, 2009, 2012).

დაიბ. ძირითადად ლიტერატურულ პრესაში ვშობილია, ვიდრე საბოლოოდ ლიტერატურის ინსტიტუტში დამეკვიდრებოდი. ესენი იყო: როგორც უკვე არაერთხელ ვახსენე, მწერალთა კავშირის ჟურნალი „კრიტიკა“, ქართველ მწერალთა და ლიტერატურის მცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის გაზეთი „სიტყვა ქართული“, „კავკასიური სახლის“ ჟურნალი „აფრა“ და გაზეთი „ალტერნატივა“, გამოცემლობა „ინტელექტის“ ჟურნალი „ქართული მწერლობა“. ეს ის საქმიანობა იყო, რომლისთვისაც ვგრძნობდი თავს დაბადებულად.

ყველაზე სასიამოვნოდ „კავკასიური სახლის“ გაზეთში მუშაობა მახსენდება, რომელსაც ხანის გულამწილთან და შოთა იათამიელთან ერთად ვმსახურობდი. მართლაც რომ უშიშვლიერ ნაშბი იდგა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით (გასული საუკუნის ბოლო და ახალი საუკუნის დამდეგის), და იმ გაუსაძლის ხანაში, როცა სხვა უმედურებთან ერთად სალიტერატურო პრესის დიდი დეფიციტიც იყო, ეს სამუშაო სულიერ სიმშვიდეს გვანიჭებდა. უზომოდ მადლიერი ვარ ამისთვის „კავკასიური სახლისა“.

რა როლი აქვს ლიტერატურის კრიტიკოსს ნიჭიერი, ახალბედა ავტორების „აღმოჩენაში“ და როგორ ხდება ეს?

ძალიან სასიამოვნოა, თუ ნიჭიერ ავტორს პირველი შენიშნავ და სხვადასხვა გაცხადებ ამის თაობაზე. თუმცა თვითონ იმ ნიჭიერისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა მგონია

ჰქონდეს. ნიჭის ერთი თვისება ისიც არის, რომ დაბრკოლებები - დამოკვადი დაბრკოლებები - ვერაფერს აკეთებს იმ რიქით - აძლიერებს. სწორედ „ალტერნატივა“ [დამეკვიდრეთ ახალი სახელების სიმრავლით. იქ ასეთი წესი დავამკვიდრეთ: მსატრული ტექსტები, უწინარეს ყოვლისა სწორედ ახალბედა ავტორებისა, იმევე ნომერში განიხილებოდა, - მოთხრობის ან ლექსების გვერდით მათზე კრიტიკოსის პირველი მთავებელი უკვე ქვეყნდებოდა, რაც ზრდიდა პუბლიკაციისადმი მკითხველის ინტერესს. ამ ფორმით ბევრი ახალგაზრდა ავტორის მსატრული ტექსტი შეფასდა „ალტერნატივაში“. ამ გაზეთის შემუშავებით, მე მგონია, პირველი ამ ერთ-ერთი პირველი გამომცემსაურე ლაშა ბუღაძისა და ბექა ჟურბულის მოთხრობებს, სხვა გამოცემებში და სხვა ფორმით ეს ასევე პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ლაშა იმედაშვილზე, ანა კორძაია-სამადაშვილზე, ზაზა ბურჭულაძეზე, ზვიად კვარაცხელიაზე, გიორგი კეკელიძეზე, შალვა ბაკურაძეზე და ბევრ სხვა ნიჭიერზე დამიწერია... ეს იმიტომ გავიხსენებ, რომ ხშირად გაისმის საყვედური, კრიტიკა ახალგაზრდას არ სწყალობსო, რაც, არა მგონია, სიმართლე იყოს. ისეთი აკადემიური პროფილის დანახებულებაც კი, როგორც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტია, სადაც, ნელანაც ვოქცი, ამჟამად ვმუშაობ, თავის მრავალრიცხოვან გამოცემებში დიდ ადგილს უთმობს ახალგაზრდათა შემოქმედებას.

ამდენი ხანია თქვენ თვალს ადევნებ ქართულ ლიტერატურას, მის განვითარებას, გაზს - სად არის დღეს ქართული ლიტერატურა, მსოფლიოსთვის ისევე „აღმოსაჩენია“ იმის მიუხედავად, რომ წელს, 2018-ში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო მასპინძელი ქვეყანა იყო?

მსოფლიო ლიტერატურაში ქართული მწერლობის ადგილისა და მნიშვნელობის თაობაზე ვილაპარაკოთ? კეთილი!

ძალიან მიყვარს და ხშირადვე ვიმონწეებ ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის, მეცნიერი ფილოლოგისა და ქართული ლიტერატურის ნაყოფიერი მთარგმნელის, შინც ფენდის სიტყვებს: „ქართული ლიტერატურა განკუთვნილია მსოფლიოს უდიდეს, უმდიდრეს და საუცხოოდ განვითარებულ ლიტერატურათა რიგს... იგი იმსახურებს, თანაბარი უფლებით იდგეს ფრანგული, ბერძნული თუ გერმანული ლიტერატურების გვერდით“.

დარწმუნებული ვარ, დადგება დრო და ქართული მწერლობა კუთვნილ, გამორჩეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო ლიტერატურაში. უქვეყნეს, უმდიდრეს, დიდი ლიტერატურული ლირსების შემქნელი მწერლობის ბევრი საჭირო და სასარგებლო რამ აქვს სათქმელი სწორედ დღევანდელი მსოფლიოსთვის. წლებიდანდებოდა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამ დაადასტურა ეს. ძალზე ძვირი იყო ინტერესი ქართული ლიტერატურის და, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ, რაც გერმანულ პრესაშიც აისახა. ამ წარმატებაში განუზომებელი საგანგებოდ ამ ბაზრობისთვის შექმნილი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის წვლილი, რომელმაც შეტყდა ნაყოფიერი მუშაობა გასანია ჩვენი მწერლობის ძველი და ახალი ნიმუშების სათარგმნელად და საერთაშორისო არენაზე გასა-

ტანად. ეს ორგანიზაცია სამომავლოდაც უნდა შევინარჩუნოთ. თუკი მისი არაწვევლებრივი თანამშრომლები იმავე ხალისითა და ინტერესით გააგრძელებენ მუშაობას, ჩვენც თანამედროვე მსოფლიო ლიბერალურ ცხოვრების ღირსეული მონაწილეები გახვდებით. არაფერი ჩვენ ამაში ხელს არ გვიძლის, გარდა ენობრივი ბარიერისა, რომელი დასაძლევად ასე ნაყოფიერად იღვანა წიგნის ცენტრმა.

მჭონდა ბედნიერება, ჩემი თვალთ მხილდა რა ხდებოდა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე – 11-დან 15 ოქტომბრამდე დაფიქსირდა იქ. დავესწარი „საბას“ შრიფ დაჯილდოებას – კარგად მოიქცნენ, ამჯერად გერმანიაში რომ ჩაატარეს. გოეთეს მემობლიურ ქალაქში გოეთეს „ფაუსტის“ მეორე ნაწილისთვის მესაზღვრე რომ ვერცო „საბა“ დავით წერედიანს, ამანაც ძალიან გაახარა. ახლა ქართულიდან რამდენი შესანიშნავი რამ ითარგმნა! აი, ხელთა მაქვს ბესიკ ხარანაულის ხუთი პოემა გერმანულად. ბესიკმა მაჩუქა. მე მისი იქ ყოფნის ბოლო დღეს ჩაფდრინდი. რამდენიმე წელსა საქართველოში იმავითად ვხვდებით ერთმანეთს და ისიც მცირე ხნით. ეტყობა, ამიტომ შევრჩით ერთმანეთს პირისპირ გვიანამდე იმ საღამოს სასტუმროს კაფეში. კარგი რამები ვილაპარაკეთ. იმ პოემებს შორის ჩემი უსაყვარლესი „სეიბარი თოჯინაც“ არის. ერთი სული მაქვს, როდის მოვიცილი და ჩავხედავ: მინტერესებს, როგორ აუღრდა გერმანულად! ბაზრობის დასურვის ცერემონიაზე ჩინებულად ჩაიარა. არ დამავინყდება, ჩვენ პატივსავცემად მასპინძლების მიერ გამოისამშვიდობებლად ნამღერ „სულიკო“.

ასე რომ, დიდი მადლობა ვუთხრათ 2018 წელს ფრანკფურტისათვის და ღირსეულად გაგაცილოთ!

ქარბონი და რწმენა-წარმოდგენები

გია ყოველ მეორე სიტყვაში „ტობეს“ ამბობდა – „ტობე, ტობე...“ მაშინ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცოდი. მაშინ კი არა, სანამ ლევან ბრეგვაძის „ფარგონის ლექსიკონი“ არ ნაეკითხე. ვერ მიხვდებოდა რატომ იყო ვიასთვის ყველაფერი „ტობე“. ჩემს ბავშვობაში გია ერთ-ერთი ყველაზე კარგი ადამიანი იყო... „ფარგონის ლექსიკონი“ ლევან ბრეგვაძემ პირველად 1999 წელს გამოსცა. მას შემდეგ კიდევ ოჯერ გამოვიდა შევსებული გამოცემა. ერთხელ თქვა, არ მინდოდა საქართველოს მეოცე საუკუნე ამ ლექსიკონის გარეშე დამთავრებულიყო. ბოლო გამოცემაში 1500-მდე სიტყვაა შესული და ყველა სიტყვას თან ახლავს ლიბერალური მავალბობა.

პოსტსაბჭოთა ხანაში პირველი, რაც გამოვეცი „ქართული ფარგონის ლექსიკონი“ იყო (1999 წ.), ბაკურ სულაკაურის გამოცემებში. ეს არის ჩემი ყველაზე პოპულარული წიგნი. კარგი რეცენზიებიც დაიწერა. კიდევ ორი შევსებული გამოცემა გამოვიდა (2005, 2013) და მილიანად გაიყიდა. ფარგონი ამოუწურავია, მაგრამ ადამიანის მოხსალმებლობით არ არის ამოუწურავი. მეუბნებ გამოცემის მომზადებას ალბათ ვეღარ შევძლებ, არადა რამდენი საინტერესო სიტყვა და გამოთქმა განჩნდა კიდევ! განსაკუთრებით ორ მათგანზე მწყდება

გული, ესენია: „აკვდება“ (ნიშნავს: საცხებით შესაფერისია, ზედგამოჭრილია) და „დაქვება“ („გაეკაქას“ სინონიმი), ძალზე ექსპრესიული, გამომსახველობით ძალის მქონე სიტყვები. არაფრავს! სამამყოფდ ისიც მეყოფა, რომ დიდი ხნის შემდეგ მხოლოდ ჩემი ლექსიკონიდან შეიტყობენ, რას ნიშნავდა იდუმალებით აღსავსე გამოთქმა „შუტკის ვასნა“, დღევანდელი ახალგაზრდების მტკიცელებაში რომ იმსის!

ასევე სატკბო მნიშვნელობასა „ყოფილი რწმენა-წარმოდგენები“. ამ წიგნის გამოცემის ამბავიც მითხარით, როგორ გროვდებოდა მასალები, როგორ შეიკრა წიგნად, როგორ მიიღო მკითხველმა.

პოპულარობით მეორე ადგილზე ჩემს წიგნებს შორის არის ჩემ მიერ შედგენილ-კომენტირებული „ყოფილი რწმენა-წარმოდგენები“ (2012). მათი ერთი ნაწილი 2001 წელს „ეკავასიური სახლის“ გაზეთ „ალტერნატივაში“ გამოიქვეყნენ ხუთ ვაგარძელებად ასეთი სათაურით: „ხალხური რწმენა-წარმოდგენები, რაჭაში შეკრებილი ლევან ბრეგვაძის მიერ“. მეორე ლიბერალურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელის, ქალბატონ რუსუდან ჩოლოყაშვილის შევლიანებით, ამით სხვა, ძირითადად ბექდური წყაროებიდან მოპოვებული მასალა მივუმეტე და, გამოცემილია „არტობუჯის“ წყალობით, ნიგნად გამოვიცი. ეს წიგნი ერთ საიდუმლოს ინახავს, რომელსაც ახლა პირველად თქვენ გაგანდობთ: კი გამოვაცხადე, ჯერ გაზეთ „ალტერნატივის“ ფურცლებზე და მერე ამ წიგნის კომენტარებში, ხალხური რწმენა-წარმოდგენები რაჭაში, ჩემს დედუკოებში, მე შევკრებ-მეთქი, მაგრამ წინამძღვრები ასე არ არის: დედაჩემის, ექიმ-სტომატოლოგ ცაცა ბოჭორბიძისის შეკრებილია. ორი საერთო რეველი მჭინდა სასვე (ახლა ისინი ჩემთან ინახავს). როცა ვთხოვე, ეს კოლექცია გამოგაწვეუროთ-მეთქი, დამიანამნა, მაგრამ თავისი სახელის ხსენება გაზეთში კატეგორიულად ამიკრძალა. რა შეენა? ჩემი სასული ნაწიანიერე. აი, თქვით ახლა ეს და შეუბით ამიგისუთიქე, გულზე მომემგა! დედაჩემის კოლექციიდან ერთი რწმენა-წარმოდგენა მომინის ძალიან, რომლის ანალოგი ბექდურ წყაროებში არ ჩანს: „პირველი მსხლითარობისა ხეს პირველად იმან უნდა მოსწყვიტოს ნაყოფი, ვისაც დედ-მამა ცოცხელი ჰყავს“. იყოდით?

ბარეც ახლა მამაზეც ვიტყვი ორიოდ სიტყვა: არც ერთი ჩემი წიგნი არ გამბარებია ისე, როგორც მამაჩემის, ტყიბულელი გეოლოგის, ჩემ მიერ შედგენილი ჩანაწერების გამოცემა


მისი დაბადების 100 წლის თავზე, რაც გამომცემლობა „ინტელექტის“ წყალობით განცხორციელე, რისთვისაც უზომოდ მაღლივი ვარ გამომცემლობის დირექტორის, ბატონ კახეგ კუდავასი.

ახლა რაზე მუშაობთ?

ახლა რამდენიმე ნიგნზე ვმუშაობ ერთდროულად. ზოგიერთის დავასახელებ. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ 2008 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა ჩემი „მოთხრობები ლიტერატურაზე“. ახლა მის მეორე, ასე ვთქვათ, ტომს ვამზადებ და ისევე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ მიიწვია შეეთავაზო. სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების წიგნად გამოცემაც მინდა. ესეც თავისებურ ყანრად ჩამოყალიბდა, რაზეც შესავალ წერილში ვსაუბრობ. სიმპოზიუმი, მოგეხსენებათ, ნადიმს ნიშნავს და ნიგნს მინდა „ლიტერატურული ნადიმობანი“ დავარქვა. ინტერვიუების კრებულიც გამოცემასაც ვაპირებ, რომელშიც, ცხადია, ჩვენს ამ საუბარსაც შევიტან.

როგორია ეს დრო, როცა თითქმის აღარაფერი დგას წიგნსა და მკითხველს შორის – არც ცენზურა, არც გამომცემლობა, არც სტამბა. ეს „უფარდო“, „ინსტაბერობა“ დრო თავისი ვირტუალური და ონლაინშესაძლებლობებით სულ სიკეთეა თუ საფრთხეცაა?

უკომპიუტერო და უინტერნეტო დროში წიგნის გამოსაცემად მომზადება ძალიან ძვირდა. ახალმა ტექნოლოგიებმა კი ორასჯერ გააადვილა ეს საქმე... ორასჯერ! თუ მისაც გავითვალისწინებთ, რომ ცენზურაც მოიხსნა, მიეფუძებოთ, რომ ჩვენი პროფესიის ხალხისთვის სანატრელი დრო დადგამს ის კი არა, სტამბაც აღარ არის საჭირო იმისათვის, რომ შენი სათქმელი მთელ ქვეყანას მოხვდეთ! სოციალურ ქსელებს ვგულისხმობ, ცხადია. ზღაპარში მგონია თავი... მართალია, გამაღიზიანებელია სიბუფლილია და აგრესიით აღსავსე ტექსტების მოძიება, მაგრამ... რაც ვართ, ესა ვართ – ადამიანები საერთოდ და არამარტო ამ „ორ ზღვას შუა“ მცხოვრებნი. როგორც არ უნდა გასტეხოდა სახელი სიტყვის თავისუფლებას ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, მაინც ეს სჯობს უმისობას. მთავარი ის არის, რომ ბოლო მოუღო პრივილეგიის ინფორმაციის მიღება-გავრცელების სფეროში, გადავლდა კავშირითაერთობა – მათ შორის ვიზუალურიც! – მთელ მსოფლიოსთან... ორი ათეული წლის წინ ამაზე ვერც იოცნებებდი! დაუფრებელი ჩანს! და გიკვირს: ასე საინტერესო



დავით წერეთლიანთან ერთად „საბას“ დაჯილდოებაზე

განდა ცხოვრება, ხოლო ადამიანები კვლავაც ტყეიება და ბომბებს უშენენ ერთმანეთს, მზეს უბნელებენ ერთიმეორეს, თითქოს ყველანი ისედაც სიკვდილის შვილები არ ვიცით... ეს, ჩემი აზრით, იმის ბრალია, რომ ტექნიკურ პროგრესს ძალიან ჩამორჩა პროგრესი ჰუმანიტარულ სფეროში, რასაც უმძიმესი შედეგი მოჰყვება, თუ ამ მხრივ ვითარება არ შეიცვალა. თანამედროვე ტექნოლოგიები ჰუმანიტარულ განვითარებას უნდა მოემსახუროს. ცნობილი მწერლის ცნობილი ფრაზა „ქვეყანას სიღამაზე იხსნის“ შეიძლება მართალიც იყოს, თუკი „სიღამაზე“ პოეზიას ვიგულისხმებთ ფართო გაგებით.

ვიდრე ჩვენ მესწავრომი კითხვა-პასუხებს ვცვლიდით, გარეთ ქუჩების მორთვა დაიწყო. უკვე დეკემბერია – თოვლის, საშობაო ეპიზოდებისა და ფილმების, მუსიკის, ანგარიშებისა და შევასებების თვე, წლის შეჯამების თვე. ლევან ბრეგვაძემ ერთიან დაწერა: მე იმათ რიცხვს ვკუთვნი, რომლებიც, თუკი თავიდან დაიწყებდნენ ცხოვრებას, იმავე ზღოზას აირჩევდნენ, რომელიც ერთხელ უკვე აირჩიეს. ის არც ახლა აპირებს რამის შეცვლას, თუმცა ახალ წელს რაღაც მანიც „მოაქვს“, რაღაც აუცილებლად უნდა მოხდეს?..

რა ვარგია, რომ ეს მკითხეთ! მთელი ცხოვრება ახალი წლის დადგომისა მუფულებოდა განცდა, რომლისთვისაც სახელი ვერ დამერქმია – თურმე იმიტომ, რომ არც მოვლენა, რასთანაც ახალი წელი ჩემთვის ასოცირდება, არც, ბუნებრივია, იმ მოვლენის აღმნიშვნელი ტერმინი, ბოლო დრომდე არ არსებობდა... ახლა შემიძლია ვთქვა: გადატვირთვის მაგონებს ახალი წელი, კომპიუტერის გადატვირთვის, უცხოურად „რესტარტს“ რომ ეყვანით!

წარმატებულ „რესტარტს“ გისურვებთ დამდეგი 2019 წლისათვის!

გური – ცერეასკოპი



ლევან ბრეგაძე

რუსეთის სოციალისტების მიერ ინიცირებულ ორ ნაშრომებს – კერძო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ექსპერიმენტს და ათეისტური სახელმწიფოს დაარსების მცდელობას – ერთი ბუდე ენია: კრახით დამთავრდა. არადა, ორივე მაქსიმალურად იყო ხელშეწყობილი იდეოლოგიურად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად.

ამჯერად მეორე, უღმერთო სახელმწიფოს შექმნის ექსპერიმენტი გვაინტერესებს, ე. წ. მებრძოლი ანუ აგრესიული ათეიზმით ზურგგამაგრებული, ვინაიდან ეს თემა – უღმერთად ცხოვრების მცდელობის კრახი – ერთი უმთავრესთაგანია ნაირა გელაშვილის ახალ რომანში, რომლის სათაურია „...ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“. რომანის სხვა მთავარი თემებია ეკოლოგია და მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება. სამივე ეს თემა თავს იყრის რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ყოფილი ასტროფიზიკოსის, მამა ივლიანე გიგანის, მხატვრულ სახეში: ის სასულიერო პირია, თანაც ტექნოკრატების მიერ დასალუპავად განწირული სეფანეთიდან არის წარმოშობით (ბავშვობა იქა აქვს გაატარებული) და ავტორიტარიზმისა და მმართველი რებრესიული სახელმწიფო სისტემის მოწინააღმდეგეცაა იმავდროულად. მამა ივლიანე გიგანი შემეკიდრეა ილია ქაეჭავაძის „გლახის ნაამბობის“ მოძღვრისა, ავტორის მიერ უსახელოდ დატოვებული მღვდლისა, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის მიერ რეპრესირებული პერსონაჟი გახლდათ.

დახს, რეპრესირებული პერსონაჟი!

გაგისნებით, გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს ამ მოთხრობის ეკრანიზებულ ვერსიაში სასულიერო პირი საერო მასწავლებლით რომ ჩაანაცვლეს, რის განაშ ავაკი ბაქრაძე შენიშნავს:

„ამ მოთხრობაში (სლახის ნაამბობში) გამოყვანილი მღვდელი ფილმში შეიცვალა მასწავლებლით. თითქოს ეს უმნიშვნელო ცვლილება იყო. თურმე ასე არ ყოფილა. თურმე ილიას ქრისტიოცენტრულ მსოფლმხედველობას ჩვენ ვცვლიდით პოლიტიკოცენტრული მსხედლეებით. ეს კი ილიას შემოქმედების სრული დამახინჯება იყო, უფრო მეტიც, მთელი ქართული მწერლობა ქრისტიოცენტრული ლიტერატურაა, მღვდლის მასწავლებლით შეცვლით, არსებითად, ჩვენ ვეთიშებოდით ჩვენს სულიერ კულტურას“.




სამაგიეროდ, ერთობ საგულესხმოა ქართული მწერლობის კარგად მცნობი ალბოსავლეთგერმანული ლიტერატორისა და გამოცემლის, ლენარდ კოშუტის მსჯელობა, რომელიც „გლახის ნაამბობს“ შეეხება. „კაცია-ადამანის“ გერმანული გამოცემის ბოლოსიტყვაობაში დაკვირვებული გერმანელი ავტორი წერს:

„ნამდვილ სიღრმეებს ეს მოთხრობა [გლახის ნაამბობი] იძენს იმ როლის გამო, რომელსაც თავისი მისი ის ერთგული სასულიერო პირი ასრულებს გლახასთან მიმართებით – რამაც ამ პერსონაჟის მთელ შემდგომ ცხოვრებაზე იქონია გავლენა; ეს როლი შთამბეჭდავია ადამანთა ურთიერთობებისა და ღირებულებების იმგვარი ჰუმანისტური ხედვით, რომელიც ამკარად მოითხოვს სოციალურ ცვლილებებს“.

ამის ანალოგიით შეიძლება ითქვას, რომ ნაირა გელაშვილის ეს რომანი იმ როლის გამო, რომელსაც თავისი მისი ის ერთგული სასულიერო პირი ივლიანე გიგანი ასრულებს რომანის სხვა მთავარი პერსონაჟის, ავტობუჟის მიმართ ბუდე ქაიასთან მიმართებით, არაჩვეულებრივ სიღრმეებს იძენს.

და არა მარტო მძღოდ ბუდე ქაიასთან მიმართებით.



ბუდე ქვია იმიტომ დავასახელებ, რომ თავისი სულიერი გარდაქმნის ამბავს თვითონვე მოგვითხრობს ვრცელად და დანერღობით... უფრო სწორად, მუხუღებს მოუთხრობს ტელეფონით ლაშქარობით თბილისიდან ზუგდიდში საუბრისას, და რომანის ავტორი მის მონათხრობს ჩვენც გვახსენებდა:

„მისმინე, მისმინე, რისთვის გირეკავ... წამოჯექი ცოტა ხანს, მოიხურე საბანი, ხმას ვერ აუწვენ, უნდა ვიჭურჭლო, მისმინე: ეს ღმერთი მართლა ყოფილა, კაცო, გესმის შენ? მე შეგონა რაცხა ფასონზე ლაპარაკობდა ხალხი და რაცხა ფასონზე ხდებოდა ყველაფერი ეს ნირვალოცვა, აღდგომა, წითელი კერძები და რაღაცეები! და ეს ყველაფერი კი შეიძლება ფასონზე იყოს, რამდენ რამეს აკეთებს ხალხი ისე უაზროდ და გაუგებრად, იცე შენც, ხომ კი, მაგრამ სინამდვილეში მართლა ყოფილა მ ა რ თ ი ლ ა გესმის, რას ვამბობ? არ, მე რო ვი, შენ რო ხარ, ისე ყოფილა ისიც, ოღონდ აი მე ჩანს უბრალოდ. გესმის შენ? მაგრამ მე ხო მოეკვდები, შენ ხო მოკვდები, შორს შენგან, სიცოცხლე ხარ ჩემი, მარა ვამბობ ისე, - ის არ მოკვდება არასოდეს, იმიტომ რომ ყოფილა უკვდავი“.

სამჭოთა სახელმწიფოთა რეალურად განხორციელებულიერო ცხოვრების მდგომარეობის იდეა, რომელმაც ახალი დროის დადგომისთანავე იჩინა თავი.

თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის, ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიის ახლად დამუშავებლის, ვილჰელმ შშიდის აზრით, „მოდერნული საზოგადოებები დიდი საზოგადოებრივი ექსპერიმენტის შუაგულში იმყოფებიან, თუმცა ეს ექსპერიმენტი ყოველთვის ამკარად არ ირებს თავს: მოდერნის მთელი მოძრაობა, დამკვიდრებული მეთარამტე-მეცხრამტე საუკუნეების გასაყარზე, ყოველგვარი რელიგიისაგან გათავისუფლებას უკავშირდება. მას შემდეგ სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ცდილობს ურელიგიოდ ცხოვრებას. [...] მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარად ცხოვრება დროთა განმავლობაში შეუძლებელი აღმოჩნდება და თვალში-ნახავეში მომავალში ეს ექსპერიმენტი წარუმატებლად დასრულდება“.

ბუდე ქვია გულში გაღვივებული რწმენა უწინარეს ყოვლისა მის თავს დასტყვობდა და მის ირვლივ არსებულ გაჭირვებითაა ნასაზრდოები. იმიტომ მისი ოცნებები სახარების ის ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, საყოფაცხოვრებო ინტერნატაციის საბეს დებულობის:

„ამდენი ავადმყოფი როა ამ ბედკრულ საქართველოში და ნაწლები რო ღირს გაუფრად ძვარი, და ამ აფერი ისტული აფთიაქების ტყვედ რო ვართ ქვეყლი, გამოჩნდება ვინმე იესოს ნაღვი მოწავე და სთხოვს თურმე ღმერთ მამას, ჩემო მამა, შენი ჯვარცმული შვილის სახელთ გუბეშენი, მოარჩინე ეს გაჭირვებული ამალი ხვიკა წითელი ქარისგან, ამალია გამახსნა, ბიცოლ-აჩემი, სიტყვაზე, მარა, ვინც გინდა იყოს, მაგალითად, ბიკენტი შაშუკია, ჩვენი მეზობელი, ხერხეშლის თიაკარი რო კლავს. სთბოვს ბიკენტიაზე, სიტყვაზე, ხოდა, თქმა

და მორჩნა ერთია თურმე! და მორჩა: ეტორა დედი ამავლას წითელ ქარს და ბიკენტი შამუგას ყოველნი და ვადუ: დაბირადე კიბო და აახვია დიბატენი ისე ციკუნა, ეს უსულიკი ექიმები რო გუჭყუავენ ნაწლებით და რო ვერ გარკენენ და რო დევადახოზ ასე...“.

მაგრამ ბუდე ქვიას ადამიანებზე ზრუნვის ის ფორმაც ძალიან მოსწონს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა რაღაცით მართლა დაემსგავსოს ადამიანი მაცხოვრის:

„აუ, შენ რომ ბიბიზარი ამს წინათ (ისე ცოლს მიპარიაეს, ისე ტელეფონით. - ლ. ბ.) ვალაკიონის სტროფი, ქრისტეს ნათქვამია ნაწველი: ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება“.

მოკლედ, აბედნიერება იესო ადამიანებს! ჩვენ ხარობდა მათი სიხარულით. მაგრამ ვინ დავასა! ჩვენ ადამიანები ხომ ვართ საერთოდ ღორები არ დაუცხრით და არ დაულურსმით ხელ-ფეხით ჯვარზე?.

ამრგად, ბუდე ქვიას ქრისტიანობის მემარცხენე იდეები ესინაპატორება უფრო მეტად.

თავში, რომელსაც „ალსარეა“ შექვია, რელიგიური რწმენის მაკურნებელ თვისებაზე ამახილებს ყურადღებას სხვა პერსონაჟიც, აწონიზური აღმასრულებელი, ყოფილი პოლიტპატიმარი, რომელიც ივლიანი გიგანს უამბობს, რამ განუშტკიცა ღმერთის რწმენა საამურობელში:

„...როდესაც მანამედნენ ხოლმე, სადაცღი მ შუა ტკივილი გულით ვლალადები - უფალო იესო ქრისტე, ღმერთი ჩემი, შემიწყალებ მე ცოვლილ-მეთუ, ამას ვიმეორებდი და ვიმეორებდი გულით და ამან გადამატანინა... ვგრძობობი, რომ იესო ქრისტე თანდათან მივეარდებოდა... მიხდებოდა უფრო ახლოს გამეცნო... გამიჩნდა სანაწული, რატომ ადრე არ ვაქცევდი ყურადღებას მთელი ცხოვრება-მეთქი... თქვენ აბრევე დაუახლოვდით, მამაო?“.

ამ შეკითხვას - „თქვენ ადრევე დაუახლოვდით, მამაო“ - მერე დაუბრუნებდით, ახლა კი მეცინერი მოვუსმინით, გამოჩენილ ფსიქოლოგსა და ფსიქიატრს, ადამიანის სულის ღრმად მცოდნე კარლ გუსტავ იუნგს:

„ზოგად თვალსაზრისის გამოყენების შესაძლებლობას დიდი თვალაპირი მნიშვნელობა აქვს. (...) ანტიკურ მედიცინაში ენობილი იყო, რომ შირადი დაავადების უფრო მაღალ, უპიროვნე დონეზე აყვანის შესაძლებლობას სამკურნალი გავლენა ჰქონდა. (...) აღმოსავლეთში პრაქტიკული თერაპიის დიდი ნაწილი პიროვნულ განცდის საყოველთაო ვითარების დონეზე აყვანის პრინციპზე აგებული. (...) თუ [ადამიანს] უჩვენეს, რომ მისი შირადი ტანჯვა მარტო მისი სატანჯველი კი არ არის, არამედ საყოველთაო, ასე გასწავლი, ღმერთის ტანჯვავე კია, მაშინ ის კაცთა და ღმერთთა საზოგადოებაში იმყოფება, და ამის კოდნა მომარტენელია“.

ანუ, იმის შეგნება, რომ კერძოს, კონკრეტულის, პიროვნულის გარდა საყოველთაოს, ზოგადს, უპიროვნოსაც წარმოვადგენთ, დამამშვიდებლად მოქმე-

დებს, ვინაიდან ამის შედეგად ჩვენი ბედ-იბოლო მთელ კაცობრიობას ეუკავშირდებით. შეგნება იმისა, რომ ტკივილი, რომელიც ჩვენ გეტანავავს, მარტო ინდივიდუალური კი არა, ზოგადსაკაცობრო მოვლენა და თვის მაცხოვრის ხეგრადიც კი ყოფილა. ამასუბუქებს ტანჯვას, ზოგჯერ კი განკურნებასაც იწვევს.

მაგრამ ქრისტიანობის მაკურნებელ თვისებას განსაკუთრებით ის ახლიერებს, რომ მაცხოვრებან ჩვენი ცოდვები, რომლებიც ძალიან ზშირად ჩვენი სწულეუბების წყაროა, თავის თავზე აიღო. „მაგრამ რას ნიშნავს „ცოდვები თავის თავზე აიღო?“ – ეკითხება მამა ივლიანე გიგიანი თავის მსმენელებს: „ახალგაზრდულ ცენტრში“.

და ისეთი ღრმადზოვანი, თან მოულოდნელი და თანაც გასაგებად უაღრესად მარტივი და მოაბუქდავი ახსნა იმ მისტიკური აქტისა, რასაც ქრისტეს ჯვარცმამ ნარჩოადგენს, განპარტება იმისი, თუ რას ნიშნავს მაცხოვრის მიერ კაცობრიობის, ყოველი ჩვენგანის ცოდვების თავის თავზე აღება, პირადად მე არც სადმე ნამიკითხავს და აქამდე არც ვინმესგან მომისმენია.

დაეუფდეთ ყური მამა ივლიანე გიგანს, რას გვეტყვის ამის თაობაზე:

„- მარტო ფიზიკურად რომ დატანავულყო, – განბარტავ მოძღვარი, – მიანიც შეუღლებოროვი ტანჯავა იქნებოდა. ადამიანები ამაზე უარეს ტანჯავა-ნამეხასაც გადიან... ზშირად საკუთარ თავზე იღებენ საშინელებას, რომ საჯარული ადამიანი გადააზრონო (...). მაგრამ იესოს ტანჯავა არნახული ტანჯავაა, ისეთი, როგორიც ამჟამის ისტორიამ არ იცის: მან, სრულიად უტოდეულმა არსებამ, თავისი ნებით მიიღო მთელი კაცობრიობის უწმინდურება! (...). მთელი დედამინის შემზარავი ცოდვები ზღვასავით შედინდა ხელ-ფეხ დაღურსმულ ადამიან-ღმერთში! სისხლიან-შშიორიანი ჭაობი მუხვავდა ზეციერი მამისა და ქალწულ მარიამის უტოდეულ შვილში! მისი სინათლის ყველა უგრედი ბინურმა სიბნელემ აავსო, ეს იყო ჯოჯოხეთი, თეადა ჯოჯოხეთი მასში ის თორით იქცა სიბნელედ, ცოდედეც ასე გააკნა ჯვარზე ბოროტება. (...) ამიტომ ასახება გულგანგმირულში: „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანნი?“ („მამა, მამა, რატომ მიმტოვე მე?“).

ქრისტიანული მოძღვრების ფსიქოთერაპიული ეფექტის იმაზე უკეთესი ახსნა, მამა ივლიანე გიგანმა რომ შემოგეთავაზა, ძელი ნარჩოსადგენია და, ეგონებ, აღარც არის საჭირო!

მაცხოვრის ჯვარცმა უამრად ფერმწერს დაუხატავს არაჩვეულებრივი ექსპრესიულობით, მაგრამ ამ სცენის მთელი ტრავმისმია და სიდიადის გადმოცემას სიტყვით მხატვარზე (სიტყვების მუშევიბით მხატვარზე, მწერალზე) უკეთ ვერავინ შეუძლებს!

ახლა კი იმ შეკითხვას დაეუბრუნდეთ, ანონიმმა აღმსარებელმა რომ დაუსვა ივლიანე გიგანს – „თქვენ ადრევე დაუხატავთ, მამაო, ქრისტეს?“

ასტროფიზიკოსი ივლიანე გიგანი მეცნიერების

გავლით მივიდა ღვთის რწმენამდე – მას შემდეგ, რაც უსასრულობის მოაზრება მეცნიერულად ვერ შეძლო. სხვათა შორის, სამყაროს სასრულობის მოაზრებამ შეუძლებელიც არაა. ორი ურთიერთგამოიცხადებ მსჯელობაა: 1. „სამყარი სასრულია“ და 2. „სამყარი უსასრულია“ – ადამიანური ლოგიკით ერთ-ერთი უნდა იყოს მართებული, მაგრამ არცერთის მოაზრება ჩვენ არ შეგვიძლია, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებითად არაფრის თქმა არ ძალგების იმის თაობაზე, თუ როგორ არის მოწყობილი სამყარი.

ახლა გამოჩინელ მეცნიერს, ჩვენს თანამედროვეს და თანამემამულეს, ასტროფიზიკოს გიორგი (გია) დვალს მოუესმინეთ. ახლახან გამოქვეყნებულ ინტერვიუში, იგი ამბობს:

„ადამიანი თავისთავად რელიგიური არსებია. რელიგია ის კითხვები, რაც ადამიანს ანუიებთ, ამიტომ. კითხვების თანახმად არსებობს მეცნიერებაა და რელიგიის შორის. საბოლოო უამბო, ჩვენ ვაპუხებს ჩვენი დანისულება, ჩვენი ნარჩობობა და ჩვენი მომავალი. მეცნიერების სიძლიერე იმაშია, რომ ის უნივერსალური ენაა, რომელიც არ არის დამოკიდებული რელიგიური კუთვნილებაზე. მეცნიერება უნივერსალური მეთოდია, რომელსაც შეუძლია კითხვებზე პასუხების გაცემა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მეცნიერების და რელიგიის ურთიერთგამორიცხადებას. ურთიერთგამორიცხადი შეუძლებელია მეცნიერული თეორიები ერთ საკითხზე, როდეცა ერთი მათგანი გამორიცხავს მეორე თეორიას. რელიგია და მეცნიერება მოღვაწეობის იმდენად განსხვავებული სფეროებია, მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტური კითხვების დონეზე თანახვეთა აქვთ, მათი ურთიერთგამორიცხადება არ არის სწორი მიდგომა. აქ მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ იყენებს კაცობრიობა ან ერთს ან მეორეს. საერთოდ პრობლემები ჩნდება იქ, სადაც ხდება რაღაცის არასწორად გამოყენება. ყველა პრობლემა იწყება იქიდან, როდეცა ხდება მეცნიერების გასადება რელიგიად და რელიგიის – მეცნიერებად. ადამიანის უნდა ესმოდეს, სად იწყება მეცნიერება და სად მთავრდება ის და სად იწყება რელიგია და სად მთავრდება ის. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი“.

მეცნიერების კონვეტენცია იქ მთავრდება, სადაც იწყება უსასრულობა, რაცაც ტრანსცენდენტსაც უწოდებენ. მას პოინციბულად ვერ მიგვხვდება ცდიმისი შემეცნებით, რაციონალისტური მეთოდებით.

ამას ნიკოლოზ ბართაშვილი, არაჩვეულებრივი ხატოვანებით, პოეზიის ენით ასე გამოთქვამს:

„მე ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული! ანცა რა თვალნი ლაფვარდს ვილოდენ, მყის ფიქრნი შეუნდა მოისწრაფინ, მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და არაშედეგ განიბნევიან!“



მე, შენაა მჭვრეტელს, მაივნყდების სანუთროება, გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ძვიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დამოის აქ ამოიფა... მგვრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკლავნი განგებას ციურს!"

(გლახს "ავაგლახ"-ის შემოკლებული ფორმაა, ხოლო "ავაგლახ" იგივეა, რაც "სამწუხაროდ").

განსაზილავ რომანში ვკითხულობთ: ასტრონომ-მოდელი ივლიანე გიგანს "თავისი პროფესიული კლდეის სფერო - ხილური ცა, (...) „შავი ხერხელების“ გამო მიეტოვებინა. თუმცა, (...) შორს არ გასცლოდა და იქვე გადახანკვლავებულიყო, ისე იგი, ისევე ცაში, ოღონდ, უხილავი: ღმერთისთვის მიემართა, რადგან „შავ ხერხელებს“ საყოთარი ძალებით ვეღარ უმკლავდებოდა, ვეღარ შეგლოდა მეცნიერების გულგრილობა თუ მისი გაუგებარი ენთუზიაზმი“.

გულგრილობას საყვედურობს ივლიანე გიგანი მეცნიერებას ყურადღება მივაქციოთ აქ კომპოზიტ „გულგრილობის“ პირველ შემადგენელ ნაწილს - „გულს“ - იგი ცოტა უკვირთ ერთობ საინტერესო მხატვრული ხერხით შესრულებული პასაჟის მთავარ „მოქმედ გამირად“ მოგვევლინება. ოღონდ ივლიანე გიგანი მეცნიერების მემობილ-უარწყაფილი ან ამ სფეროში ხელმოცარული კაცი არ გვეოხრთ. იგი წარმავებული ასტროფიზიკოსი იყო და ნაყოფიერად მოღვაწეობდა საზღვარგარეთის დიდ კვლევით ცენტრებში. რელიგიისკენ მისი გადახანკვლება იმან გამოიწვია, რომ მიხვდა: უემოთ ნასენებ „უხილავ ცას“, ანუ ტრანსცენდენტს, იგი „ველარც ოპტიკური და ველარც რადიოტელესკოპით, ველარც ინტერფერომეტრებითა და ველარც სპექტრომეტრებით ველარც გამოკვლევდა (...). ახლა თვითონ, გიგანი, უნდა ქვეუღიყო ობსერვატორიად და ტელესკოპის როლი გულს ეთამაშა, **ვულ გულს**, გიგანტური თუფშის მსგავსად მუდამ უსახელოსკენ რომ უნდა საინტელიყო ატრონომეტრებით და თავისი ანტენებითა და სარკებით აერეკლა უხილავი, რომელსაც გახილავდება დიდი ხანია უკვე აღარ სურდა“.

ეს გახლავთ ის მხატვრული პასაჟი, რომელიც უემოთ ვახსენე: როცა ხელსაწყოები ვეღარ შეგლიან, ასტრონომი თვით იქვეცა ლაბორატორიად, ადამიანი გარდაქმნება ობსერვატორიად, ხოლო ტელესკოპის როლს მისი გული ასრულებს.

გურამ პეტრიანიშვილს ერთი ასეთი ლექსი აქვს:

„მართლა თუ სჯერათ ამ ასტრონომებს,
რომ თავიანთ ტელესკოპებში ვარსკვლავს ხედავენ?
ჭრიჭინებით საცხე ბულულზე
თუ არა წევხარ ზაფხულის ღამით
და არ იგონებ
შენს სახეზე
ქალის თმების პირველ შეხებას,
განა ვარსკვლავს
ვარსკვლავი ჰქვია?“

ივლიანე გიგანის დამოკიდებულება მეცნიერებას და რელიგიისადმი ძალიან ნაგავს რომანტიკოსთა პოზიციას ან საკითხის, ვიფ ვილკელმ მრავლადგენდნენ. მეცნიერებას, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ოღონდაც რომ მოეყვება ადგილი რომანტიზმს და რომანტიკული ცხოვრების ხელისების ნაწილს წარმოადგენს; იგი ცხოვმარეც ცხოვრებისეული სინამდვილისა და გარემავარის ძირითადი სტრუქტურების აღმოჩენაში, ოღონდ რომანტიკოსი მეცნიერულ მოღვაწეობას მუდამ იმის შეგნებით ეწევა, რომ სინამდვილე იმდენად მრავლისმომცველია, მას ერთად აღებულ იყვლა მეცნიერებაც კი ვერ გამოიკვლევს ბოლომდე; იგი (სინამდვილე) მუდამ საოცარი, მიუხედავად იმისა და იდუმალენით მოქმედ რჩება (...). [ამრავად] მეცნიერება კი არ უარყოფა [რომანტიზმის ეპოქის ხელოვანთა მიერ, - ლ. ბ.], არამედ მისი ოპტიმიზმი, პოზიტივიზმი, ობიექტივიზმი მიიჩნევს ფარდობითად, რომანტიკოსი სათანადო აღსანივას იცავს ცოდნის პროტენზულობის მიმართ და იმ აზრზე დგას, რომ მეცნიერების სფეროს მიღმა კიდევ არსებობს „რეალც“, და რომც არ არსებულებო, უნდა გამოგვეკოვებინა. საქმე ესხა არა მეცნიერებისა და რაციონალიზმის სხვა რამით ჩანაცვლებას, არამედ შეგნებას, სხვაგვარად სამყარო მოშველი და ცივი, უსამველოდ მოსაწყენი იქნებოდა“.

რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმმართველობის თაობაზე საქართველოს ადრეც უფიქრით. კერძოდ, გამორეც ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში ილია ჭავჭავაძე ამბობს:

„მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, - საერო, თუ სამღვდელი, - რომლის გულსაც მომეტებულის მჭვრეტობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაიბნევებულიყოთ სამომქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მინვენილი მეცნიერი იყო და იმოღვაწევედ ღრმად-მორწმუნუნიცა. შეგახსენებთ: გამორეც ეპისკოპოსი, გარდა იმისა, რომ ფიზიკასა და მათემატიკას ასწავლიდა, გახლდათ ავტორი წიგნისა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც რუსეთის სემინარიებში სახელმწიფოებოდა გამოყენებოდა. - ლ. ბ.). აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმავტებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრს აჭვონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მავალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.“

ქვეყანა, ბატონებო, სახეცა ხილულითა და არა-ხილულითა ადამიანის სულიერი და ზორციელ თვალსათვის. ერთის ბრძენისა არ იყოს, „შოვი საგანი, რომ თუ არ დიანახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგიერთ იმისთანა, თუ არ ირწმუნებ, ვერ დიანახავ“.

მწელია ამაზე უკეთ, მკაფიოდ და ამომწურავად ითქვას რამე ამ უწმინველმოვას საკითხზე! ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ივლიანე გიგანი მარტო ბუნებისმეტყველებ კი არ არის, პუმიანოტარიც გახლავთ ციოლინოზე უკრავს, უყვარს, იცის და



ესმის პოეზია...). ჩვენ გვასწავლიდნენ, პროგრესული არის ის, რაც ხელს უწყობს საწარმოო ძალთა განვითარებას. მართალია, „საწარმოო ძალებში“ ადამიანებიც იგულისხმება, მაგრამ ამ ნათქვამს არ ეტყობა, რომ მისი მიზნით ადამიანის, როგორც მწარმოებელი არსების, სულიერ განვითარებაზეც მიგვანიშნებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ყველაფრიდან ჩანს, რომ „საწარმოო ძალთა განვითარებას“ ამბობდნენ, მაგრამ არსებითად **წარმოების განვითარებას** გულისხმობდნენ. და ამ წარმოებას მართლაც ზღაპრულ დონეს მიაღწია, ოღონდ ჩვენი საარსებო გარემოს უონყალო ექსპლუატაციის ხარჯზე; ინდუსტრია განვითარდა და ისე განვითარდა, ლამის თავზე დაგვაშობს თავილი სამყარო. წარმოების განვითარებაზე ორიენტირებულთ ადამიანი დაგვაივიწყდა, ანუ ის დაგვაივიწყდა, ვისაც უნდა ემსახურებოდეს წარმოება, რათა ადამიანმა უკეთ დაიკავშიროს თავისი სულიერი ინტერესები შინაგანი სიმშვიდის მოსაპოვებლად – იმ, მასსიმუმ, რამდენიმე ათწლეულ წლის განმავლობაში, რაც მისი ამქვეყნიური არსებობისთვის გაუმეტებია განგებას.

მოკლედ, იმ სიკეთეებს, რაც წარმოების ნინსვლას მოაქვს, სულიერად განსუითარებელი, სულიერ ფასეულობებს უზარბეული ადამიანი, სასიკეთოდ ვერ მოიხმარს, სხვებსაც დააღუპავს და თავსაც დაიღუპავს.

ეს გაბზავთ ამ რომანის ავტორის ერთი დიდი სატიკვარი და ეს არის ამავდროულად ჩვენი დროის ერთ-ერთი მიზეზი გამონგვევა გლობალიზაციის, საერთაშორისო ტერორიზმისა და გენდერის გვერდით, მაგრამ მას, სამწუხაროდ, ამითზე ბევრად ნაკლები ყურადღება ექცევა.

განსაზივარი რომანი არის მასგამო იმის გამო, რომ ინდუსტრიის სწრაფი განვითარება ჰუმანიტარული სფეროებისადმი ყურადღების შესუსტების ვითარებაში დამღუპველია. (ჩამოყოფილი უმთავრეს ჰუმანიტარული სფეროებს, რომელთა მიმართ უწყურადღებობა ძვირი უფუდება კაცობრიობას: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგია, ეთიკა – მეტადრე ეკოლოგიური ეთიკა, ესთეტიკა, ლიტერატურა და ხელოვნება, ისტორია, პედაგოგია...).

ინდუსტრიის ჰუმანიტარობაცისათან არის დაკავშირებული რომანში ცვლილებები დენის აღმოჩენისა და უამრავი სხვა ტექნიკური სასწაულის ავტორის, სერბიული წარმოშობის ინჟინერ-ფიზიკოსისა და გამომგონებლის, ლეგენდარული ნიკოლა ტესლას გახსენება.

„ის თავბრული ტექნოლოგიკი არა, სამყაროს ნინაშე მოწინებოთ აღბეჭდილ კაცო იყო“, ვკითხულობთ რომანში. ეტყობა, ამ მოწინების გამო საყარო მას ბევრი თავისი საიდუმლო გაუმხილა და აუბათ ბევრსაც გაუმხილდა, იმ ჟურის ადამიანებს რომ არ დავტროლებინათ, რომლებიც შზად არიან დოლარს ანაცვალონ დედამიწის მოშავალი.

„ჩვენს დროში მიწისძვრებს ხელს უწყობს დადამინიდან ნავთობის, აირის, ნახშირის უსასრულოდ ამოხავევა. რადგან რასაც დედამინა შეიცავს, ის, უპირველეს ყოვლითა, თვითონ სჭირდება ეს მისი სისხლი, ნვენი, პლავზმა, ცილა, ძვლებშიორისი სითხეა, ცენი კი ყველაფერს ართმევს! (...) ყველას აჩუმებენ, ვინც სხვა გამოსავალს სთავაზობს ადამიანებს!“ – აღმფიქვრებს გამოთქვამს ნიკოლა ტესლას ერთ-ერთი პატივცემელთაგანი რომანში.

ტესლას მიზანი იყო კოსმოსიდან მოეყოფეზინა უფასო ენერგია, მაგრამ ამ მიმართულეზბით მის ძიებებს კორტილი დაუსევა ნაფორებისა და ქვეანაზირის ნერპორაციათე ჟალისხენვამ, ვინაიდან მათ ამის შედეგად გაკოტრება ეშუქრეზობოდა.

და აი, რას დაემეგვანა ჩვენი საერთო სახლი – დედამინა:

„ნავთობი და ნახშირი და გაზი და ატომური ენერგია! და კიდევ მდინარეების დაგუბება ელექტროენერჯის მისაღებად! და ახლა: ნავთობი ჩადგრილი და ჩაფრინილი ყველგან: ზღვებზე და მიწაში! და რადიაცია ყველგან: მიწაში პაერსა და წყალში! და კაშხლების შექმნით განადგურებული ბუნება და დაგუბებული მდინარეებისგან გამომწვეული ნესტი და მიწისძვრები: აი, ჩვენი „დედა-სამყარო!“

ეს არის ფრაგმენტი საუბრისა, რომელიც გაიმართა ივლიან გიგანსა და მის უცხოელ კოლეგას, ასტრონომ რედიარდ ქოუტარდს შორის. ინდელითა შთამომავალი ქოუტარდი ასეა დახასიათებული რომანში: „გულს არასოდეს უხსნიდა ბოლომდე [უკლიანესს], თუმცა მგრძნობიარე ჩანდა, რასაც უფიქვრე თანამედროვე ადამიანის მსგავსად, მალავდა...“.

ტექნოკრატის ეპოქამ მოიტანა – მგრძნობიარობა სამარცხვინო, მისაძესუთებულ თვისებათა შორის აღმოჩნდა, რაც სულაც არ იყო ასე, თუნდაც, ორი საუკუნის წინ. „გონება არ კრძალავს მგრძნობელობას“ („Vernunft verbiert nicht die Sinnlichkeit“) – ჟანრმუნებულ იყო ჰაინრიხ ჰაინე, ბოლო ემანუელ კანტი წერს: „როცა მგრძნობელობა და გონება ერწყმიან ერთმანეთს, მხოლოდ მაშინ იბადება ცოდნა“.

ბევრი სისასტიკის, სიღუბტირის, ვერაგობისა და გაუტანლობის თაობაზე არის თბრობა ამ რომანში. „გასახარი თუ არის რამე?“ – კითხულობს გიორგი ლობჟინიძე ნივს დართულ ბოლოექმში... და მისივე პასუსს ამ შეკითხვაზე ჩემი სტატიის ფინალად გამოვიყენებ:

„გასახარი ის არის, რომ ვერ კიდევ არსებობენ გამორჩეული ადამიანები, ინერება გამორჩეული ნაწარმოებები, რომ ადამიანებში მანიც არსებობს სიკეთე (...) და ერთმანეთისთვის დაბავებული ცალები და კაცები მანიც პოულობენ ერთმანეთს: აქ, ამ რომანში, რომელიც მრავალი სრულიად დაუვიწყარი პერსონაჟით ამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას!“

ალექსანდრა პიზარნიკი



ALEJANDRA PIZARNIK

დაიბადა 1936 წლის 29 აპრილს, ბუენოს-აირესის ერთ-ერთ პერიფერიულ უბანში, აველიანედაში, სადაც ორიოდე წლით ადრე დასახლდნენ მისი მშობლები, რუსულ-პოლონური სასაზღვრო ქალაქიდან, – როენოდან, – ფაშისტურ საფრთხეს გამოქცეული, ებრაული წარმოშობის, სამკაულებით მოვაჭრე წველილ (ალსანიშნავია როენოს სამინ-ლი პოლოკოსტი, როდესაც II მსოფლიო ომის დასაწყისში, 1941 წელს, ფაშისტების მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, ამ ქალაქში მცხოვრები 25 000 ებრაელიდან დახვრიტეს 20 ათასი ადამიანი. ამ დახვრეტას პიზარნიკების ოჯახის ვერცერთი წევრი ვერ გადაურჩა).



II მსოფლიო ომის შემდგომდროინდელ არგენტინაში გატარებული ბავშვობა ალ-
 ხანდარასთვის ტრავმატული, ემიგრანტობის გამო დაღდასმული პერიოდი, სადაც ცდილობს
 ცდილობს გაეციეს შიშებს, ტკივილებს და თავშესაფარს პოულობს ლიტერატურაში.
 ონარიკული და სიურრეალიზტური პოეტური ენებით ცდილობს გამოხატოს თავისი ყვე-
 ლაზე პრიმიტიული იმპულსები, რაც მას აქცევს ერთ-ერთ ყველაზე თავზარდამცემ, რე-
 ოლუციონერ ესპანურენოვან ქალ ავტორად.

ალხანდრა 1954 წელს ბაკალავრის ტიტულის მიღების შემდეგ აპარებს ბუენოს-
 არესის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, საიდანაც მალევე გადადის ჯერ უურნალისტიკის,
 შემდეგ კი ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რათა საბოლოოდ ყველაფერი მია-
 ტოვოს და მთელი თავისი დრო დაუთმოს წერას. სწავლის პერიოდში იკვებება მისი მეტრ-
 ძოლი, ძლიერი სული. ძალიან უცნაური, სიცოცხლის საოცარი ყინის მქონე ახალგაზრდა
 ცდილობს, იმ ეპოქის არგენტინაში ძალდატანებული, თავსმოხვეული საზოგადოებრივი
 ნორმების წინააღმდეგ იარსებოს. 1960 წელს მიემგზავრება პარიზში, სადაც კარს უხსნიან იმ
 ეპოქის ინტელექტუალური წრეები. ისეთ ავტორიტეტებს, როგორებიც არიან ხულიო კო-
 რტასარი, ოქტავიო პასი და ხუან-ხაკობო ბახარლია, მის მიმართ სიმპათია უჩნდებათ და
 ესმარებიან რელიური პოეტინცილისათვის კალაპოტის მიცემაში. ალხანდრა სორბონში
 სწავლობს ფელოგის და ფრანგული ლიტერატურის ისტორიას. ბევრს მუშაობს საყვარე-
 ლი ფრანგი პოეტების თარგმნაზე. არტო, რემბო, ბოდლერი და სხვები მასზე უზარმაზარ
 გავლენას ახდენენ. პარალელურად, სხვადასხვა გამოცემებში იბეჭდება მისი პოეტური
 თარგმანები. ის თავის ნაწარმოებებში პოსტტენციენტალისტურ ხაზს აკეთობს, რის
 შემდეგაც ვერც თოდებულა. „დაწყებული პოეტია“ რიცხვში მოხსენიებული.

მისი ლიტერატურული შემკვიდრობა თავმოყრილია შემდეგ წიგნებში: „უცხოთა მიწა“
 (1955), „უკანასკნელი უბნოება“ (1956), „დაუნწყებული თავგადასავლები“ (1958), „დინას ხე“
 (1962), „შრომები და ლაბები“ (1965), „ფილოსოფიური ქეის ამოღება“ (1968), „მუსიკალური
 ჯგოფები“, „მოკლე სიმღერები“ და „პირსისხლიანი გრაფინა“ (1971). მისი გარდაცვალების
 შემდეგ გამოიცა ლექსების ბოლო კრებული „აკრძალული ზონა“ (1982).

1965 წელს მას გადაეცა ბუენოს-აირესის მუნიციპალური პრემია პოეზიისათვის;
 1969 წელს გუგენჰაიმის გრანტი ხელოვნების დარგში ლათინური ამერიკისა და კარიბის
 ზღვის ქვეყნებისათვის; 1971 წელს კი ფულბრაიტის გრანტი.

ალხანდრა პიზარნიკის შემოქმედება უნიკალურია იმით, რომ სრულიად ავტობიო-
 გრაფიულია. ავტორი ცდილობს, საკუთარი სურვილების თუ დაფარული კომპლექსებ-
 ის, ლესბოსელობის, ბავშვობის ტრავმების გამოხატვას, მაგრამ ყველა ეს ელემენტი მის
 მეტაფორულ, სიურრეალისტურ თუ სიმბოლისტურ თავზარდამცემ ენაში ისე თავსდება,
 რომ იქნება განსაკუთრებული, განუმეორებელი პოეტური ხმა. შეიძლება ითქვას, რომ
 ალხანდრას პოეზიის მემკვიდრეობით, იმ ტერიტორიებზე შედწევით, სადაც მანიები, ენებები,
 საზოგადოებრივი აკრძალვები ბინადრობენ, საკუთარი თავის პოვნა სურს. ესაა ლა-
 ბირინთი, საიდანაც ის უკვე ვეღარ ახერხებს გამოსვლას.

ალხანდრა პიზარნიკის ყველაზე დიდი ღირსება აღბათ მისი სიამაყეა, რომელ-
 მაც საშუალება მისცა, შეექმნა უდიდესი სიღრმის მქონე ლექსები. მის შემოქმედებაში
 ვხვდებით ქალს, რომელიც ცხოვრობს, ოცნებობს, სდის სისხლი და ცრემლები. მწუხარე
 სულის არსებას, რომელსაც სიცოცხლის დიდი ძალა აქვს. სულს, რომელიც შეტეროპა-
 ტრიარქალური სოციალური სტრუქტურის მიერ თავსმოხვეული ნორმების გამო მერყე-
 ობს ეროტიკულიობასა და დათრგუნულ სურვილებს შორის.

სიცოცხლის ასეთი დიდი ძალის მიუხედავად, ის მაინც ვერ გაუარბის საკუთარ
 აჩრდილებს. უჭირს ღრმა დეპრესიებთან გამკლავება და 1972 წლის 25 სექტემბერს, ფსი-
 ქიატრიული საავადმყოფოდან ექიმის ნებართვით, დაუთმავრებელ წიგნზე სამუშაოდ
 ორი დღით სახლში წასული, იღებს ანტიდეპრესანტივების მთელ ფლაკონს და საუფიადოდ
 ხუტავს თვალებს...

Alexandra



ნავიანის მოლოდინები

ვერაფრით რომ ვერ ივიწყებ, ის გაგლეგება რა ფუტურთა, ლანდთა მიერ უარყოფილი, რა ფუტურთა, დროთა მიერ ვერმიღებული - ის ცოდი ნამი, ჩემს სითბოში შემოპარული. ფრთების სისხლი კი სულ ბოლომდე გამომვლეგებულა, თვალიც არაა, ნამყოს დარდი რომ გაიხსენოს, ტუჩიც არაა, სისასტიკის გემო რომ ხვრიბოს, და ჩაყარგულა სამრეკლოში, ჩამიგრეულში.

შემოუშვი იგი შენში, სულით ბრმა ბავშვო, დანამული შენი თმები ცეცხლთან გაშალე, შიშის პატარა ქანდაკებაც ჩაიხუტე და დაანახე ის სამყარო, შენს ფერხთით რომ თრთის - დაანახე ის მერცხლები, მყოფადის წინ შიშისგან რომ იხოცებიან, უთხარი, რომ ზღვის სუნთქვები დამპერავენ მხოლოდ იმ სიტყვებს, ამ ცხოვრებას აზრს რომ აძლევენ.

თუმცა კი იმ გაელვებას, ფუტურო ოფლი არაფრისგან რომ გვაღვრევიან და ბედისწერის მღვიმეშია გამომწყვდეული, ხელები აქვს წართმეული, არაფერი რომ არ წამოსცდეს, ხელები აქვს წართმეული, პელები რომ არ აჩუქოს დაბოცილ ბავშვებს.

ფარფლის წრები

კრისტინა კამპოს

სიმღერა რომ ისმის, ეს ჩემი ხმაა, იბათი ხმა რომ არ ისმოდეს, ვისაც პირი რაღაც რუხით აღიონზე ამოუჭოლეს და ჩააცვეს მოუსაფარი ჩიტების კაბა შუა წვიმიან.

კუნავეტის ლოდინის ჟამს იასამნის ნაზი ტოტების მტვრევის ჩურჩული მოსამის ხოლმე, დღე როცა დგება მზის დისკო შვე ნაწილებად იმსხერვედა და საზარელი ისმის ხმაური, ხოლო როცა დამეა, მუდამ სამალავს ეძებს დასახიჩრებულ სიტყვათა ხროვა ამ ჩემს ხორხში, იმათი ხმა რომ არ ისმოდეს - მდუმარების ჭირისუსფალთა.

მოვიდენ, სისხლში შემოვიდენ, ბუმბულის, ცრემლების, შიმშილის სუნი სდით. შენ კი ასაზრდოებ შიშს და სიმარტოვებს, როგორც უდაბნოში დაკარგულ ცხოველებს.

მოვიდენ, ცეცხლი რომ გაუჩინონ ასაკს სიზმრებისას. ეს შენი ცხოვრება შვავს დამწვადობებს. თავს ეფერები, იკლაკნები, შენს თავზე იხვევი შემოლილი გველივით, რომელიც მხოლოდ თავის თავს პოულობს, რადგან გარშემო არავინ არ არის.

ცრემლებს ღერი, ქვითინებ, სურვილების ჯადოსანურ სამალავს ხსნი და ხედავ, რომ ღამეზე უფრო მეტად ტკბილი ხარ.

მაგრამ სიმარტოვე იმდენად მძაფრია, რომ სიტყვებით კი თვითმკვლელობას სწავიან.

ფარფლი

ბნელი ღამე გაოგნებული შემომყურებდა და ვარსკვლავებად დამემსხვრა თავზე. ჯავრითაა შავრი საცხე, თუმც ულამაზებს მუსიკა სახებს.

ჩვენ მალე წავალთ.

ტაროს დასტიდან ერთი ქალაქი წინაპარია ჩემი ღიმილის. მთელი სამყარო შემოჭლია, ბორკილი ადებს, გასალები კი არაა არსად, და შიში არის, ხოლო ცრემლი არსად არ არის.

რას ვუზამ ჩემს თავს?

რადგან რაცა ვარ, შენით ვარ მხოლოდ

და ხვალინდელი დღე არა მაქვს

რადგანაც შე შენ...

და ნამდება ღამე.



ჩემი თვალუბიც ოცი წლისაა
არაფრისმთქმელი ჩემი თვალუბი

უფალო
ნამის გავლევებამი გავხარჯე მე მთელი სიცოცხლე
გასკდა სულ ბოლო უზინოებაც
ახლა და აზნამს ან არასდროს მეტი არასდროს
ანდა უზარალოდ ის რაც უკვე აქამდე იყო

სარკის წინამე თავს რად არ ვიკლავ?
რომ გაეჭრე და შემდეგ ზღეამი გაეჩნდე ხელახლა
სადაც დიდი გემი მიცდის
ანთებულ ფარნით?

რატომ არ ვცდილობ სისხლძარღვები ამოვიწყო?
მათი გზაკეკას რატომ არ ვზომავ
რომ გადავწვედე შუალამის უხილავ მზარეს?

დასანყისმა დასასრულის შუქი დაბადა
ყველაფერი უცვლელი რჩება
ეს სიცოცხლის გრიბსები მთლად გაცვეთილი
ინტერესი ინტერესების
კითხვები ქვიდან ქვაზე მავალი
ფესტები რითიც ტრფობას ბაძვენ
ყველაფერი რჩება უცვლელი

კვლავ სურს ჩემს ხელებს ჩაიხუტოს მთელი პლანეტა
მათთვის ზომ ვუერ არავის უთქვამს
რომ უკვე ძალზე გვიანი არის

უფალო
სისხლის კუბოები გადმოაფრქვე

მასხენდება ჩემი ბავშვობა
ბებრუნხანა ვიყავი მაშინ
მაქტებოდა ვარდები ხელებში
იმიტომ რომ მათ გულს უკლავდა
სიხარულის ველური ცეკვა

მასხენდება მზიანი და შავი დღეები
პატარა ბავშვი ვიყავი როცა
ანუ გუშინ
ანუ ერთი საუკუნის წინ



უფალო
გალია გარდაისახა ჩიტად
და იმედები გაქურდა ჩემი

უფალო
გალია გარდაისახა ჩიტად
რა ვუყო ამ შიშს

გამოლვიკვა

ლენი ოსტროვს

უფალო
გალია გარდაისახა ჩიტად
და გაფრინდა
და ჩემი გული გაგჟიდა
უევირის სიკვდილს
და ჩემს ზოდვას უღიმის
ქარიშხლის უკან

რა ვუყო ამ შიშს
რა ვუყო ამ შიშს

ჩემს ლიმილში აღარ თამაშობს სინათლის სხივი
წელიწადის აღარცერთ დროში აღარ ისმის
ყივინა მტრედების რომ აფეთქდნენ ამ ჩემს ფიქრებში
ჩემი ხელები გაიქცნენ იქით
სადაც მკვდრები
ასწავლიან სიცოცხლეს სიკვდილს

უფალო
ჰერი ჩემს არსებას წამლავს და ტანჯავს
ჰეროს უკან კი მონატრებია
ჩემი ძარღვიდან სისხლს რომ ხაფავენ

ამაშია უბედურება
შიგნით კი ფუტურო სიცარიელე
ტოჭებზე კლიტის დადების დროა
მსჯავრდებულების ყვირილის დროა
სახარობელასუ თითოეული ჩემი სახელის დაკიდების
განაჩენის სვირის დროა

უფალო
მე ოცი წლისა ვარ

ესპანურიდან თარგმნეს
ირაკლი მენტეშაშვილმა და შოთა იათაშვილმა



დასახიზიბნილან „ურობები და ლაბები“

ლაქსი

შენ ირჩევ ქრილობის ადგილს,
სადაც ჩვენს მდუმარებას ვლაპარაკობთ.
შენ აქცევ ჩემს ცხოვრებას
ამ უსპეტაკეს დღესასწაულად.

გამოცხადებები

ლამით, შენ გვერდით,
სიტყვები გასაღებდებიან.
სიკვდილის სურვილი ხდება მეფე.

დაე შენი სხეული ყოველთვის იყოს
გამოცხადებათა ძვირფასი სივრცე.

შენს დაბადების დღესა

მიიღე ეს სახე ჩემი, მდუმარე, მავედრებელი.
მიიღე ეს სიყვარული, რომელსაც ვითხოვ.
მიიღე ეს ნაწილი ჩემში, რომელიც შენ ხარ.

საყვარლები

ყვავილი
ლამის შორიახლოს
ჩემი მუნჯი სხეული

ემლება
ცვრის ფაქიზ მყისიერებას

როდესაც ანათებს

როდესაც მიყურებ,
ჩემი თვალები გასაღებებია,
კედელი ინახავს საიდუმლოებს,
ჩემს შიშს – სიტყვები, ლექსები.
მხოლოდ შენ აქცევ ჩემს მენსიერებას
აღწერითოვანებულ მოგზაურად,
მარადმწველ ცეცხლად.

აღიარება

შენ აქცევ მთრთოლვარე იასამანთა დუმილი
ჩემს ტრაგედიად ქარის გულში.
შენ აქცევ ჩემი ცხოვრება საბავშვო ზღაპრად,
სადაც დაბრწობა და სიკვდილი
წინაპირობებია სანუკარი დღესასწაულებისთვის.

შეხვედრა

ვილაც სიწუმეში შევიდა და მიმატოვა.
ახლა მარტოობა არაა მარტო.
შენ ღამესავით ლაპარაკობ.
წყურვილივით მეველინები.

ღაპინუა

ღამის მეორე ნაპირას
სიყვარული შესაძლებელია

– ნამიყვანე იქ –

ნამიყვანე იმ ტკბილ რაობებში
შენს მებსიყვრებაში რომ კვდებიან ყოველდღე

შენთვის სახალის ღარძევა

არა ღლეცი შენს არყოფნაზე,
ნახატი მხოლოდ, ნაპრალი კედელში,
რალაცა ქარში, მწარე გემო.

გამოშვილოება

საკუთარ ნათელს კლავს მიგდებული ცეცხლი.
გალობას იმაღლებს შეყვარებული ჩიტი.
ამდენი ხარბი არსება ჩემს მდუმარებაში
და ეს ციკუნა წვიმა, რომელიც თან მდევს.

შრომატი და ღამეები

რათა ამომეცნო წყურვილში ჩემი ემბლემა
რომ აღენიშნა მას უცალო სიზმარი
და მეტად აღარ მეკვება თავი სიყვარულით

მე ვიყავი მთელი შენირულობა
მგლის წმინდა ნეტიალი
ტყეში
სხეულების ღამეს

რათა შეთქვა უმნიველო სიტყვა

მწვანე სამოთხე

უცხო, რომელიც ვიყავი,
როდესაც შორეული სინათლებების მეზობლად
შევაგროვე მეტისმეტად წმინდა სიტყვები
ახალ სიწმინდა შესაქმნელად

გამოშვილა

ჟამი, როდესაც ბალახი იზრდება
ცხენის მებსიყვრებაში.
ქარი წარმოთქვამს უბინო სიტყვებს

შრომანების პატივსაცემად,
და ვილაც აბიჯებს სიკვდილში
თვალგაბეული,
როგორც ელისი უკვე ნანახის მხარეში.

განა

მუსიკალური ტყე

ჩიტები დამახატავდნენ თვალზე
ციკუნა გალიებს

განთიადი

შიშველს მესიზმრება მზიანი ღამე.
მე ვინეტი ცხოველი ღლეების მანძილზე.
ქარმა და წვიმამ წაშალეს,
როგორც ცეცხლს წაშლიდნენ, ანდა ღლეას,
დანერილს კედელზე.

საათი

ერთი ციკუნა ქალბატონი
რომელიც ჩიტის გულში ცხოვრობს
მწუხრის ყვამს გადის ერთი მარცვლის წარმოსათქმელად
არ

არარსაგულის გული

ნუ გადამცემ,
უნადღვლიანესო შუალამეო,
შუადღის უსუფთაო სითეთრეს

მღვარება

სიკვდილი მარად ჩემ გვერდით.
ეუსმენ, რასაც შეუბნება.
მხოლოდ საკუთარი ხმა მესმის.

სიწმინდა მოვითხოვ

თუმცა გვიანია, ღამეა,
და შენ არ ძალგის.

იმღერე ისე, თითქოს არაფერი ხდებოდეს.

არაფერი ხდება.

ესპანურიდან თარგმნა ირაკლი ყოლბაია



ნაქვემოთ მასალაზე აღეხანდნა ჰიზანნიკისათვის

(ინტერვიუ)

მართა იზაბელ მოია. შენს ლექსებში არის სიტყვები, რომლებიც ემბლემატურად მიმაჩნია, და რომლებიც მარტალსულ, აკრძალულ რამებზეა აღქვევნი შენს ლექსებში, ბავშვური ენებების, პოეზიის, სიყვარულის, სიკვდილის მსგავსებზე. მეთანხმები, რომ სიტყვები – ბალი, ტყე, სიტყვა, მდუმარება, ხეტიალი, ქარი, გულსიტყვილი და ღამე ერთდროულად ნიშნებიცაა და ემბლემატები?

ა.პ. ვფიქრობ, ჩემს ლექსებში არის სიტყვები, რომლებსაც განუწყვეტელი ვიმეორებ, ვიმეორებ უმოწყალოდ და დაუნდობლად: ბავშვობის, შიშების, სიკვდილის, სხეულთა ღამეების სიტყვები. ანდა, უფრო კონკრეტულად, სიტყვები, რომლებსაც შენს შეკითხვაში გამოყოფ, ერთდროულად ნიშნებიცაა და ემბლემატები.

მ.ი.მ. დავიწყეთ, მამ, ყველაზე საამურ სივრცეებში შეზღუდებით: ბალსა და ტყეში.

ა.პ. ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე მომავადობებელ და მომხსენებელ ფრაზას პატარა გოგონა ელისი წარმოთქვამს საოცრებათა ქვეყანაში: „მე მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ ბალი შენაა“. ელისისთვისაც და ჩემთვისაც, ბალი შეხვედრის სივრცეა, ანდა, როგორც მირჩა ელიადემ თქვა, სამყაროს ცენტრი. ეს ცოდნა ამგვარ წინადადებას მთავარბო: ბალი მწვეხვს ტვინში. ამ ჩემ მიერვე მოფიქრებულ ფრაზას სხვა, გასტონ პალმარის ფრაზასთან მიყვარ, რომელიც, ვიმედოვნებ, სწორად მასხვია: „სიზმარ-მეხსიერების ბალი, დაკარგული ქვემარტი ნარსულის საიქიოში“.

მ.ი.მ. რაც შენს ტყეს შეეხება, როგორც ჩანს, ის მდუმარების სინონიმია. მაგრამ სხვა მნიშვნელობებსაც ვგრძნობ მასში. მაგალითად, ის შეიძლება აკრძალულსა და დეფარულზე მიანიშნებდეს.

ა.პ. რატომაც არა? მაგრამ ის აგრეთვე, შეიძლება, აღნიშნავდეს ბავშვობას, სხეულს, ღამეს.

მ.ი.მ. ოდესმე შეგიბრუნებია ბალი?

ა.პ. პრუსტი, სურვილის ანალიზირებისას, ამბობს, რომ სურვილს არ სურს, რომ გააანალიზონ, მას სურს, რომ დააკმაყოფილონ. მე არ მსურს ბავშვულ საუბარში, მისი დანახვა მიინდა. ცხადია, რასაც ვამბობ, მინიც უმნიშვარი და ქარაფუტულია, მაგრამ ამ ცხოვრებაში ვერას-

დროს ვშვრებით იმას, რაც გვსურს. რაც კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ ბალის ხილვა გვსურდეს, თუნდაც ეს შეუძლებელი იყოს, განასურთებები, თუ ეს შეუძლებელია.

მ.ი.მ. სანამ შენ მასსხვობდი, შენმა ხმამ ჩემს მესხიერებაში მიპასუხა ფრაზით შენი ლექსიდან: „ჩემი საქმე მოხმობა და განდევნა“.

ა.პ. სხვა მიზეზებთან ერთად, მე იმის გამოც ვწერ, რომ რისიც შემინია, ის არ მოხდეს; რათა არ იარსებოს იმან, რაც ქრილობას მაყენებს; თავი დავიფარო ბოროტისაგან (კავკას). ნათქვამია, რომ პოეტი დიდი თერაპიუსტია. ამ გავებით, პოეტური ამოცანის ნაწილია ექსორციზმი, სულთგამოხმობა და, ამის მიღმა, განკურნება. ლექსის დანერა ფუნდამენტური ქრილობის განკურნებას ნიშნავს, ხლეჩვის შეხორცებას. რადგან ყველა ჩვენგანი დაქრილია.

მ.ი.მ. იმ მრავალ მჭიდფროათავან ერთ-ერთი, რომლითაც შენ ამ ფუნდამენტურ ქრილობას ქმნი, არის ის, რომელიც განსაკუთრებით ცხადად აღმუქვდა მესხიერებაში, იმის გამო, თუ რამდენად იმოქმედა მან ჩემზე – ფრაზა ერთ შენს ადრეულ ლექსში შემხვდა, სადაც წერ: „განციფრებული მსეცი ჩემს სისხლში მითრეხს საკუთარ თავს“. და მნახს, რომ ქარი ამ ქრილობის ერთ-ერთი მთავარი ავტორია, რამდენადაც ის დროდადრო იხსენიება შენს ლექსში, როგორც „დიადი მტანჯველი“.

ა.პ. მე მიყვარს ქარი იმის მიუხედავად, რომ, სწორედაც, ჩემი წარმოსახვა მას ხშირად აღჭურვავს ხოლმე მძვინვარე ფორმებითა და ფერებით. ქარისგან დაბეგვილი, მე მიფიფარ ტყეში, დავებეტიბი ბალს ძიებაში.

მ.ი.მ. ღამით?


ა.პ. მე ღამისა ცოტა რამ ვიცი, მაგრამ ვუერთდები მას. მე ეს ერთ ლექსში ვთვით: „მთელი ღამე მე ღამე ვქმნი, მთელი ღამე ვწერ. სიტყვა-სიტყვა ვწერ ღამეს“.

მ.ი.მ. ერთ ადრეულ ლექსში შენ ღამესაც შეუერთდი.

ა.პ. მდუმარება: ერთადერთი ცდენობა და უღიდესი პირობა. მაგრამ ვგრძნობ, რომ „დაუღალავი ჩურჩული“ მინად გროვდება (რა კარგად ვუწი, თუ საით მიედინება მოხეტიალე ენის შადრეგანი). ამიტომ ვებედავ, ვთქვა, რომ არ ვიცი, მდუმარება თუ არსებობს.

მ.ი.მ. იმ „მეს“ ერთგვარ კონტრაპუნქტად, რომელიც ღამეს ერწყმის, ვებედავ „უცხოის“; „უღაბნოს მდუმარე ბინადარს“; „პატარა მოგზაურს“; „ჩემს მისივე თავისგან ემიგრანტს“; იმას, რომელსაც სურდა „კლავიკუმბი შესვლა, რათა შევედნოა მუსიკის შიგნი, რათა სამშობლო შქონოდა.“ ესენი, შენი სხვა ხმები, ისინი, რომლებიც შენი ხეტიალის ხელობაზე მეტყველებენ – რაც შენს ქვემარტივ ხელობად მესახება.

ა.პ. თრკობის ფრაზა მაგონდება: „კაცი უცხოა დედამინაზე“. მნახს, რომ, ყველა სხვას შორის, პოეტი ყველაზე მეტად უცხოა. მეწერა, რომ პოეტის ერთადერთი თავშესაფარი სიტყვაა.



მი.მ. შენ გაქვს შიში, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ თავშესაფარს: „მის არცოდნა, თუ როგორ დავახახოთ ის, რაც არ არსებობს“. სწორედ ამ დროსაა, რომ ენას ემაღლები.

ა.მ. მინდა, ორპარტიულობით ვცადო განმარტება: მე ენისგან ენაში ვიმაღლები. როდესაც რაღაცაა – მათ შორის არარასა – სახელი აქვს, ის ნაკლებ მტრული გვეჩვენება. და მინც, მაქვს ექვი, რომ მთავარი უთქმელია.

მი.მ. ამიტომ ეძებ „ფიგურებს, რომლებიც ცოცხლად ვეხსახებიან აქტიური ენის წყალობით, რომელიც მათ გულისხმობს“?

ა.მ. მე მაქვს გრძობა, რომ ნიშნები, სიტყვები მიაჩნებნენ, გულისხმობენ. ენის შეგრძნების ამ რთულ გზას მიყვარ რწმუნასთან, რომ ენა რეალობას ვერ გამოხატავს, რომ ჩვენ მხოლოდ თვალდათვალს შესახებ შევძლებთ ლაპარაკი. აქედან მომდინარეობს ჩემი სურვილი, შემზარავი სიზუსტის მქონე ლექსები შევქმნა, მიუხედავად ჩემი თანაშობილი სურ-რეალობისა და იმ ფაქტისა, რომ შინაგანი აჩრდილების ფლემინგებით ვმუშაობ. სწორედ ეს ახასიათებს ჩემს ლექსებს.

მი.მ. და მინც, შენ აღარ ეძებ სიზუსტეს.

ა.მ. მართალია; მე მინდა, ლექსი თავად დაიწეროს, ისე, როგორც მას სურს. მაგრამ მიჩრეწენია, ანუყოფი არ ვილაპარაკო, რადგან ის ჯერ თითქმის არც კი დაწერილა.

მი.მ. იმის მიუხედავად, რომ ამდენს წერ?

ა.მ. ...

მი.მ. „სახელის დარქმევს არცოდნა“ დაკავშირებულია სურვილთან, მიაგნო „რაიმე ფრაზას, რომელიც სრულეთი შენია“. შენი წინი, „შრომები და ლაშქრები“ მრავალმთქმელი პასუხია, რადგან მასში სწორედ შენი ხმები ლაპარაკობენ.

ა.მ. ამ ლექსებზე ბევრი ვიმუშავე და უნდა ვთქვა, რომ მათი შექმნისას საუთარი თავი შევქმენი, და მე შევიცვალე. ჩემში ვატარებდი იდეალური ლექსის ფორმას და მე მას მივადინე. ვიცი, რომ არავის გვაგარ (ეს უხედურებაა). ამ წინგმა მომცა ბუნდობლება, წერაში თავისუფლება მეპოვა. თავისუფალი ვიყავი, შემქმელი ჩემი თავისგან ისეთი ფორმა შემქმნა, როგორც მსურდა.

მი.მ. ეს შიშები თანარსებობენ იმ სიტყვების შიშთან, რომლებიც ზრუნდებიან. რა სიტყვებია ესენი?

ა.მ. მესხიერება. მე ვუცქერ გაქროლებული სიტყვების მდინარებს, და თავი დაუცველ და პასიურ მაცურებლად მიგრუნებ.

მი.მ. მე ვთვლი, რომ სარკე, მეორე მხარე, აკრძალული ზონა და მისი დაფიქრება შენს შემოქმედებაში „ორად ყოფნის“ შიშს წარმოქმნის. შე-

დგად, შენი შემოქმედება გაურბის დოპელგანგერის¹ სახელებს, რათა მოიცავს ყველა, ვინც კი ყოფილხარ.

ა.მ. მართალი ხარ. ყველა იმთავანის შიში, ვინც ჩემსუხედავად მტრულყოფს. ანრი მიშოს ერთ ლექსში ასეთი ფრაზაა: „მე ვერ ვილაპარაკებ მასზე, ვინც-მე-იყო და ვინც-მე-იყო ლაპარაკობს ჩემზე [...] არავინაა მარტო საკუთარ ტყავში“

მი.მ. ეს რაიმე კონკრეტულ მომენტში ხდება?

ა.მ. როდესაც „ხნის ქალაქი“ წვალატობს.

მი.მ. შენი ერთი ლექსის თანახმად, შენი ყველაზე ლამაზი სიყვარული სარკეების სიყვარული იყო. ეს ხედავ მათში?

ა.მ. ვხედავ სხვას, რომელიც მე ვარ (სინამდვილეში, სარკეებისადმი გარკვეულ შიშს განვიცდი). დროდადრო, ჩვენ ვერთდებით. ეს თითქმის ყოველთვის მაშინ ხდება, როცა ვწერ.

მი.მ. ერთი ლაბით, ცირკში, შენ აღადგინე დაკარგული ენა, „იმ წამს, როდესაც მხედრებმა, ჩირაღდნებით ხელში, მივინვარე ჩვენზე გააყენეს თავიანთი შავი რაშები.“ რა არის ეს რაღაც „რაც მინაწვდის ჩემს გულს იმ მსურველ ბეგრების მსგავს რაშს, ფლოქები რომ გამოსცემდნენ ქვიშებს“.

ა.მ. მე უპოვნელი ენის პოვნას ვცდილობ.

მი.მ. იქნებ შენ ის მხატვრობაში იპოვე?

ა.მ. ხატვა მიყვარს, რადგან მხატვრობაში ეპოელობ შესაძლებლობას, მდუმარედ შეეცმიანიო ჩემი შინაგანი ლანდების ხატვების. ანასთან ერთად, მე მიზილავს მითომანის ნაკლებობა მხატვრობის ენაში. სიტყვებით მუშაობისას ან, უფრო ზუსტად, ჩემი სიტყვების ძიებისას, ვანყვები დაძაბულობას, რომელიც მხატვრობაში არ გხვდება.

მი.მ. რა გზივდება ასე ძალიან რუსოს „მძინარე ბოზა ქალში“?

ა.მ. ეს ტილო საცირკო ცხენების ენის ექვევალენტია. ვისურვებდი, დაქმენრა რაიმე ამ ნახატის მსგავსი, რადგან მასში მდუმარებაა და, ამავე დროს, მინიშნებები მძიმე და მანათობელ რამეებზე. აგრეთვე განსაკუთრებით მიყვარს ბოსხის, კლეუს და ერნსტის შემოქმედება.


მი.მ. და ბოლოს, მანტერესებს, ოდესმე თუ დაგისვამს საუთარი თავისთვის შეკითხვა, რომელსაც ოქტავიო პასი სვამს „მშვილდისა და ლორის“ წინასიტყვაობაში: „განა არ აჯობებდა, ცხოვრება გვექცია პოეზიად და არა პოეზია ცხოვრებად“?

ა.მ. ამაზე ჩემი ერთ-ერთი ახალი ლექსით ვიპასუვებ: ვნატრობ, მხოლოდ ეესტაში შემქმნოს ცხოვრება, ლექსის სხეულს ჩემივე სხეულით ვქმნიდე, ყოველ წინადადებას ჩემი დღეებითა და კვირებით ვიხსნიდე, ლექსს ჩემი სუნთქვით ვფლუნთავ, სანამ ყველა სიტყვის ყველა ასო მსხვერპლად არ შექმნირებოდა ცხოვრების ცერემონიებს.

გამოქვეყნებულია ურნალში *El deseo de la palabra*, ბარსელონა, 1972 წელი.

ესპანურიდან თარგმნა ირაკლი ყოლობაიამ

¹ (გრემ), „ორული“ – რომანტიზმის პერიოდის ლიტერატურაში ესაა ადამიანის ორული, რომელიც ჩნდება როგორც პროვინების ბნელი მხარე ან მდარველი ანგელის ანტიოთხა. ზოგიერთ ავტორთან ან პერსონაჟს არა აქვს ჩრდილი და არ ირეკლება სარკეში. მისი გამოჩენა ხშირად მთავარი გმირის სიკვდილს მოასწავებს.



სურათის ბიძიკები

I.

და, რაც მთავარია, უცოდველად იყურო. ისე, არაფერი ხდებოდეს თითქოს. რაც ასეა, მართლა ასეა.

II.

მაგრამ შენ მინდა გიყურო, სანამ შენი სახე არ გაეცლება ჩემს შიშს, როგორც ჩიტი ღამეს ბასრი პირიდან.

III.

როგორც გოგონა, დახატული ვარდისფერი ცარცით მეტად ძველ კედელზე და წვიმის მიერ უმალ წაშლილი.

IV.

როგორც როდესაც იშლება ყვავილი და ამქლავნებს გულს, რომელიც თურმე არ აქვს.

V.

ჩემი სხეულის და ჩემი ხმის ყოველი ვესტი, ძღვნად რომ მაქციონ, ტოტად, ქარმა უცებ ზღურბლზე რომ მიატოვა.

VI.

შენი სახის მუხსიერება იმის ნიღბით დაფარე, ვინც იენე-ბი და ის გოგონა დააფრთხე, ვინც ადრე იყავი.

VII.

ორივეს ღამე ნისლმა გაფანტა. ეს ჟამია ცივი საკვების.

VIII.

და ნყურვილი – ჩემი ნყურვილის მუხსიერება, მე დაბლა, ფსკერზე, ჭაში, მე ვესამდი, მე ასე მახსოვს.

IX.

დაცეც, როგორც დაჭრილი ცხოველი, იქ, სადაც გამოცხადებთა ადგილი იყო.

X.

როგორც ის, ვისაც არაფერი უნდა. სულ არაფერი. პირი ამოკერილი. ქუთუთოები ამოკერილი. ჩემი თავი დამავიწყდა. შიგნით ქარია. ყველაფერი ჩარაზული და შიგნით ქარი.

XI.

მღუმარების შავ მზეში სიტყვები მო-ოქროვილან.

XII.

მაგრამ მღუმარება ცხადია. ამისათვის ვნერ. მარტო ვარ და ვნერ. არა, არ ვარ მარტო. არის აქ ვიღაც, ვინც თრთის.

XIII.

რომც ვთქვა მზე და მთვარე და ვარსკვლავი, ვგულისხმობ იმას, რაც მემართება. და აბა, რა მსურდა?

მსურდა სრული სიწყუმე. ამისთვის ვსაუბრობ.

XIV.

მგლის ყმულის ფორმა აქვს ღამეს.



XV.

წინასწარგანჭვრეტილ სურათში დაკარგვის სიაში. მე წამოვდექი ჩემი გგამიდან და წავედი საკუთარი არსის საძებნად. პილიგროში ჩემი თავისგან, გავეშურე იმისაკენ, ვისაც ქარპირა მხარეში სძინავს.

XVI.

ჩემი უსასრულო დაცემა ჩემს უსასრულო დაცემაში, სადაც არავინ მელოდა, რადგან რომ შევხებდე მას, ვინც მელოდა, ვერ ვიხილე ვერავინ, გარდა ჩემი თავისა.

XVII.

რალაც დაცვა მდუმარებაში. ჩემი ბოლო წიგნები მთელი თუმც ვიფულისხმე განთიადი მანათობელი

XVIII.

ყვითელი ყვავილები ლურჯი მინის წრეს ათანავარსკვლავედებენ. ქართლსაც ნაწალი ცახცახებებს.

XIX.

დღის თვალისმომჭრელობა, ყვითელი ჩიტები დილით. ხელი სიბნელეს ნასკეგავს, ხელი მიათრევს დამხრჩვალ ქალის თმას, რომელიც სარკეში მიმოსვლას არ წყვეტს. სხეულის მესსიერებასთან დახაბრუნებლად, უნდა დაფურუნდე ჩემს მგლოვიარე ძვლებს, უნდა გავიგო, ჩემი ხმა რას ამბობს.

**რენეზარები
ჰოჯოია**

რა არის პოეზიის მნიშვნელობა დღევანდელ სამყაროში?

№1

ჩვენ გვეჭრება ადგილი, სადაც შეუძლებელი შესაძლებელი ხდება. სწორედ ლექსია ადგილი, სადაც შესაძლებლის საზღვარი არღვევს კანონსა და ნესრიგს და რისკზე მიდის.

№2

პოეტს სხვა მხრიდან მოაქვს ახალი ამბები. ის აკრძალულის დესპანი თუ წარმომადგენელია, რადგან აღგვირავს სამყაროს საოცრებათა - ისევე, როგორც სიგიჟისა და სიკვდილის - კონფორტაციისკენ.

პოეზიის მოყვარულთა ერთი ციკქვა საიდუმლო საზოგადოების მიღმა, ყველას ემინია იმის აღიარება, რომ პოეზიასთან შეხვედრას მისი გათავისუფლება შეუძლია. რისგან გათავისუფლება? მაგრამ ესეც ყველასთვის ცნობილია.

*(12 დეკემბერი)

მწერლობა, რომელიც დატვირთულია, სავსეა საშინაოებით და ზიფათით - გამოიმდინ

ნარი მისივე მოზღვავებული გამჭვირვალობიდან; სრულიად კონკრეტული; დასაპროპორციულად მატერიალური, რამდენადაც ის ავლენს სახე-ხატებს, რომლებიც ყველაზე შორეულ, უცნობ და მოულოდნელ შინაგან ჩრდილებში იღებენ სათავეს. მწერლობა, რომელიც აუტანლად მკვირვია, ხრჩობამდე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ძლივსშესამჩნევი კავშირებისგანაა" ქმნილი, რომელსაც ძალუძს, განაპირობოს ერთსა და იმავე ზედაპირზე სუბიექტისა და ობიექტის უმანკო თანაარსებობა, და აგრეთვე წაშალოს ჩვეული საზღვრები მეს, შენს, მას, ჩვენსა და მათ შორის. ურთიერთკავშირები, მეტამორფოზები.

ჩემი ტანჯვა გადმოსცემს სურათებს, რომლებსაც „ხმის ქალწული“ ქმნის მეორე მხარეს, მოელვარე ცილთა გარემოცვაში. გადასვლა, რომლის განხორციელებაც მსურს დაძაბული სიზუსტით, რომელიც შემადებლობებდა, გამეწვრთნა შემთხვევითობა და ამინაზღაურებდა ჩემს სრულ მორჩილებას „ხმის ქალწულისადმი“.

პოეტური სიმართლის მგზნებარე საჭიროება. ეს ხმა ითხოვს, რომ მხილველური ძალა თანადროულად გათავისუფლდეს და შენარჩუნდეს, ის მოითხოვს წარმოუდგენელ თავდაჭერლობას ამ ძალის მიმართვისას [და ამ სახე-ხატების აგებისას].

მე ვერ ვამჩნევ, ვლამარაკობ პოეტურ სრულყოფაზე, თავისუფლებაზე თუ სიყვარულსა და სიკვდილზე.

*

ხუთშაბათი, 14 დეკემბერი, 1964

№3

„ჩემი ხმის ქალწული“ შთაგონებაცაა და არაცნობიერიც.

ესპანურიდან თარგმნა ირაკლი ყოლბაიაძე

ქეთევან ნათელაძე

დღეს შენი ქუჩაა ბროდვანი

შენ ამბობ, რომ მხოლოდ სულამდე ჩასული წვიმა ვარ,
რომ გზა გაქვს გრძელი და ჩემ შერეც ცხოვრებას აპირებ,
მიდიხარ და ჩემი თხოვნები მოგდევნე მიმავალს –
– არ ენდო მდორე ზღვებს და გულგამოღებულ ნაპირებს...

აქ რჩება ტყვილი და ყველა წერილი ბოძვავა,
ფოთლებით შემოსილ ღამეს გათენება უჭირდა,
მიდიხარ, რადგანაც დღეს შენი ქუჩაა ბროდვანი,
ათასი ქუჩაა შენამდე ფოთლების ქუჩიდან...

მოდიან ქარები და ხის კენწეროებს არწევენ,
არასდროს არ მითქვამს – მიყვარდი შეხვედრის წამიდან,
ინფიგებს და მალე როგორც დრომოლეულ ნანერებს,
დანესტილ ეზოში ნოემბრის ბოლო დღეს გავიტან.

და როგორც ოდესღაც, ეზოში დიდ კოცონს დაგანებე,
და დაეწვა ნოემბერს, შენს ნასვლას წამებს რომ უთელიდა,
მე გამოგიგზავნი შენამდე ვერძოსულ ბარათებს,
ამ უულ ქალაქის ერთადერთ საფოსტო ყუთიდან.

მიდიხარ და ვერ ეძღებ... და უჭაერობა მანამებს,
ჩვენ შორის დღეს მხოლოდ დიდი მანძილი და ღმერთთა,
უფალი გფარავდეს, ის რაც ჩვენ უფალზე გეასწავლეს,
შენ უწყი, შენ იცი, უფალი იმაზე მეტია.

ეს გრძნობაც მინაზე ღმერთითი გარკვეულ დრომდეა,
არ ენდო დიდ გემებს და გულგამოღებულ ნაპირებს,
მიდიხარ, რადგანაც დღეს შენი ქუჩაა ბროდვანი,
მიდიხარ, რადგანაც ჩემ შერეც ცხოვრებას აპირებ.

შენი სტუმარი

იმ შორ საღამოს, დრო რომ ქარგავს თავისი ქარგით,
 არ ვისხენებდე ურუანტელით ღამე არ გავა,
 დავხედე ფასმინის სურნელით და წითელი კაბით,
 უცხო სტუმარი რომ მოვიდა ჩემს მოსაკლავად...
 ვუსმენდით მოცარტს დაბალ ხმაზე, მერე მარტო როკს,
 სახლების თავზე ღამის ბინდი მოენია მზეს,
 ერთი შეხედვით ის არ ჰგავდა მკვლელს, ან პათოლოგს,
 მეტიც – სინაზით საუბრობდა პოეზიაზე,
 და შეგნებულად ვაკონკრეტებ, ცას რომ არ აჰყვია
 იმ ღამით მთვარე, ვინაიდან გვერდს ვერ ავუვლი,
 შემოეპარა თეთრი შუქით სახლის ალაყაფს,
 და ერთადერთი მონმე გახდა დანაშაულის.
 ის კი, უცხო და გალანტური ჩემი სტუმარი,
 საბედისწერო ლურჯი მზერით ფიქრებს იჭერდა,
 ვერ ვიქცევიდი ცუდს მცირედსაც, თუნდაც ხუმრობით,
 თქვენც ჩემს ადგილას ეერაფერი დაგაეჭვებდათ.
 მოშიახლოვდა, ვით ცეცხლი და აღარ მომცილდა,
 გადაეფარა მწველი გრძნობა თვალებს ბინდივით,
 ვცეკვავდით რაღაც ვალსის მაგვარს, ყელში მკოცნიდა,
 გარეთ კი ბაღში პიკს აღწევდა წვიმის ინტიმი.
 დავლიეთ ვისკი (მგავს ჰაენზებს მუდამ თან ახლავს),
 და ვალიარებ, უპირობოდ მე მას მივინდე,
 იგი ჰყვებოდა სიყვარულზე ისე ხმაშალა,
 რომ ერთ ოთახში მთელი ზეცა შემოვიკვდელით.
 და მომიხელთა, ხეთა ლანდებს ღამე არწევდა,
 იყო წუთები უმწეობის, თავს ვერ ვმველოდი,
 მკაცრად მჯერა, რომ ვერ შევძლებდი მისგან გაქცევას,
 რომც შემძლებოდა, მაინც არსად გავიქცეოდი.
 კანზე დახორკლილ, ვერმოსათმენ ტკივილს ვითმენდი,
 ის ილიმოდა, მიყურებდა მშვიდად თვალებში,
 მიორცყამდა დანას, ტანზე გაზრდილ ტიტებს ითვლიდა,
 მარცხენა მხართან, უფრო ხშირად გულის არეში...
 მოვკვიდი და დაბლა ღვარი იდგა დიდხანს ტიტების,
 ალბათ ამგვარი სწვა აშბავი თქვენ არ გსმენიათ,
 მას აქეთ არის, რომ მაცვია კაბა წითელი,
 მას აქეთ არის, რომ სიკვდილის არ მემშინია.
 და ის საღამო, დრო რომ ქარგავს თავისი ქარგით
 არ გამახსენდეს ურუანტელით ღამე არ გავა,
 დავხედი ფასმინის სურნელით და წითელი კაბით,
 საღამოს პირზე ის მოვიდა ჩემს მოსაკლავად...

სხვისი ხელების რომ დაკარგეს საჭირო სითბო,
 გამორებისას, პირველ რიგში ხელებმა იგრძნეს,
 სიცოცხლის ბოლოს ხელებს მუდამ იკრეფენ გულთან,
 გულის კი არა, ასეთია ხელების სიზმრძე.
 ხელები... ზოგჯერ უფოთლებოს მოპვეანან ხეებს,
 და ზოგჯერ კიდევ მოუგებელს იგებენ ომებს,
 ჯერ არასოდეს არაფერი შეშლიათ ხელებს,
 სიზრმავის შემდეგ ძვირფას სახეს ხელები ცნობენ...
 ბნელ ოთახებში ღმერთი მოდის, იხსნება გზები,
 როს პირფერის წერით აღაყენენ ხელები ლოცვას,
 და უყვართ ხელებს სიგიყმდე მისული ვნებით,
 გათენებამდე შეუწყვეტლად უკრავენ როცა.
 აქვთ საიდუმლო რიტუალი სიზმრების ფერი,
 როცა შეხებით ერთმანეთში აურას ცვლიან,
 და კინკალებენ, ეშინიათ ბავშვივით ხელებს,
 როდესაც კარზე, ნაცნობ კარზე ზარს რეკენ გვიან...
 ხელები... ხელებს უზმო სევედის ფერი აქვთ ხშირად,
 და გული თუნდაც იყოს ბევრი სიცრუის მცველი,
 ხელებს არასდროს შეუძლიათ ტყუილი მცირეც,
 ანაბეჭდები უტყუარი არსებობს ხელის.
 ხელებს შეატყობ ემოციას ღმერთივით ნამდვილს,
 და როცა ირგვლივ თამაშდება უნიჭო ფარსი,
 ზოგჯერ ისეთი დაღლილია ხელები დარდით,
 ჯოჯონის აღზე დაღენითილი სანთლების მსგავსად...
 არაფერ მოდის იმ წუთებში ხელებთან შეველად.
 და იპყრობთ ჩაელილ ზამთარივით ნაცნობი ელდა,
 როცა გაირბენს ჩემი ყოფნის სადგური ყველა,
 ჩემი ხელები გინატრებენ ყველაზე მეტად...
 ენთება ცაზე მოვარე, როგორც წითელი მოცვი,
 გაირანდება ყოველივე ათასგვარ ფერში,
 და ჩემს თვალებში ჩაქრებიან მუქები როცა,
 ჩემი ხელები მოგებნიან უმიზნოდ ბნელში.
 სხვისი ხელების რომ დაკარგეს საჭირო სითბო,
 განმორებისას, პირველ რიგში ხელებმა იგრძნეს,
 სიცოცხლის ბოლოს ხელებს მუდამ იკრეფენ გულთან,
 გულის კი არა, ასეთია ხელების სიზმრძე.

* * *

ფრთების გარემუც შესაძლოა იფრინო ცაში,
 მაშინაც, თუკი რეალობა ასე ურჩია,
 რატომ გვეძებენ ციფ ქუჩებში ნეტავი მაშინ,
 როცა ჩვენ უკვე აღარ ვცხოვრობთ არცერთ ქუჩაზე.

ის, რაც ვერაფერ მიპასუხა, დრომ გამიშვილა,
 გამიშართლებდა, რომ ლექსებში დარდებს ვატყვედ,
 ხან ხდება, სული გადაიტანს ტკივილს იმხელას,
 რომ მერე უკვე გინდ გათენდეს, გინდ არ გათენდეს...

არის სულერთი და ზამთარი ნელში იხრება,
 არ გეგულება სულის, თუნდაც ხელისშომკიდე,
 ხან ხდება, სული გადაიტანს ტკივილს იმხელას,
 რომ მერე უკვე გინდ მოიღ და გინდ არ მოხვიდე!

ფრთების გარემუც, შესაძლოა, იფრინო ცაში,
 უსმენს საღამო ჩემი სულის მსუბუქ არიას,
 რად გვიხდებიან ოცნებები ნეტავი მაშინ,
 როცა ისინი ოცნებები აღარ არიან...



გრძნობის ამოხსნა ყველა განტოლება,
მეტად უფალზეც კი ცა უშორესია,
ქალაქს რომ მოიცავს ნისლი მარტოობის,
შენი გახსენება არის პოეზია...

ისე ურთიშოა ზამთრის შესავალი,
დღეებს აღარ მივდევი, დროის შარლატანებს,
ეს გზა აღარაა ახლა მზის სავალი,
ქარში ოლქანდრებს სული გავატანე.

სათქმელს მომლოცველნი ღმერთებს უბარებენ,
და ქრის ქარიშხალი მეტი განაზებით,
შორი ღამეები ისევ მდუმარებენ –
– მთებში ჩანოლილი შავი ავაზები.

რაც დრომ თან ნაილო მასთან დამგვანებით,
მეტად უფალზეც კი ცა უშორესია,
ქუჩა რომ ირთვება თოვლის მაქმანებით,
შენი გახსენება არის პოეზია...

დაგინახავდი

ცხოვრების ყველა საიდუმლოს ფარდა ახადა
დრომ და რა გითხრა, ეს ლექსია, სადაც დავმთავრდი,
ახლა რომ მთხოვო სამახსოვროდ რამის დახატვა,
თბილ ქვეყნებისკენ წასულ ჩიტებს დაგიხატავდი...

მეცოდებიან, შიშვლდებიან როცა ხეები,
გაზაფხულამდე მოთმინებით ვიდრე იცდიან,
ვიდრე იწვიმებს და უბრალოდ ვიდრე დღეები,
ხასიათოვით ცივ ამინდებს გამოიცვლიან...

ქარში გასული გოგოსთვის კი ალბათ რთულია,
ყოველთვის მიზანს ამართლებდეს ამბის შედეგი,
გაყალბებული გრძნობებით უსახურია,
კედელს მიკრული რენეუარის ყალბი შედეგრი.

ახლა ქუჩები ღამეულმა სუსხმა მონისლა,
კურნავს კი არა, დრო ბოლომდე აქრობს იარებს;
ვეღარც ვიხსენებ ჭემგან წასულთ დიდთოვლობისას,
თბილ ქვეყნებისკენ გადაფრენილ ადამიანებს.

სამყაროს შეცვლის შესახებაც გაქრენ მითები,
ცივი ქარები საბოლოოდ მაინც დაგლდიან,
მეცოდებიან წერილები, უკვე ყვითელი,
რომ დაწერეს და მერე არსად გაუგზავნიათ.

რა გითხრა, უკვე აღარაფერს გრძნობენ ხელები,
ფოთლების სენი მოერიათ იმ ძველ სურათებს,
მეცოდებიან გოგოები თვალში ცრემლებით,
დამაჯერებლად რომ ჰყვებიან როგორ უმართლებთ...

ცხოვრების ყველა საიდუმლოს ფარდა ახადა
დრომ და რა გითხრა, ეს ლექსია, სადაც დავმთავრდი,
ახლა რომ მთხოვო სამახსოვროდ რამის დახატვა,
თბილ ქვეყნებისკენ წასულ ჩიტებს დაგიხატავდი.

ძვის თლა

ჯვარი აღმართეს ჩემს ქუჩაზე,
ახლა ჩემი ქუჩის ბოლოს მკვდარი ქრისტე ცხოვრობს!
ლაშვიონის ქვეშ,
ყვითელ ავტობუსის გაჩერებასთან,
ნორა ბებოს მალაზიის გვერდით,
ბავშვების სკვერთან ახლოს,
ზედ ტროტუარზე,
კორპუსებს შორის,
ჭადრების ხეივანთან,
სადაც წლების წინ მეძავეები იკრიბებოდნენ,
სადაც მეც მქონდა რამდენიმე ჩუმი პეიზაჟი.

ასე, აიღეს ქვა და ოფლის ცეცხლი შეუთეს,
ქვის სატყეები აგუგუნდნენ,
არ მოეშენენ, სანამ არ გამოთაღენ.
ქვა იყო მკვდარი და ჯერად გააცოცხლეს, განააცრისფრეს.
როცა ქრისტეს მიაღწენ, თავი მარჯვენა მკლავზე დაუხარეს.
სახეზე სიკედილი გამოუსახეს,
მკვლავებში დაღლა,
ფეხებში სიმძიმე.
გაიხარეს ნამუსევრით...

არ დანებდნენ,
სანამ არ აღმართეს ჩემს ქუჩაზე,
როგორც მარად სახსენებელი.

და ახლა, ჩემი ქუჩის ბოლოს მკვდარი ქრისტე ცხოვრობს!
ლაშვიონის ქვეშ,
ყვითელი ავტობუსის გაჩერებასთან,
ნორა ბებოს მალაზიის გვერდით,
ბავშვების სკვერთან ახლოს,
ზედ ტროტუარზე,
კორპუსებს შორის,
ჭადრების ხეივანთან,
სადაც წლების წინ მეძავეები იკრიბებოდნენ,
სადაც მეც მქონდა რამდენიმე ჩუმი პეიზაჟი.

...
როცა მამაჩემს ვკითხე:
– მამა, მითხარი როდის კვდება ნიგნი?
მან მხრები აიჩეჩა და არაფერი უთქვამს.

როცა დედაჩემს ვკითხე:
– დედა, როდის ტყუის ავტორი?
მან მხრები აიჩეჩა და არაფერი უთქვამს.

როცა ჩემს დებს ვეითხე:

– დებო, რა გავლენას ახდენს თქვენზე ლიტერატურა?
მათ მხრები აიჩეჩეს და არაფერი უთქვამთ.

ასე უპასუხობ

ერთ მშვენიერ დღეს ლექსების წერა დაიწყე.

ასეა ალბათ, როცა პასუხები აგვიანებენ

– სივარულის განცდა რჩება, რაც აუცილებლად შესავსებია.

– აბა, როგორი ასატანია ვეებერთელა სიცარიელე?!

დრო კი იმდენი გავიდა, რომ არც კი ვიცი,

რატომ გავიხსენე ეს ყველაფერი,

თუმცა ვიცი, რატომაც!

რამდენიმე დღის წინ, ჩემმა მეგობარმა მკითხა:

– ელუე, როცა ბავშვი კვდება, მასთან ანგელოზები მოდიან?

მე მხრები ავიჩეჩე და არაფერი მითქვამს.

სიკვდილის პროპაგანდა

როგორ მომრავლდნენ სარიტუალო სახლები,

ვიტრინებიდან კუბოები იმზირებიან

და ენევიან სიკვდილის პროპაგანდას.

რა საჭიროა იმის გახსენება, რომ მარადიული არ ვარ

და აუცილებლად მომიწევს წოლა კუბოში?!

არიან პრესტიჟული კუბოები,

სადაც აქაცენტი დიზაინზე გამახვილებული

– ისინი ძვირად უფასოებენ.

არიან კუბოები, რომლებიც მალე იწყებენ ლპობას.

– მათი ყიდვა მეც შემიძლია.

ეფიქრობ, ნეტა, მაშინაც შემძლებოდა,

როცა ჩემ მეზობელად მოხუცი ქალი გარდაიცვალა,

უპატრონო იყო და მეზობლებმა ცელოფანში გახვეული დამარჩეს.

სულ შენანებოდა, რადგან სასუნთქი არ დაუტოვეს,

ცელოფანში გაახვიეს და მორჩა.

შენანებოდა იქამდე,

სანამ არ მივხდი, რომ მკვდრებს ყველაზე კარგად დუმილი შეუძლიათ.

ისინი დროს არაფერში კარგავენ,

მითუმეტეს სუნთქვაში

და მე ამოვისუთქე.

სულ იმ ქალზე ვფიქრობ, როცა სარიტუალო სახლებს ჩავეუვლი

და თავმოზდილი კუბოები მიმზერენ.

ისინი მზად არიან ჩაისუტონ ყველა,

ვისაც სხვებს მათი არსებობა,

ისინი სიკვდილის პროპაგანდას ენევიან.

მე კი, თითქოს დღეებს ვენევი

და ყველაფრის მოსწრებას ვკვილობ,

თუმცა, გამოგიტყდები რომ არ გამომდის.

რეაქტივია

პატარა საბა ფანჯრის რაფაზე ზის,
სუპერმარკეტს უყურებს
და მეცადინეობს, თუ როგორ უთხრას თავის მტვრითავე ნამას,
რომ მას ნაყინი, ბარნი, ორბიტი
და კინდერ-სიურპრიზი არ უყვარს.
– მამა, შე უელიზონი, სნიკერსი, ბუნტი,
ბამბის ნაყინი, რაფაელო, ბანანი,
მარწყვი, მსხალი, ვაშლი არ მიყვარს.
როცა მოგქონდა, კი ვჭამდი,
მაგრამ არასდროს არ მიყვარდა.

მე დევნილი ვარ

მე დევნილი ვარ
და წლებია კომპაქტურად ვცხოვრობ №3 ბაღში.
ჩემი შეყვარებულიც, რომელიც დღეს ცოლად შევირთე.
დევნილია და ისიც კომპაქტურად №4 ბაღში ცხოვრობს.
ტრადიციის თანახმად,
როდესაც ქალს ხელს სთხოვ,
პირდაპირ სახლში არ უნდა შეიყვანო.
ქორნილის დღის დანიშვნამდე
ნათესავის ან მეგობრის ოჯახში უნდა წაიყვანო.
მეც არ დაეარღვიე ეს უძველესი ადათი და
ბიძას ვეწვიე ჩემს დღეს მოყვანილ ცოლთან ერთად.
ბიძას, რომელიც ჩვენსავით დევნილია
და ქალაქის №5 ბაღში კომპაქტურად ცხოვრობს.

* * *

ვიცი შენი სუიციდის მიზეზი.
აღსარება გაგიტევა მოძღვარმა
და თავი მოიკალი.
ის უსინდისო კი ამბიონიდან ქადაგებს,
რომ არცერთი თვითმკვლელის ადგილი
სამოთხეში არ არის.

დასვენება

რადიოდან ვილაც სადღაც დასვენებაზე
რალაცას ამბობს. ეეჰ.

შენთვის შაბათი, კვირა არ არსებობს.

ზიხარ ვულკანიზაციაში და

ყოველდღე მუშაობ.

ავად გახდომის უფლებაც არ გაქვს.

ლოგინად რომ ჩაეარდე, ოჯახს ვინ დაგიპურებს?!

რამდენჯერ გქონია სიცხე 38 და მაინც გიმუშავია.

ანიც ასე იზამ.

ერთადერთი შვება გაცვეთილი სახარებაა.

ლარად ნებზე კამერას,

რომლის სუნს 23 ნელია ვერ იშორებ.

დღეს კიდე მღვდელმა ჯიბის საბურავი უფასოდ გაგაკეთებინა,

უფაღმა დაგლოცოსო და ნავიდა.

გაპიძეთ ძმარო!

ღია ზანჯრიდან ვიხედებით მე და შენ ორნი

და რახანია შეეცოცინებთ ქუჩას თვალეზში.

სწორედ ეს ქუჩა ბავშვობიდან არცერთს არ გვეოფნის,

რადგან სიკვდილი არ აგვცდებია, თუ აქ დავრჩებით.

გავიქცეთ ძმარო, ჩვენს რესურსებს შეელა სჭირდება!

საკმარისია, რაც ვიცხოვრეთ ჭაობში დამპლად.

მდგმურად გავჩერდეთ საზღვარგარეთ თოვლის ფიქვებთან,

ოღონდ გავიქცეთ, დასაკარგი ნამიც კი არ გვაქვს.

აქეთ ყოველთვის მომრაობის წესებს არღვევენ.

არაა პონტი შექნიშანიდან ნითელზე დგომა.

გუშინ მებაღე გაუჭყლიტავს პრადო გამგებელს

და დღესაც სული ამოსძვრება ვილაცა მოყვასს.

ნავიდეთ ფეხით, თუკი ვიზას არ ჩავგირტყამენ,

ნავით გავცურთ, გავებართო ჯალათის რისხვას.

უკან მოხედვით საბოლოოდ დავიგვიანებთ,

ქვევრიდან ცხვირსაც ვერ ამოფყოფთ, შენს ძმობას ეფიცავ.

ოჰ, როგორ ყიდის უფლის სიტყვას ხარბი დროება,

ემაფოტზე დგას თაობათა უწყვეტი რიგი.

ინდულგენცია მრველში სინდისს ისე მოცელავს,

რომ ერთმანეთის სანუგეშოს ვერაეინ იტყვის.

გავიქცეთ, ძმარო!

ლალა-ძიძა

ლალას სუნი აქვს ამ ოთახში თითქმის ყველაფერს.

აქ ყველა ნიეთმა მისი სახე მოირგო ზუსტად.

გითრ ფილტვებით ვსუნთქავ ნარსულს დროის მენაბდე.

ამ ტკბილ ოთახში ლალას ჩემთვის ბევრი რამ უთქვამს.

უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც მტვერსაც ვინახავ.
გარდასულ დღეთა აჩრდილს გკოცნი გაცხილთებულნი.
მოეწყვი ყველაფერს, და ოთახში ვტკბები იმასთან
ვინც არსებობა დამახანა ჩემი სხეულის.

დიდი ხანია, რაც ყრუდ მიმზერს ბეცი სამყარო.
ჭუჭრუტანაში ვეღარ გაძვრა, ვერ შემოვიდა.
უნდა, რომ გარეთ გამიტყუოს, გარეთ დამახრჩოს,
თუმცა ვერ ვხვდები, რა გამოევა ზრმა ხელობიდან.

მე კი არ ვტოვებ ამ ოთახის დაღურსმნულ კედლებს,
ვცნობაც ყველაფერს, ჩემს სხეულსაც ცხვირით ვეხები.
ყველა წერილმანში ლაღას სურნელს ეპოულობ დღემდე
და ვაქანდაკებ ერთ ეპოქას სვენებ-სვენებით.

სულის ნანაა, რასაც ვხვდავ, რაც რომ აქ არის,
ერთი შესუნთქვით გადავმალო მინდა ფილტვებში.
თუ კოჭლმა ბედმა გამიკეთა უცებ შამათი,
ვიტყვი – ლაღასთან ნაგებასაც ვემორჩილები.

ლაღას სუნი აქვს ამ ოთახში თითქმის ყველაფერს.
აქ ყველა ნივთმა მისი სახე მოირგო ზუსტად.
გაივი ფილტვებით ვსუნთქავ ნარსულს დროის მენაბდე,
ამ ტკბილ ოთახში ლაღას ჩემთვის ბევრი რამ უთქვამს.

სიყვილი

ტანზე მაცვია შემოდგომა გაცხილთებულნი
და მიეუყვები ყვითელ ქუჩებს ყვითელი კაცი.
ყვითელ სახეთა მისაღმებით ძლიერ შეგნუსხდი,
ნუთუ ამ მხარეს ნიაიცი კი სხვა ფერის არ ჰქირის?!
რამ გამახსენა საუბარი ყვითელ მხატვართან?
ყვითელიაო ყველა ფერი ჩემს პალიტრაზეც!
მოთხრა, რომ ეძებს ყვითელ მუხას ასე გზადაგზა,
რომ ყვითელ შედეგს გაცვეთილი ფუნჯით მიათრევს.
მიათრევს მანამ, სანამ ყვითელ ღმერთს არ შეხვდება,
სანამ ცის იქით არ გამოფენს ყვითელ ტილოებს,
სანამ არ მოთოვს თუნდაც ერთხელ ყვითელ ფერებად,
სანამ უვარგაკრულს წინაპრები მათთან იხმობენ.
ასე მიათრევს, სანამ უტკივა, სანამ განიცდის
კაცობრობის არითმიას ყვითელ ქალაქში.
მოხატა მზეს და დედამინას შორის მანძილი,
მაგრამ ვერ ხედავს დროებისგან კუთვნილ ჯამაგირს.
შია თუ სცივა, მაინც არ თმობს დაჯღაბნილ სივრცეს.
უნდა, რომ ისევე აორსულოს ჩვენში ვენახი.
გადარჩენისთვის ყვითლად ლებავს მხატვარი იმედს.
ღმერთო მიიღე მისი ტილო გაღერებაში.

3 კროზა

დებიუტი

აკრძალულია!

ლუკა ბოზუა

პალინდრომივით პრაგმატული, კეთილსინდისიერი და საკმაოდ გონებაბმაველი რაიანი, რომლის მეტყველი შავი თვალები მის სახეს ზოგჯერ არამისებურ იერსაც კი სძენდნენ, საღამოს რვის ნახევარზე გამოვიდა სამსახურიდან. ისედაც ოდნავ აღელვებული, ხმაურიანი საღამოს ჩასუნთქვისთანავე მთლიანად პანიკამ აიტანა. დიდი ხნის ნაცნობი და უწყინარი „ყურადღების“ პროსპექტი, რომელსაც არაჩინო თვალსაჩინო ცვლილება არ ეტყობოდა, რატომღაც შემადრწინებელი მოეჩვენა. სცადა კიდევ, რაც შეიძლება სწრაფად მიეღწია ავტომობილთან, რომელიც ორმოციოდ მეტრში შეკვდა გაჩერებული და დაუსვენებლოვ გასცლიდა იქაურობას, მაგრამ დაბრკოლდა, რადგან მისი ყურადღება მალალი შენობის ფრონტონზე ანთებულია უზარმაზარმა ბილბორდმა მიიპყრო – სახემცინარი გოგო-ბიჭების ფონზე იოლად იკითხებოდა ნარწერა: „ადამიანის დაბადების აღბათობა 0,00000006464-ია. შენ წილად გზვდა ეს გაუგონარი ბედნიერება. გაუფრთხილი საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს!“

რაიანი გაშუმდა: თუ ქვეყანას მოველინე, მაშასადამე ადამიანის დაბადება „აღბათობა“ კი არა, გარდაუვალი აუცილებლობა ყოფილა, წერეულად გაიფიქრა. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ბილბორდის მონადებებს, ის გონიერული და საჭიროც ეჩვენა. სიფრთხილე მისთვის იმდენად ძვირფასი რამ იყო, რომ გათვსებულ, ყოველნაამერ ცოდნად ექცია დროთა განმავლობაში. რაიანი ხომ მუდამ თვალებს აცეცებდა, ასევე ზომავდა და ერთხელ, ზოგჯერ საერთოდ არ ჭრიდა... იფიქრა, „ადაბადების აღბათობა“ სარეკლამო ხრიკია, უფრო დამაჯერებელი და ეფექტური რომ გამოჩნდეს მთავარი მესიჯი. მიუხედავად ამ მიგნებისა, რეკლამაში მიაივ ხედავდა რაღაც საშინელს, რაც ძალიან შურტაცყოფდა და ეს რაღაც, თითქოს ენათესავებოდა იმ უცნაურ დარტყმებს, ასე რომ აფორიაქა ქუჩაში გამოსვლისთანავე. რა დაემართა? იქნებ მის ყურებთან სწორედ ის საცოდავი, მინიატურული სათამაშოები აფუსფუსდნენ, რომლებიც თურქე შემთხვევით აღმოჩნდნენ ამ მრგვალ რეალობაში, სადაც მუდამ

გაგაცივებული, დაძაბული და დაეჭვებული უნდა დაძრწოდე გაურკვეველი მიმართულებით? რუტინით, ნესებითა და ყოველი მხრიდან დამაჯერებელი შესახებაობის მიწინე აკრძალვებით სულმუხუთელს, წამის შესვლით თუ გაგიტაცებს ამაღლვებული მშენიერება და მამინე გავეშებული მართონი, გაოფლიანებული სხეული, ყოველდღიური იმიჯი, ნაკარნახევი სიხარულის თილისმები და უტყვარი კუბოები გექაჩება. რაიანი ამკარად ვერ იყო ხასიათზე.


მან კიდევ ერთხელ ახედა ბილბორდს: „...0,00000006464...“

ფაქტობრივად აქედან დაიწყო ეს მწვანე დასაჯერებელი ამბავი:

უცრად ბორდურის ხასთან, რაიანის წინ, შვი ჯიბი გაჩერდა, საიდანაც დაახლოებით მისი ასაკის სპორტული აღნაგობის ბიჭი გადმოხტა, წინ აეცეკა და მხარზე უსიტყვოდ დაადო ხელი... აღბათი ვიღაც მეზუმრებო, გაიფიქრა და ოდნავ შეცუნებულმა, აბლობელი რომ ვერ იცნო, უცერხულად გაუღიმა, თან ხელიც გაუნოდა ჩამოსარამივად, მან კი ეღვსებური სისწრაფით მავებზე ხელბორკილი დაადო და კარლი ავტომობილისაკენ უბიძგა.

– ვინა ხარ, რა გინდა? – იკითხა გაოფნებულმა.

პასუხად უცნობმა ხელში რაღაც შეათამაშა, თან იმ უწყების აბრეჯატურა წარმოთქვა, რომლის თანამშრომლობასაც იჩემებდა, სადაც სისინა თუ შიშინა ბგერები დომინირებდნენ – მის თუ მშს, თუ სულაც სსს... რაიანმა ჩათვალა, რომ თანამშრომელს რაღაც ეწვებოდა და კატეგორიულად მოსთხოვა, დაუსვენებლოვ მოეხსნა ხელბორკილი, თან გაუაღლიანდა, უნ-



დღა, იქვე დავიწვია თავი ამ გაუგებრობის-
გან, რაც მალე ისედაც გაირკვეოდა, მაგრამ
ამასთან მთორე ვაჭუხი ბიჭიც დამოხტდა ჯი-
შდან მოამბელებელად: მსლავებში ჩავევს
სული, თავი დაახრევისს და უყანა კანინაში
აძლით შეტენეს. ერთი მოძალადე, რომელმაც
ხელბორკილი დააღო, მის გვერდით მოთავსდა,
მეორე საჭეს მოუვდა და მანქანა დაიძრა. პოლ-
იცილები კი არა, გუნდი ჩვეულებრივ ყინალშია
არა და განთასაყიდის მიღების მიზნით მიტა-
ვებნი, გაიფიქრა. მყისვე, თითქოს რაიანის სამ-
სახურებოებრეად მოწყობილ სიფულითან ერთად
მისი ფიქრებაც დაეჭირათ, გვერდით მყდომმა
შეკრდა, უფრო მეტად კი ზიზღით მოუკო:

— ვიღაც არ გვერის, თანამშრომელი ვარ!
— შავის ეხედები, მაგრამ იქნებ მითხრათ,
რა დავიწყებ?

— როგორც ჩანს, დაშავექ შენთან საუბარზე
კი გვერამლება. ყველაფერს იქ გაარკვევ, სა-
დაც მივყავანთ.

— ცხადია, გავიწყვექ!

„ქ“ მისვლამდე მეტი არც არაფერი თქმულა.

ადგილი, სადაც რაიანი მიყვანეს, სას-
ჯელადარლების სპეციალური დანსტებულება.
ცნებ გახლდათ. ეს იყო ერთადერთი, რისი გავე-
ბაც მოაჩვენა, ზოლი რისთვის დააკვეს ან რაში
გამოხატავდა ციხის „სპეციალრობა“. მისი-
ვის ვერ სივე გაუკვევლი რჩებოდა. შუა ხნის
რესპექტაბელური ვარგისობის მორიგემ პატარა
საკინში შეიყვანა და ვიდრე რკინის მძიმე კარს
გაისრავდა, დაამყდა, საათნახევარში იავე
დატბრუნდებო. მერთალი ნათურა ანათებდა
საკანს, სადაც რკინის ორსართულიანი საწოლი,
მიგვიდა და ორი დაბალი სკამი იდგა. ტიხარის
ქიხი, კუთხეში, წყლის ზრიალი ისმოდა. ექ, აღ-
ბათ, საპირფარეო და პირსახაი იყო მოწყობი-
ლი. ვაგვერული სკამზე ჩამოვსა და ნარსულის
ქექვის მომჯეა, მაგრამ ისეთი ვერაფერი გაისხე-
ნა, რის გამოც შეიძლებოდა დაეკავებინათ. მალე
ყველაფერი გაირკვეოდა, სამართალდამცავები
აღმოაჩენდნენ შეტდომას, მოუბოდიშებდნენ და
გაათავისუფლებდნენ... თავდაჯერებულმა ყოვე-
ლვე რეკლამას დააბრალა, მისი აზრით, ბილ-
ბორდის წინ რომ არ ატუზულოყო, სწრაფადვე
ჩაუვადარყო მანქანაში და გაუსწრო, არასდროს
მისხედებოდა ციხეში. ვასაკვირია, ასეთმა პრაგ-
მატულმა კაცმა, რომელსაც არანაირი ზებუნე-
რების არ სწამდა, დიავიჯრა, რომ სწორედ ის
რამდენიმე დანყველილი ნაშბ იყო ერთადერთი
მისტოკური მომენტის მის ცხოვრებაში, როცა
გაჩნდა შესაძლებლობა დაეკავებინათ.
მსგავსი რამ სხვა დროს ვერ მოხდებოდა, რად-

გან არაფერში იყო დამინაშევე, მეტიც, ყოველთვის უზომოდ
უაზროდ მართალიც კი ბრინდებოდა კანონისა და საჯაროებლუქ
წინაშე!

მალევე უკვე არც ისე თავდაჯერებულს გულიში მიში იტემა-
რა: განა საბრალო იოზეფ კ-მ დაიშავა რამე, სასიყვდილო გ-
ნაწიში რომ გამოუტანეს და ძალიანთი დაქულეს? ალელეებული
საკინში ბოლისი ცვამს მოყავა. ანაზღად ისე დიდგრა და შესაკდა
კედელს, რომ შუბლდაც მისხლმა გამოიჭრა. იქნებ სჯობდა, აქვე
გავარდნოდა სული, თუკი მართლა კ-ს ბედი ელოდა?!

„რამდენ ხანში გავა საათნახევარი?“
რაიანმა მისი ნაშებში გადაყვანა დაიწყო, მაგრამ აღმოაჩი-
ნა, რომ გამირეგლის ტაბულა დაიწყებოდა, ამასთან უცნაური
შეგრძნებაც დაეუფლა, თითქოს შესაძლებელი იყო, არც არას-
დროს გასულიყო ეს მოჯადოებული დრო. ისევე სკამზე ჩამოვდა,
სკადა დანქნარებულყო და გულდასმით გაეანალიზებინა, რა
ხათახალაში გაეცხა. ბევრი ფიქრიც აღარ დასჭირებია: აღსარე-
ბის ფურცელი“ — ფიქრში წამოიჟახა და როგორც იქნა შეგებით
ამოსუნთქა.

აქ კი საჭიროა „აღსარების ფურცლის“ ისტორიას შევებოთ:
ათეტიკ რაიანს თავისი შევეარებული — სოუზენი — ბოლო
ქერიოდიში სწირად მოუშორებდა ეკლესიური ცხოვრებისკენ.
რელიჯია ვაგონს მორიგე ახრევა გახლდათ, თანაც ეჭვობდა,
რომ ცალმხრივად იყო შევეარებული, ამიტომ, საკუთარ ძალებში
დასარწმუნებლად და ეჭვების გასაქარწყლებლად, გადანივციტა, მო-
რავი შეეცვალა ბეჭში — აზრი არ ჰქონდა, რა ერთხელაც, მო-
რავი ვნებიანი ხალხის შემდეგ, როგორც იქნა, დაიყოლია, მოი-
(დალილა ბედიაინიძე, „მე ბავშუბობაში მეკითხებოდნენ“)

სხვა ლექსებშიც უკიდურესი ყოფითი მასალიდან და ლამის ნმინდა ჟურნალისტური ენით ქმნის ის პოეტურ სტრუქტურას. და აი, როგორ იოლად შეიძლება გადაწყვედეს უბრალო მხიარულებაში ეგზალტირებისა და ქალური ლამარაკის ეგზისტენციალური მოთხოვნილების საკითხიც:

„პურზე ჩასული ირასთან ვემსევე ერთი საათი.

ლოში და წითელკანიანი სულგუნი.

– ქომუჩი ართი სიგარეტი!

– მუ რე, მუ გოკო?

ხა-ხა-ხა! ირა არ მიცნობს, მასთან მუნჯი ვარ, სულ ასე ვარ.
მარცხ მიცნობს – ვთამაშობთ ხოლმე. ის კბილებს იცვლის,
მე ვაიმედებ, რომ მალე დამთავრდება კბილებს მოცვლა.
გუშინ თანაკლასელმა ბიჭმა ერთი ცალი ყაყაჩო აწუქა
და დიდს აშბით მოამსევა.

„იებს ნუ აწუქებ ნურავის, ნურავის, იები ჩემია...“

ხა-ხა-ხა! ქომუჩი ართი სიგარეტი!

ძალიან ძნელია, შენს სამყაროში ვინმე შეუსვა და მერე გამოშვება.
მოეწონება ხოლმე შინ ლექსებს და მერე უზოარ პრინციპული.
ხა-ხა-ხა! დღეს მარიკან მითხრა, შეყვარებული ხარო.

მე ვითხარი, მენ თვითონ სარ-მეიქი და მომეფერა. მეც მოვეფერე.
ბევრი ვიკინებ და დივანზე ყირაზე გადავსდევ-გადმოუსდობდი.
მაგნიტოფონსაც ბოლომდე აეუსწიეთ.

– ქომუჩი ართი სიგარეტი!

შინ რომ მოვემსკოდი, ცრემლი მომერია. მენატრებო.

მარცხა მეგრულს მასწავლის.

მე ზღაპრები ვასწავლე და ამირანის მით მოვეყვი

და ინიციაცია აუესხენი.

ამირანი რატომ მიაჯაჭვებო? რა უნდა უთხრა?

– ქომუჩი ართი სიგარეტი! მერე ხატის წინ მოვინანიებ.“

(დალილა ბედიაინიძე, „ხა-ხა-ხა“)

შემდეგ ნინო დარბაისელს შქონდა საინტერესო ძიებები, ის საფარულად უკვე ახალ გზას ეძებდა დალილა ბედიაინის შემდეგ. ადენდა ლექსის დეტალური ანალიზი ცდილობდა ლექსისა და ლექსთმცოდნეობის სახარო ველში მოთავსებინა პოეტური სათქმელი და ამ მეთოდით ევლო ვერლობრსა და კონვენციურ ლექსს შორის გადგებულ საცადღებო ხიდზე, აქ მოექცნება საერთო ნიადავა. უბოთ, ამიტომაც, დალილა ბედიაინის საპირისპიროდ, მასთან ვერაფრადვე კონვენციური ლექსის ფუნერაობას ისმის.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე ქალ პოეტებზე მსჯელობა და მათი გენდერული ნიშით გამოცალკეეება ნამდვილად უფროსულია, მიუხედავად, ჩვენს ისტერიკულ-ფემინისტურ დროში, თუცა საინტერესო და ნინაბლმდგობრივ ფაქტად რჩება ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდში გამოიცა ქართული ქალი პოეტების ანთოლოგიები თუ კრებულები და ინგლისურ ენაზეც უკვე ითარგმნა უძნობთი ანგარიშის ნარხადგენად. ასეთი უბრდაპირი თუ ირისი დაკვეთა-ანგარიშების მარადიოქსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ქალი პოეტების გამოცალკეეება თავისთავადვე ანტიფემინისტური, სწორედაც რომ ყველაზე უფრო სექსისტური და დისკრიმინაციული ემედება გამოდის. და თვითგვემის მსგავს სტრატეგიებს მტნხლოად თვითონ ეალები და, მეტიც, ფემინისტი აქტივისტს ქალები ახორციელებენ. მკითხველისათვის ყველაფერი უფრო ცხადად რომ ნარმოინდეს, სულ ერთი ნაშით შეგიძლია ნარმოვიდგინოთ საპირისპირო გენდერული გამოცემა ანთოლოგიური სათაურით – „ქართული კაცი პოეტების ანთოლოგია“.

რაც ამ უნდა მოულოდნელი იყოს დღევანდელი წინასწარგანწყობილი აუდიტორიისათვის, ხაზი უნდა ვაგუსვათ იმასაც, რომ ასეთ რამ საბჭოთა კავშირში არ ხდებოდა და ან კი ნაკორი მოხდებოდა, როდესაც ქალთა ემანსიპაციის არაერთი საშუალო პროგრამა სწორედ საბჭოთა კავშირის წიაღში განხორციელდა, ქვეყანაში, რომელსაც სტალინის მერიილში მსოფლიოში პირველი ელჩი ქალი აღექვანდნო კოლმრტიკა ჰყავდა, ქალთა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა, რომელიც რადიკალურ ფემინისტურ საკითხებს იკვლევდა და ამკვიდრებდა ცხოვრებაში. 1917-1918 წლებში როგორც სახელმწიფო მშუნველობის სახალხო კომისარი, ის პირველი ქალი მინისტრიც იყო მსოფლიო ისტორიაში. სამაგიეროდ, სწორედ ჩვენს დემოკრატიულ და ახალი ფემინისტური

დირექტივებისა და პროგრამების დროში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ასეთ ანტიფემინისტურ ფემინიზმს.

1936 წელს გამოცა კრებული „ძველი საქართველოს პოეტები“, რომელიც წინა საუკუნეების დავიწყებული პოეტიკების – მანანას, სალომეს, მარიამის, მარიამ-შაქურის, მია გაბაიანის, თეკლესა და ქეთევან ბატონიშვილის შემოქმედების გამოკვლევას წარმოადგენდა მათი ტექსტების თანდართვით, შედგენილი ლევან ასათიანის მიერ. სხვა ასეთი კრებული არ გამოსულა და ვერც იქნებოდა გამართლებული, თუ არა რაიმე სპეციალური დღის, ეთქვამთ, 8 მარტის აღსანიშნავი გამოცემა, ხოლო 8 მარტი ქალისადმი მიძღვნილი ერთი საზეიმო დღე კი არ არის, არამედ ქალთა ემანსიპაციისთვის ბრძოლის აღსანიშნავი თარიღია.

მეორე მხრივ კი შესაძლებელია, რომ ქართველ პოეტ ქალებს ისტორია თითქოს მაინც შეუმჩნეველად შლის და მალავს. ამიტომაც თავი უნდა დაეხანებოთ 80 წლის წინდადელი პოლიტიკაში ლაფსუსების ძებნას და კულტურის დღევანდელ პოლიტიკაში საქართველოს პოეტიკა „მაგალითზე ყურადღება მივმართოთ უახლესი პერიოდის იმ ქართველი ქალი პოეტების შემოქმედების სპეციალური მნიშვნელობის დადგენისაკენ, რაც, ასე თუ ისე, სათანადო ყურადღების გარეშე დარჩენილა. ნამდვილი სურათის გამოსარკვევად კი მეინსტრიმის ნაქარნახევისას ცოტა ხნით თავი უნდა დაეხანებოთ, რადგან იქ, როგორც წესი, ერთი-ორი ქალი თუ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, ისიც, თითქოსდა, ვადიდებულების გამო.

საკმაოდ გავრცელებულია ერთი შეხედვლებაც, რომ ქალი ხელოვანები არ არსებობენ ანდა ისინი რეალურად ძალზე იშვიათად თუ გამოჩნდებიან ხოლმე. მართლაც, არცთუ ადვილია რომელიმე ცნობილი კომპოზიტორი ქალის, ან გამოჩენილი რეჟისორის, მხატვრის (ან მხრე ჩვენთან შედარებით დამაბნელებელი სიტუაცია) დასახელება. უფრო ადვილია ქალი მწერლების ჩამოთვლა და ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ის არის, რომ ჩვენს განათლებულ დროში მწერლობა და პოეზია, ცხადია, სრულიად გულთრეყვილია, ნაკლებად შრომატევად სამუშაოდ მიუჩნევათ (რადგანაც ანაბანისა და მშობლიური ენის ფლობა ყველასათვის ხელმისაწვდომია). ინტერნეტის მოხმარებამ საერთოდ ფართოდ გაუხსნა კარი ქალების ყოფით ჩვენს მოუთხოვნი ლაპარაკისკენ, მეორე მხრივ კი, მართლაც, მათი ასეთი სულ უფრო მძაფრად გამოკვეთილი მიდრეკილება ლიტერატურისაკენ შეიძლება უბრალო ისტორიული მემკვიდრეობითაც იყოს გაპრობებული – გასულ საუკუნეებში ქალები უფრო ხშირად იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი, ვიდრე კაცები.

ქალი ხელოვანების არარსებობის მითხვევაშიც გამოკველევა სჭირდება და მიზეზიც მხოლოდ ის არ იქნება, რომ ქალების დისკრიმინაციათან გვეკონდა ანდა გვაქვს საქმე-ხოლო მწერლობას რაც შეეხება, ცხადია, მსოფლიო ყოფითი ლიტერატურულობის, ანაბანისა და წერა-კითხვის ცოდნის იოლი ხელმისაწვდომობა, თანაც რედაქტორის ინსტიტუტის დაკნინების ხელშემწყობ პირობებში (ინტერნეტ) წამდვილად ვერ გამოდგება სამწერლო თვალსაწიერის გარანტად. პირიქით, ეს იოლად ხელმისაწვდომი სალიტერატურო იარაღები შეიძლება სრულიად ყოფითი ისტერიკულობის გამაგრებელ-



ნებლ საშუალებად იქცეს. ხოლო ქალები რომ ძალზე სერიოზულები და სამიზნად ემოციურები არიან, იმაშიც ჩანს, რომ ძნელია გავისხნეთ მათ მიერ დანერგილი სატირულ-იუმორისტულ ლექსები.

მაგრამ რა შეიძლება იყოს სპეციალურად ქალისათვის განკუთვნილი ის განსაკუთრებული პოეტური პლატფორმა, რაც მათ გენდერულ კუთვნილებაზე ხაზგასმას იმთავითვე მოსწონდა? უნდა გავისხნეთ, რომ საუკეთესო ქართველმა პოეტმა მაყვალა მრეველიძემ ნიშნავს საბავშვო პოეზიის ნიშნ მიძებნა, თუმცა კი, მაღალი მხატვრული ღირებულების წყალობით მისი საბავშვო ლექსები ყველა ასაკისათვის სასიამოვნო საკითხავი გახდა. უნიკალურია ის ფაქტიც, რომ ძველი საქართველოს პოეტი ქალი მანანა სამედიცინო პოეზიას წერდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეთერ თათარაიძემ პოეზიაში შელლევკის ინტონაციების შემოტანის გზას მიმართა. პირველყოფილ-მაგიური ხელოვნების ნიშნ უდავოდ წარმოჩნდება როგორც ქალური პოეტური ძიებების ბუნებრივი არეალი, მითუ-ღეუტეს გრძნობის შეფენა, კორკუს, პასიფაეს, არიადნეს და არგონავტიკის თქმულებების სამშობლოში. საწინააღმდეგო შემთხვევაში, აუცი-ლებელი გახდება ისეთი მძიმე ტვირთის ტარება, რასთან გამკლავებაც სულ რამდენიმე პოეტმა ქალმა თუ მოახერხა ამ უახლეს წარსულში და რაც გენდერული ნიშნებისგან სრულ გათავისუფლებას გულისხმობს პოეზიაში.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ გვყავდა ისეთი შესანიშნავი ქალი პოეტები, როგორებიც არიან ვერა შუბლაძე, მარია მიქელაძე, მაყვალა მრეველიძე, მარიჯანი. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქალთა პოეტური მემკვიდრეობა ყველაზე გამოკეთ-



ლად ლია სტურუასა და დალილა ბედიანიძის ხედვით წილად (იხა ორჯონიკიძისთან, ბორნე ჯაჭვლიანთან, ესმა ონიანთან, ელა გორიაშვილთან, რუსუდან კაიშაურთან და კიდევ რამდენიმე სხვა ავტორთან ერთად) და მით სრულად სამართლიანად უჭირავთ მაღალი პოეტური კულტურის გამგრძელებლების ადგილი. სულ სხვა საკითხია, რომ დღემდე დამახსურებულად ბევრი დანიშნავს ლია სტურუასზე და დაუმსახურებლად ნაკლები დალილა ბედიანიძეზე, თუმცა ეს უკანასკნელი თანამედროვე ქართული ევრისტიკაციის ერთი მთავარი ჩამომადგინებელია.

ამასთან, დალილა ბედიანიძის პოეზია იმითაც არის საინტერესო, რომ მისი პოეტური მგრძობელობა ნაკლებად ესმარება ხაზგასმულ ქალურობას. თუმცა კი, ერთი მხრივ, თავისუფლად იყენებს ქალურობის გამოხატველ ყველაზე ტრადიციულ, სახალხო ფლერადობის მქონე ფორმალურ მეტყველებას თუ ფრაზეოლოგიას:

არა, არ დამივიწყო!
 არა, არ მიმატოვო!
 ეს ცრემლები ვინ მიზლოს,
 მეუფვე დე ბატონო?

სხვა გზა არ გამაჩნია,
 სხვა არ შემოყვარდება.
 შენი სახე მანია
 გულზე, შენი ხატება.

...იდუმლო ფანტომო,
 რა გუსურ? შენიფის ვინ ვიყო?
 არა, არ მიმატოვო!
 არა, არ დამივიწყო!

მაგრამ დალილა ბედიანიძის პოეზიაში ვერ შევხვდებით ხაზგასმულ ქალურ პირადულობას, მგრძობიარე ფანტასმაგორიულ სახეებს, აკიდებულ ვნებებს ან დაუოკებელ ბნედას და სასურველისა და არასასურველის ზემოციურ გამოჯენას შორისდებულების გამოყენებით.

დღეს არაერთი ახალგაზრდა პოეტი ქალის სახელია გამოკვეთილი და დღევანდლობასაც უკვე საკმაოდ დადგენილად გააჩნია საკუთარი, სრულად ახალი მენისტრამის ჩარჩოები. თუმცა, ზუსტად არავინ იცის, თუ კონკრეტულად რის საფუძველზე მოხერხდა ამ ყაღბის დადგენა, მაშინ როდესაც კონრფიტი ვერ კიდევ ნაყოფიერად და საინტერესოდ აგრძელებს საკუთარ შემოქმედებით მოღვაწეობას და მენისტრამის ნაწილად თითქმის არ მოიაზრებიან. ესეც ერთი პარადოქსია, რომ როგორც ჩანს, აქ მენისტრამი იკითხება როგორც ახალი და არა როგორც დადგენილი და ის მოდურობასთანაც არის გაიგივებული. თანაც აქ რაიმე საეტაპო სიხალის შემოტანასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ უბრალო ქრონოლოგიური სიახლეს ჩვენს ქვეყანაში და ის მოდურობა თავისი ახალგაზრდა ასაკი გამო ქვეყნაში მომეტებული ყურადღების ღირსად და მოდურ მენისტრამად.

დალილა ბედიანიძისა და ლია სტურუას შემდეგ მსგავსი

ევრისტიკაციული და პოეტური ცვლილებები, ან თუნდაც მათი რაიმე შედეგობრივი გავრცელება და მოდურობა შესაძლებელი არ ყოფილა დალილა ბედიანიძის სახელზე საერთოდ ქართული პოეზიის ახალი ეტაპი აღნიშნა. თავისი ხელნერი, რომლის დამახასიათებელი ნიმუშებიცაა რეალიზმი, ფორმალისტური კონკრეტულობა და რეორტაული სტილი, სამოქალაქო განწყობა, ფოლკლორის მკაფიო გამოძახილის ქარგა, კლასიკური და თანამედროვე ფორმების ორგანული თანაარსებობა, ისევე, როგორც პასტორალური და უბრაანისტული თემატიკის თანასწორუფლებიანობა, ის ყველა მისი თანამედროვე პოეტისაგან განიორნება. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ დალილა ბედიანიძის პოეზიის მაგალითზე კიდევ ერთხელ გაუქმდა მაღალი პოეტური შემოქმედებისა და ყველასთვის გასაგები პოეზიის მეურნეობის მითი.

ლია სტურუამ ე. წ. ელიტარული პლატფორმა ირჩია და აქედან გამომდინარე, მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი რთული სახეობრიობისა და ინტონაციების გამო ის ერთნაირად გასაგები ვერ იქნებოდა ენაქცესა თუ სოფელში მცხოვრები ყოველი მოქალაქისათვის. მან ზომიერი სალონური და მოდერნისტული განწყობები გააცოცხლა, დალილა ბედიანიძისგან განსხვავებით ნაკლებად რადიკალური ექსპერიმენტების გამოყენებით და დიდწილად ინტრავერტული, თავის თავში ჩაკეტილი და საკუთარ თავზე ორიენტრებული იდიოსინკრაზიულ ვერლიბრს გვთავაზობდა, რისი გავრცელების მცდელობები თუ სურვილები ამჟამად შეიგრძობნა ახალი თაობის ელთა პოეზიაში.

გაცილებით რადიკალურ, პოსტმოდერნისტულ ევრისტიკაციის მიზართა ერთ-ერთმა გამოჩრეულმა თანამედროვე პოეტმა ნინო დარბაისელმა, სრულად ახალგაზრდა ასაკში და თანაც საშუალო პერიოდის ყველაზე აკადემიური ლიტერატურული გამოცემის, გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე 1980-იანი წლების ბოლოს. ერთ თავის მომცერი ლექსთან ერთად მას იმავე ლექსის ვრცელი განჩევა ისე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც ამავე ლექსის თავისებური გაგრძელება, თავისუფალი საზომით დაწერილი პროზაული ლექსი („წმინდ სიყვარულის შუკარდო“). ნინო დარბაისელი ინტელექტუალურ თანამედროვე პოეზიას დასტრიალებდა თავს, სადაც არც ელიტურობა და არც სახალხოობა არ არის პრიორიტეტი. მისი მომცერი ფორმის ლექსებ-

ის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შეიძლება ყველასთვის გასაგები იყოს იმ ხარისხით, რაოდენი ლიტერატურული და, მეტიც, ლექსითმომცემლობითი მომზადებაც შეიძლება აღმოჩნდეს მკითხველს, თუ არადა, მის ლექსებს მაინც არაფერი აკლდებათ და სრულიად გასაგებნი რჩებიან.

ჩვენი დღევანდელი სტატია ერთგვარი დავიდანებული რეცენზიაცაა იმ პოეტიკ ქალების შესახებ, რომელიც თავის დროზე მეტი ყურადღება უნდა მიექცოდათ. არ არის აუცილებელი, რომ პოეტი უკვე დასრულებული ხელნაწილი წარსდეს მკითხველის წინაშე და მხოლოდ მაერ ჩავთვალოთ ჩვენს მოვალეობად მის შესახებ რამდენიმე გამაზნებელი და კრიტიკული აზრის გამოთქმა. დღეს საინტერესო პოეზიას წერენ ისეთი გამორჩეული და განსხვავებული ესთეტიკური მისწრაფებების მქონე პოეტები ქალები, როგორებიც არიან მია სარიშვილი, ელვა სამინაშვილი, ეკა ქვეანიშვილი, ბელა ჩუკურიშვილი, ლია ლიქოკელი, თეა თოფურია, დიანა ანფიმიადი, ცირა ბარბაქაძე, მარიამ ნიკლაური, დარეჯან სუმბაძე, მარკა ფორტოლიანი, თაბუნა ჭყონიძე, ქეთი ხაზირიშვილი და სხვები.

თუ ახალგაზრდა პოეტებზე ხმადაც ნერა არ მოგვერძება, შეიძლება ვაგებებთ იმის აღნიშვნა, რომ დალოლა ზედანიძის და მისი ლიტერატურული ნოვატორობის შემდეგ ერთ-ერთი საინტერესო პოეტია ქეთი ხაზირიშვილი. საინტერესო იმ კუთხით, რომ მან მოახერხა მილიანად დატოვებინა მე-20 საუკუნის ტერმინოლოგია, არამარტო ფორმით, არამედ სათქმელითაც, მოახერხა ინერციის გადალახვა და სრულიად ახალი პოეტიური დისკურსის წინ დადგომა შემოგვთავაზა. ქეთი ხაზირიშვილის ცალკეული ლექსები გზაგამყოფის პირველ მინიშნებს შეიძლება წარმოადგენდნენ და განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვან შედეგებთან მისვლასაც შეიძლება გულისხმობდნენ. ყურადღების მისაქცევად პოეტს საერთოდ არ სჭირდება მკვეთრი მოქმედებები, მათუშეტეს, რაიმე ფრაზეოლოგიური ან შინაარსობრივი უხეშობები. კარგად იციის, რომ პოეზიისკენ მიმავალი მთავარი კარის გასაღები ეს არ შეიძლება იყოს, თუნდაც დროებითი სარგებლობის მნიშვნელობით.

ქეთი ხაზირიშვილის ის ლექსები, რომლებზეც ჩვენ ამჟამად ყურადღებას ვამახვილებთ 2008 წლის იმის პერიოდის გარემოთა თავმოყრით. მათში სასიამოვნოდ გამოისყვივის ამკარა ფაქტი, რომ პოეტი საყოფარო მეტყველებით ბუნებრივად დააკავშირებული ქართული მეტყველების არქტიპოიან, არა როგორც ნერა-კითხვის მცოდნე და თვითმიზნის მქონე მავანი დამწყები ლიტერატორი, არამედ როგორც რიგითი მოქალაქე ენის პერიფერიული და შუენიშვეული ცხოვრებისეული ცოდნით. სწორედ ამიტომაცაა, რომ მასთანაც სხირად ურთობო ლექსი რითიან ლექსად მოჩანს და ამით ის თავისუფალ ვერსიფიკაციამ ნამდვილ პოეტური მეტყველების გამორჩევის ჩვეულ მახასიათებელს იმეორებს. მორიდებული პოეტური ენის მსგავსად, მის ლექსებში იშორ ჩანს, თვითონაც თითქმის მორიდებულად, პერიფერიული პოზიციის დაკავება ირჩევს სალიტერატურო საზოგადოებ, რაც ქალური პოეზიის ერთ-ერთ ნამდვილ მახასიათებელად შეიძლება ჩაითვალოს.

„წვიმის სეზონი“ ურთობო ლექსია და სხვა ლექსების გვერ-

დით ისიც ისეთი ბუნებრიობის ნიმუშად მოჩანს, ქეთი ხაზირიშვილის პოეტობა რომ ანასიათერეს სილაღლი უზარალოების მიღაც მაყარე პოეზიციის მქონე ესთეტი დგას და აქ ყველაფერი ესთეტიური და ლამაზია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ნამდვილი. ესთეტიკა მისთვის, პირველ რიგში, სილაღლესა არაა, როგორც ჩანს, წესრიგს და ეთიკას ნიშნავს და ამიტომაც წარმოგვიდგება საბოლოოდ მისი ლექსები როგორც ეს კონსერვირებული და ხაზგასმული ესთეტიკობა. დაკონსერვირებული ვაზი-საბის მოვლავიონებს, იაპონური ესთეტიკის ამ ძირითად კატეგორიებს, უზრუნველბას, განმარტობებს, სინამდვილას, არქაულობას, რაც უშაღლეს მემენიერად აღიქმება. ასეთივე წესრიგშია მოქცეული პოეტის მეორე ლექსი „გაკვილი“, რომელიც ბოლოს მულოდენლად გვიმყვანებს თავს, როგორც ერთკლასი ლექსი. სასიყვარულო შინაარსის ლექსებს ქალებისთვის სხირად მაგორი და დამატყვევებელი უზომედეგების დანიშნულებაა გააჩნიათ. ისინი კონკრეტული მიმღების ემოციური შეტოქვისათვის არიან გამზადებულნი, რითაც უხეშდღით ამქვანებენ ქალთა არარეალიზებულ მიდრეკილებას შლოციების პოეზიისაკენ, თუნდაც ჩვენს პოსტმოდერნისტულ და ადრეც, ვთქვამთ, გალაკტიონის დროინდელ მოდერნიზმის ეპოქაში:

სადა ხარ? სად ხარ? სადა ხარ?!

კითხვები ნუნავენ საათებს.
ო, ველარ ვიზან მე ამ გვარ –
ღამეებს წეაღებთ განათებს.

(ლიდია მეგრელიძე,
„თვლებში მთავრე და ფირუზი“, 1926)

ქეთი ხაზირიშვილთან ეს ასე არ ხდება, ის მაინც ყოველთვის ინარჩუნებს ემოციურ განდგომას და ასეთ ესთეტიკურ ნიდაგზე ჩვენს წინაშე წარმოადგება როგორც წესიერი პოეტი და მოქალაქე, რომელსაც სურვლია აქვს, რაც შეიძლება უზარალოდ და რეალისტურად იყოს დაკავშირებული დღევანდელ დღესთან.

ქეთი ხაზირიშვილი ჯერჯერობით არცერთ ჩვენს მიერ ნაეარაუდებ გზას არ მისდევს – მას არც შლოცივის ელემენტები შეაქვს საკუთარ პოეზიაში, რათა მათი საშუალებით მოსწყდეს ადამიანულ სხეულისმიერ სიმძიმეს და არც თავისუფალ სიყვარულს უძღვისნი შიმენებს. იქნებ იმიტომ, რომ ნამდვილი შლოცივებისა და წმინდა სასიყვარულო ოდების ნერა ძალზე რთული ამოცანაც არის ეგზისტენციული



თვალსაზრისით და პოეტი ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ ესთეტიკურ პრინციპებზე დაყრდნობით თავის გარემომცველ უსაზღვრო სინამდვილეს ირჩევს სათქმელად.

ქალებს ასევე უყვართ, ენის მოზღვრით ესაუბრონ სხვა-დასხვა ბილს, მწერებს, ქვემძიმეებს, ყველას დედა-შვილურად დაუყვავონ. ქეთი გზირიშვილი არც რაიმე ასეთ თავშესაქცევ თამაშს მიმართავს, მას არ სჭირდება ზოლოლოგიური აღმატებულიობის ბლაგვი და მოსაწყენი იარაღები. არც ყოფითი და პირადული პრობლემის გამო ვაკუმულის და ტრაფარეტულად დადგენილ სტრასშიერ ქალურ სათქმელს ერიდება. შეუძლია, არასოდეს ილაპარაკოს თვისთაზე. განზოგადება კი ხშირად ყველაზე დიდი პრობლემაა ქალებისათვის და თუ მაინც ახერხებენ ამას, საბოლოოდ ყველაფერი მოჩვენებებით სავსე საკი-წყობის პალატას დაემსგავსება ხოლმე, რადგანაც სინამდვილეში განზოგადება კი არ არის მათი მიზანი, არამედ მხოლოდლა ილუზია და დამალვა.

უნდა ვეღიაროთ ისიც, რომ ქეთი გზირიშვილის ჯერჯერობით ერთადერთ კრებულში „სელა“, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ არის გამოცემული, საკმაოდ გვეხდება სუსტი ლექსებიც. ქვეყანაში გამარაოული სალიტერატურო პირობების არსებობის შემთხვევაში ეს ასე არ უნდა ხშირდარიყო, რადგან მათი დიდი ნაწილი აუცილებლად გაიფილტრებოდა, როგორც ავტორის, ისე რედაქტორის მხრიდან.

საინტერესო ავტორია დარეჯან სუმბაძე და მოუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხშირად იბეჭდება სრულიად სხვადასხვა ლიტერატურული პროფილის გამოცემებში და საკუთარი ხელწერილითაც კი გამოირჩევა დღეისათვის „დადგენილი“ საყოველთაო ნორმისგან, ის მაინც ზედმეტად ჩრდილოა მოქცეული და ქეთი გზირიშვილის მსგავსად ერთგვარი აუტსაიდერის როლს შეუთვისებია. მის ლექსებში საერთოდ არ არსებობს რაიმე მექანიკური დისკურსი ან ფრაზა, რომელიც პირადად მისი არ არის, ის ე. წ. მოაზროვნე პოეტების კატეგორიას მიეკუთვნება და შეიძლება უფრო მეტადაც კი, ვიდრე ამას ჩვენში დამკვიდრებული შეხედულება წარმოიდგინს. მეტიც, მისი ტროპი ხშირად სწორედ კრიტიკული აზროვნების პროდუქტია და ლაკონიურად და ჰარმონიულად ითაცხებს პოეტურ სევდას. დარეჯან სუმბაძე შეგვიძლია მივიჩნიოთ კიდევ ერთ პოეტ ქალად, რომელიც თავისუფალია რაიმე გენდერული კონტრასტისა და შეფერვილობისგან და ლოგიკის, სალი აზრის, კრიტიკისა და მეტაფორის მოულოდნელ გადაკეთებზე ქმნის საკუთარ პოეზიას. ეს სასიკოცე შეიძლება აღმოაჩინდეს, როგორც საზოგადოებაში პრეზენტაციების კუთხით, ასევე პირადი კომფორტის თვალსაზრისითაც, რადგანაც საზოგადოება ხშირად უფრო იოლად ეუბნება მინაარსობრივ არეულობასა და სიგაჟეს, ვიდრე ფორმალური წესრიგით ჩამოყალიბებულ ნამდვილ სტრუქტურულ ამბობს.

ამ ორ პოეტზე ჩვენ სპეციალურად გავამახვილებთ ყურადღება, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი, მაინც არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ისინი საკუთარი პოეტიკის ორიგინალური მიმართულებებით გამოირჩევიან.

ქალთა დღევანდელი პოეზიის მსგავსი ემოციურ-საკომუნიკაციო არეულებებზე შეიძლება 1920-იანი წლების ე.წ. „მეზობელი“ (სხვათაშორის) ეკონომიკური წესრიგის – წერილი კომპერატციებისა და სხვადასხვა საჯაროების) პერიოდის პოეზიასაც ახასიათებდა, რაც ალბათ იმ დროს მიღწერილ ფუტურისტული ზედპირული გატაცებებითაც ნაკლებად როდი იყო განპირობებული. თანამედროვე ემოციურად აძლილი თუ უზარალოდ სოციალურად დაუდევარი პოეზიცა ალბათ კვლავ წერილ მოუგერეთა ინფრასტრუქტურითა და გარემოთა განპირობებული, თუმცა ისიც ფაქტად რჩება, რომ ინდროინდული მანუფაქტურული და პოეზიაც მაინც უფრო კოლორიტული იყო:

ლიკანის მთებში დავთალხავ თვალებს,
მიმაგონდება მთაწმინდის მთვარე...
ესლა მე გვეყარ გრძნობა ნამთვრალეს –
ღამით ნანვალებ უზნეო ქალებს!

ო, ეს ხეები ელდინურ სიბრძნის,
დინჯი, ბებერი, და ასე ნახო.
ცისფერ ზმანების დღეები მირბის,
ვეფიეროს ბორჯომში დაგვარგე აზრი...

ვიცი იცილებს მბარბელი,
რომ იქ, სადღაც შორს არის სხვა მხარე!
მოვა გახეთის დამტარებელი,
კვლავ მომაგონებს მთაწმინდის მთვარეს.

ტყელისო, გული შენ მოვაბარე! –
სხოუნის აღურსმა ვადამიტანა
ვეუცქერი სულის დახურულ კარებს
ვიციინ ისე, როგორც სატანა.

(ლიდია მეგრელიძე
„დედები ბორჯომში“, 1926)

იმამიც ეჭვი გვეპარება, დღეს ვინმეს ისეთივე რადიკალური ფემინისტული პოზიციები გააჩნდეს, როგორც ჰქონდა ლიდია მეგრელიძეს, ცნობილ საბავშვო ავტორს, გალაკტიონის მეგობარ ქალ პოეტს, რაც ლიტერატურის მუხურების თანამშრომლის ნინო ჩიხლაძისთვის დატოვებული მისი ანდერძიდანაც ჩანს:

„ქალის სახელი მუდამ „ცოლი“ როდი უნდა იყოს და კაცის სახელი „ქმარი“... რაც ნიშნავს მამაკაცის ძლიერებას და დედაკაცის უძლურებას... მე ვეფიეროს კომუნიზმის დროს ეს სახელი „ცოლი“ და „ქმარი“ მოისპობა. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ბავშვი დაიბადება და სახელ-

სახე გაქვს აგრულელებული
როგორც ყანა დანაკობი
წელში ხარ გამოყვანილი,
იხე აგიშენდეს ქობი.

ჭამო... ჩემო... ნამო... ჩემო...
ნამოგყვები „დამასკოში“,
მიყვარს ბული, მონპასიე,
დამაქრული ვაშლი, კომში.

ნუცა ნაცნობად

ბაბარაკუნა

სალამს გიძღვნი ჩემო საყვარელო ქმარო,
ვიცი ეხლა გცხელა, მონყენილი ხარო.
ნუ იდარდებ ჩემზე; ნუ აპყვები იჭვებს...
მეც მარტო ვარ ტყეში, არ გპორდები ფიჭვებს.

ან კი აგარაკზე – სასეირნო რა მაქვს!
ტყეში ვნევიარ მუდამ შეჩვეული გამაკს!
მართლა, იმ დღეს შემხედა შენი დირექტორი,
იმისთანა დღესკა არ იქნება ორი.

არ იდარდო, ჩემო, არ შესწუსდე ფულზე...
მართლა, მეყოლება შვილი გაზაფხულზე.
კარგათა ვარ, დღეში თხოთმეტ კევრცხსა ენონნი...
იყავი კარგად, ჩემო, გკოცნი... გკოცნი... გკოცნი...

მარიამ კოცნად

ბაჩარაზა

როცა უცქერ „პონიკებს“ მოკლე კაბიანებსა,
ქალწულებსა გიჟებსა და მსხვილ ფენიანებსა,
მაშინ ნდომისა წერწყვი ყელში გაგორდება,
აღარ გშეღლის არც თხოვნა და აღარც შევედრება.

ვაი, შენი ბრალი, გეკიდება ალი.
იწვი შენ სანყალი, გადაისხი წყალი.
თავს გეხვევა რეტი, ხარ ნამდვილი ცეტი,
ხანა არ არის მეტი – უნდა დაგცხონ კეტი.

მაკა პროშტავა

ბინაში

დაღამდა უკვე. მზე ამოდის დასავლეთიდან.
ჩიი აღუღდა სამოვართი უკან ქუნაში,
რა მიეცი დღეს შენ გირვანჯა ბულკის სუხარბი?
შენ მაგ თვალზე, ეგ თქვინი რამ დაგისივა?
მატარებელი განწირული ნეტავ რას კივა?
შენ სიღამაზეს დინუნებს ნეტავი ვინა?
გუმინ სევდებმა საბურთალო გადაირბინა.

* * *

ჩემი ქმარი ციხეშია,
ვაი... ვაი... ვაი...
ვერ გამოვა მიდღემჩია,
ვაი... ვაი... ვაი!

* * *

დედავ ბატინკა,
მამავ კალოში, –
სვიდანის მინიშნავეც
საბურთალოში!

* * *

მატარებლის კარები
დედას გაეგვარები,
წაეკლ ზაცსში ბელს მოგანერ
პატრონს ჩაეგვარები.

ბოლოს კი დადენდით, რომ როგორც მხატვრობაში ანსტრაქცია, იმგვარადვე პოეზიაში – ვერლიბრი, გამოხატვის დიაპაზონის მუხლდენისათვის კი არა, მეტი თავისუფლებისათვის იქნა შემოღებული და ცალკე მდგომი ფორმა, გინდა კონვენციური და თუ გინდა თავისუფალი ლექსის, თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუკი მისი გზით რეალური ენა და სათქმელი არ მოიძებნა. და სხვა შინაარსთა ჩამონათვალს შორის იქნებ ეს დატვირთივაც გააჩნის დალილა ბედლიანდის ერთი ლექსის სტრიქონებს:

ვათავისუფლებ ოთხ სტრიქონზე ჯვარცმულ რითმებს
და მარცვლებდათილილ სიტყვებს ლექსში ვათავისუფლებ!
...და მერე თვითონ თავისუფლებას ვათავისუფლებ!



5

ლიბერალური ხალხდარი

2018 წელი საფრანგეთში გვიომ აპოლინერის წლად იყო გამოცხადებული.
მისი გარდაცვალებიდან უკვე 100 წელი გავიდა.

მე ვრჩები დრო კი გადის

ქეთევან კოკოზაშვილი

არავინ იცის ზუსტად, ლევენდა თუ სინამდვილე, რომ როდესაც აპოლინერმა თავისი პირველი პოეტური კრებულის, - „ალკოოლებში“, - საცდელი ეგზემპლარები მიიღო, აღმოჩნდა, რომ პუნქტუაციის ნიშნები მთლიანად გამოტოვებული იყო. პოეტს არ მოუთხოვია არავითარი შესწორება, მონონა კიდევ, საინტერესოც მოეჩვენა და გადამყვინა, წიგნი ამ სახით გამოცემულიყო. შემდეგ ბევრმა პოეტმა მიბაძა მას. პუნქტუაციის ზოგჯერ მთლიანად გამოტოვებდნენ ხოლმე, ზოგჯერ - ნაწილობრივ. ამგვარად, ლექსი ენაში თითქოს კიდევ უფრო მეტი თავისუფლების სივრცედ იქცა. ამ ხერხის გამოყენებით აპოლინერი მიანიშნებს, რომ ზოგჯერ საინტერესოა გაურკვეველობისა და დაბნეულობის შემოტანა, ხანდახან მკითხველი უნდა ორჭოფობდეს, მეტს ფიქრობდეს ანა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის გარკვევისას, სტრიქონები ერთმანეთისგან უნდა გამოშვინდნენ, ან, სულაც, ისე უნდა ახედნდნენ ერთმანეთზე გავლენას, რომ იქმნებოდეს ერთი მთლიანობა. ზოგჯერ შეიძლება იყოს „პოეტური ბოდაც“, ბუნდოვანი აზრიც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია პოეტურად. ამას ემატება სრული თავისუფლება და ექსპერიმენტები ევრსიფიკაციული სიხალეების მხრივ. პოეტი ხან ჩვეულებრივ მიჰყვება ტრადიციულ ფორმებსა და მეტრიკას, ხან სრულიად ახალ ფორმას ვთავაზობს და მოგვიანებით, „კალიგრამების“ უჩვეულო გრაფიკულ-ევრსიფიკაციული ციკლიც ჩნდება. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული „სიახლის“ ეფექტი ჰქონდა, ისევე, როგორც ტრადიციული რითმიანი სტროფებით ავტობლ ლექსში ადგილადილი ევრსიფიკების ცოცხა პრეტენზიულ გამოჩენას ან პირიქით - ევრსიფიკაციის რითმიანი მონაკვეთების ჩართვას.



გაერთიანებული და დალაგებული. ფრანგი ლიტერატორი ჟოზეფ დუამელი კრებულს „ქველმანებით მოვაჭრის ფარფულსაც“ კი ადარებს, თუნცა, მიუხედავად განსხვავებულობისა, ელემენტური, სიმბოლისტური, მისტიკური ხასიათის ლექსებს შორის არის გაცილებით სიღრმისეული ერთიანობა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. „ზონა“ კი ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული ლექსია და გასაგებია მისი განსაკუთრებული ადგილი არამხოლოდ „ალკოოლებში“ და აპოლინერის შემოქმედებაში.

მაგალითად, „ალკოოლებში“ აპოლინერს არ უცდია, ლექსები ყოფილიყო თემატიკით, ესთეტიკით, ან სხვა ნიშნით



S
A
L
U
T
M
O
N
D
E
D
O
N
T
J
E
S
U
I
S
L
A
L
A
N
G
U
E
É
L
O
Q
U
E
N
T
E
Q
U
E
S
A
B
O
U
C
H
E
O
P
A
R
I
S
T
I
R
E
E
T
I
R
E
R
A
T
O
U
J
O
U
R
S
A
U
X
L
E
M
A
N
D
S

აპოლინერი ფრანგულ პოეტურ ტრადიციებს ეფუძნება და ცდილობს მასთან ნოვატორული ხედვის შერწყმას. მისთვის მნიშვნელოვანია პოეზიის ევოლუცია, განახლება და, როცა ვლადიმერსონის მისი შემოქმედების მოდერნისტულუბაზე და საერთოდ, მოდერნიზმზე, სწორედ ეს უნდა იგულისხმებოდეს – ნარსულთან მუდმივი კავშირი და მომავლის განჭვრება, მომავლის პოეზიის შექმნა. თავად კი, თუ მოდერნულობაზე ლაპარაკობდა, ყოველთვის მხოლოდ იუმორით, ირონიითა და დისტანციით.

აპოლინერის პოეზია არის კულტურის სხვადასხვა მიმართულების შერწყმა: კუბისტური ტილოები, გადმოტანილი პოეზიაში; ნატიფი ლირიზმი, შერწყმული მისტიკურ ნიადაგვლებთან; მოკლე, აპოლინერმა შექმნა სრულიად ახალი პოეტური სამყარო. როგორც თავად წერს, „ზეგარდმო ყოვლისშემძლე ძალა, შესაძლოა, ყოველდღიურად ცვლის საგანთა წესრიგს, ენი-ნაალმდეგება მიზეზებსა და შედეგებს... რათა შექმნას მოგვენათა ახალი თანმიმდევრობა, ახალი რეალობა.“

თვისებრივად ახალი ლექსი კი მოითხოვდა კითხვის სხვაგვარ თვისებებს, მკითხველისგან მოითხოვდა უნარს, ეთანამშრომლა პოეტთან, ანუ ლექსის შინაარსთან, ტექსტის მთლიანობასთან. მართლაც, მისი ლექსების კითხვა თავისებურ ფორმანებულ პროცესია,

წარმოსახვა ერთვება ლექსის გაგებაში და ინტერპრეტაციის საკმაო საშუალებას იძლევა.

აპოლინერმა სრულიად განახლა, ერთგვარად გააძლიერა კოდეც პოეტური ენა. იგი ხშირად არღვევს გრამატიკულ ნორმებს, ან სიტყვებს ინგვარად აკავშირებს, რომ აზრი უაღრესად ბუნდოვანია და სათქმელის მოხელეთა ძალიან ჭირს.

კლასიკური მწერლობა იცავდა და მიჰყვებოდა აზრს: „ხელოვნება, მწერლობა სათქმელის ნათლად გამოთქმა-გამოხატება“. ამ მოსაზრებას უპირისპირდება აპოლინერი თავისი შემოქმედებით ცნობიერად თუ არაცნობიერად და სრულიად ათავისუფლებს პოეზიას ყოველგვარი კლიშეებისგან. „ალკუ-პოლები“, რომელიც 1913 წელს გამოჩნდა, იყო თანამედროვე პოეზიის ერთგვარი მანიფესტი და თავისებურ პოეტურ სკოლად იქცა. მან მისცა მიმართულება თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგს, იქცა ზოგადად მოდერნიზმის განვითარების საფუძვლად. აქ ჩანს სახელი ხელოვნება, შენავეებული პოეზია-სთან, გამოვლენილი მარტო ლექსის შინაარსში კი არა, ფორმაშიც. ერთ-ერთ წერილში ის თავად წერს: „პოეტი რომ ხარ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვა რამის გაკეთება არ შეგიძლია.“ „კალი-გრამები“ არის სწორედ პოეზია, გრაფიკა და პლასტიკა, წარმოდგენილი კომპლექსურად.

აპოლინერი ადრევე ფიქრობდა წიგნად გამოცემას, მაგრამ მალე დაიწყო ომი და პოეტის გარდაცვალებამდე შეიდა თვით ადრე ძლივს მოხერხდა ამ ნაშუქელების ერთად თავმოყრა. აპოლინერს, როგორც ჩანს, უხდლად ეწყენებოდა, რომ მარტო პოეტი კი არა, მხატვარიც იყო. კალიგრამების პირველი ნაშუქე-ბი შესრულებულია აკვარელითა და გუაშით. ის არის პოეტი-მჭერეტელი, ხედავს, როგორ ვითარდება ახალი ტექნიკა, კინო, ფოტოგრაფია და ამიტომ პოეზიაშიც საჭიროდ მიიჩნევს ახალ ფორმათა ძიებას. მისი აზრით პოეზია ვერ დარჩება უბრალო ნაბეჭდი ტექსტით.

თვითონ სიტყვაც, „კალიგრამები“, აპოლინერის მოგონილია, გამომდინარე სიტყვიდან -კალიგრაფია და იდეოგრაფია. „კალიგრამები“ არის სიტყვათა და ფორმათა თამაში, ლექსი-ნახატი. სიტყვები ხატავს სიგარას, საათს, მტრებს, ზოგჯერ კი ფურცლებს გადაუხლევიან წვიმის წვეთებად თუ პირველ მსოფლიო ომში ბრძოლის ელზე მიძვალი მატარებლის სახით. კალიგრამების უმრავლესობა ფორნტზე შექმნილი და მათი ადრესატები არ-ის საყვარელი ქალები, ლუ და მადლენი. ომსა და ბრძოლებს ის ასე უძღვება – ლექსებში ახდენდა გრძობებისა და დაძაბული ყოველდღიურობის ტრანსფიგურაციას, სიტყვების ასეთ პრიზმა-ში გარდატეხვისას კი იქმნებოდა გასაოცარი სინთეზური პოეზია.

ისევე, როგორც კუბისტების ტილოებზე, სინამდვილე აქაც ასახულია კოდირებულად. აპოლინერის პოეზიაშიც კოდირებუ-ლი პოეტური ენა და საგანი წარმოდგენილია ხშირად ორგან-ზომილებით სერცეში. ამიტომ არის, რომ ზოგიერთმა ლიტერა-ტორმა მის პოეზიას „კუბისტური პოეზიაც“ კი უწოდა.

საბოლოოდ, თუ დანსება კითხვა ლიტერატურული მიმდინარეობის შესახებ, უნდა გავისვენოთ, რომ თავად აპოლინერმა 1909 წელს ერთ-ერთ გამოსვლაში დაასახელა „ახალგაზრდა პოე-ზიის“ ორი ფუნდამენტური დაჯგუფება – ერთი მხრივ, უნიანი-მიზმი და მეორე მხრივ, პარტეტი, რომლებიც თანამშრომლობ-ნენ 1903 წელს მის მიერ დაარსებულ ჟურნალთან, მაგრამ პოეტი საკუთარ თავს არ მიაკუთვნებდა არცერთ სკოლას, არცერთ



პოეტურ დაჯგუფებას. მის მიზანდა, რომ იყო ყველასგან განსხვავებული და ქმნიდა სულ სხვაგვარ პოეზიას, ახალი ესთეტიკით. თუმცა, ზოგჯერ ერთია, რას ამბობს, რას ფიქრობს, როგორ აფასებს პოეტი თავის შემოქმედებას და მეორეა, ერთიან ლიტერატურულ კონტექსტში მოგვიანებით როგორ იკვთება საერთო ერთობა და, შესაბამისად, როგორ განიხილება მისი პოეზიის ადგილი და თავისებურებები. ეს ყოველივე კი ერთი ფრანზიტი შეიძლება გამოითქვას – აპოლინერი ახალი ფრანგული პოეზიის ფუძემდებელია.


სხეულის ცხრა პარი

ძლიან მნიშვნელოვანია აპოლინერის ეპისტოლარული მემკვიდრეობა არა მხოლოდ თავისთავად, არამედ მისი პოეზიის ნიუანსების, მისი ნატიფი ლირიზმისა და ნელანქოლიის უკეთ გასაგებად. წერილებში ერთმანეთს ერწყმის პოეზია და ყოველდღიური ცხოვრების პროზა. წერილებს თან ახლდა ლექსები, მიძღვნილი საყვარელი ქალებისთვის.


მხატვარ მარი ლორანსენის სიყვარულს უკავშირდება მის შემოქმედებაში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ლექსი, მათ შორის, „ზონა“ და „მირაბოს ხიდი“, რომელიც მასთან კამათისა და განზორბების შემდეგ დაწერა. „მირაბოს ხიდი“, ერთი შეხედვით, ტრადიციული ლექსია თავისი სიმბოლიკით – სიფიქსი, სარმაგალი დრო, თუმცა ეს უნივერსალური თემატიკა და ლექსში შერწყმულია ახალ ფორმასთან, რიტმთან, რითმებთან, ლირიზმთან და მუსიკალურობასთან:

„მირაბოს ხიდქვეშ მიღელავს სენა და ტრფობა ჩვენი უნდა მასსოვდეს ჭირთა დათმენა რომ ტანჯვა უძღვის წინ ყოველ ლხენას.

მსუხრი დგება და რეკავს საათი მე ვრჩები დრო კი გადის ტაატით“



 აპოლინერის, მისი პოეზიის განუკუთრებელი ინსპირაციის წყარო იყო დიდი ქალღმერთი ლუს მიმართ (განთქმული ლუსი და კოლინი-პატიონი). ამიტომ უძღვრესად საინტერესოა მათი მიმონერა. აქ უბრალოდ ხელუწევა და პოეზია კი არ იჩენს თავს, არამედ იგრძნობა უმბადრესი ეროტიკული პულსაციაც. რასაკვირველია, ეროსში იგულისხმება „ხელოვნების სიყმანვილი“ და ის აპოლინერის ლექსების იმპულსად იქცევა. ლექსი „ჩემი სიყვარულის აზრდილი“ ამის დასტურია. ქალი შეხვედრისთანავე ხიბლავს პოეტს და მასაც მაშინვე უვარდება. წინდება ინტენსიური და, იმადროულად, ეფემერული გრძნობა. აპოლინერმა ლუს მისწერა ასობით წერილი, რომლებშიც არის დიდი სიყვარულის გამოკვლევა. აქ ერთმანეთს ერწყმის ფანტაზია და რეალობა. თითქმის ყოველ წერილს თან ახლავს ლექსი, ზოგს რამდენიმეც. ლუ იყო მისთვის განსაკუთრებული მთავარბების წყარო. ერთი წერილი კი იმით გამოირჩევა, რომ ჯერ ჩვეულებრივად მისწერა ქალს, მერე კი ცნობილ მშვენიერ ლექსად აქცია: „ჩემი ლუ, ახლა მინდა კვლავ სიყვარულზე გელაპარაკო. ის ისე შემოიჭრება ხოლმე გულში, როგორც მზე ეფინება დღეს, მერე კი შოლტავით მოიქნება სიცივეს, რომ ჩვენი სულში ცხოველჰოს. ჩემი სიყვარული მხოლოდ შენი ბედნიერებაა. და მეც მხოლოდ შენი გაბედნიერება მსურს. ეს სიყვარული ტკივილამდე მგზნებარე უნდა იყოს. ჩემი სურვილი შენს მშვენიერებასა და სურვილებს ერწყმის. ო, აი, კვლავ ჩემ წინ დგახარ მთლად მიწეული, მომხიფელი, ჩემგან გაღმერთებული. შენს მკერდს ხურმისა და ველური ლღვის გემო აქვს. თეძოს ტკბილი ხილც როგორ მიყვარს. ძვირფასო, ზღვის ქაფი ხარ, ქალღმერთის მშობელი... ვინეი შენს ცეცხლში და შენს სიყვარულში. დენისციეით ყოველდღე გვკვდები და ბელახლა ვიბადები.“
 ბეჭდურ უცდით გიითმისა და ლუს ხანმოკლე და უმბადრესი სიყვარულის ასხნა. მაგრამ უცბად და ასე ძლიერად გადავიგებული გრძნობა ვერ იტეზობდა ხანგრძლივი. მალე განეღდა ეს გიუერი სიყვარული, უცებ დაიპირიტა ენერჯია, თან გიითმის არჩაპო განწევა და მათი ფიზიკურად შორს ყოფნაც გარდაუვალი იყო. გარდა ამისა, ლუიზი ძალიან თავისუფალი ქალი იყო, პარალელურად სხვა კავშირებშიც ჰქონდა, ამ მხრივ „საბრალო პოეტი“, აპოლინერი, ვერაფერს გაანწყობდა. თითქმის ერთი წლის შემდეგ ისინი დაშორდნენ და პოეტმა ლუსთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.
 წერილები არივე მხრიდან გამოირჩევა ინტენსიური მამფერი ეროტიზმით, რასაკვირველია,



*Je lève aussi un monument
au dieu charmant et doux*

(C)i	toi	mon	pa	lit
lon	lu	es	la	dia
et	la	di	as	sa
lion	mo	pho	di	te
je	lui	as	ce	el
el	je	ta	do	re
di	vi	ni	id	nd
va	at	pre	(to)	se
A	maut	mel	(to)	se

*Qu'il faut imposer sur
l'autel à toi - me sur
l'ou qui es la divinité
l'actuel que j'implore*

ყოველგვარი ვულგარულის გარეშე: «ძვირფასო, დღეს დიდი გრძობათელღვაა, ძალიან მსურხარ, ძალიან, მეტისმეტად აღვზნებული ვარ. დიდხანს ვუფურე პატარა ფოტოს, მასზე ბალახებში ხარ, სახის მარჯვენა პროფილით, ლამაზი შიშველი მკეფი იდაყვადყრდნობილი გაქვს, სახეზე სიაოვნება გემჩნევი, დიდი სიაოვნება, მომხიბლავი ხარ ამ პატარა, გამორჩეულ სურათზე და მინდა, აქ, გვერდით მყავდე შიშველი, ლამაზი უკანა მხარე ოდნავ ზემოთ გქონდეს აზიდული და მემორჩილებოდეს... გაღმერთებ, ჩემო ძვირფასო, ჩემო პინია!» ანდა ნანწყები სხვა წერილიდან: «ხვალ ლექსებს დაგიწერ. დღეს ბევრი სამუშაო მაქვს, ხომ სასაცილოა?... გკოცნი სულ მთლიანად, გაღმერთებ, ჩემო ძვირფასო, ივლიშ გიყვან, ნელ-ნელა გარწევ და გაალერსები საყვარლად, საყვარლად.»

ამჟამად, რომ მათ ერთმანეთი ნამდვილი გრძობით უყვარდათ და თუკი დამორღვენ რამდენიმე თვეში, ალბათ იმის გამო, რომ მზურვალე ეროტიკული ნდომისა და სურვილის მამორთავეტილი «პოლონი» დამორიგება გარდა ამისა, პოეტი სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რაზეც მიაჩინებეს ლექსში «მელანქოლიური დარავი»:

«რისთვის ძვირ გულო ჩემო
მელანქოლიური დარავი
უწმურ სიკვდილს და ლამეს...»

მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ზოგჯერ «ლამაზი რომ» ეს მანტი სიკვდილის პირისპირ მყოფის საბედისწერო სიხარულია, სხვა არაფერი. ეს უმძიმესი ცოფაა ჯარისკაცისა მისწრაფის, ტალანში, ციცილიზებული ცოფისგან შორს.

ბოლოს, როდესაც ქალის წერილები იკლებს, აპოლინერი განმორების მოახლოებას გრძნობა, თუმცა ხანდახან წერილებში გაკრთება ხოლმე იმედით, რომ ლუს სულ ესაოძება ის და მისი პოეზია, ესობაზა, რადგან მან დაწერა, ენის საშუალებით ლექსებში გარდასხვა მისი სიყვარული, პოეტური ფორმა მოუძებნა და ასე მოხდა მისი, როგორც პოეტისა და ასევე ლუს იდენტიფიციერება.

უკვე ჯერში მომხაზურე გიომი ხედება მადლენ პაესს, კოლეჯის ლიტერატურის მასწავლებელს და ინყება ახალი სასიყვარულო ამბავი. ისინი ერთმანეთს მატარებელში შეხედნენ 1915 წლის 2 იანვარს, როცა ორი დღით გათავისუფლებული პოეტი ნაწილში ბრუნდებოდა. ამ შეხედრის დროს მოულოდნელად იშვა უდიდესი თრწნობა, შემდეგში წერილებში გაგრძელებული. დისტანცია ვერ აღმოჩნდა ხელის შემშლელი: პოეტის წარმისახვა რეალობად აქცევს მას და ასე ტრანსფორმირდება პოეზიად უცაბედად, იმპულსური და გაჭინილი მოულოდნელი სიცივე და აპოლინერისთვის ახალი, ძალიან ძლიერი ინსპირაციის წყაროდ იქცევა.

მადლენის წერილები შემოხაზული არ არის, აპოლინერისას კი შიშველეთიანი ლიტერატურული ღირებულება აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ბევრი რამ მცორდება სხვადასხვა სასიყვარულო პარათში. აპოლინერმა ნამდვილად იცის ქალეთიანი ლამაზაკი, თრწნა ამკარაა, რომ მადლენისგან ის თითების კულტს ეწმის. მათი სიყვარული უფრო და უფრო იხევენება და ღრმადდება წერილიდან წერილამდე. ზოგჯერ იმ დროისთვის ცოტა უცხო და უჩვეულოა პოეტის ენა: «გაღმერთებ, ჩემო საყვარელო, მშენიერება ხარ, ჩემი სამოთხე ხარ, გეხვევი ძლიერად, გიყურად, ისე მსურხარ, არასდროს არცერთი ქალი ასე არ მსურებია.»

როცა ვლამარაკობთ ამ წერილებში ეროტიკიზმზე, აქ აპოლინერი ნამდვილად არასდროსაა ერთფეროვანი. გარდა ამისა, ეტყობა ლიტერატურული ტექსტების გავლენა, თუმცა, რასაკერძოვლია, ის სრულიად ბუნებრივია ამ შემთხვევაში. საყვარელ ადამიანთან ეპატაჟი არც გამოვა და არც სადმე იგრძნობა.

«მარწყვის ნაწინი საუკეთესო იქნება, ნაყინი მადლენი, ჩემს პირში მადლენი...»

როგორც სიხარში ამიყვანისხარ, ისე გიყვან ახლა ხელში, გიკოცნი თმებსა და ლამაზ პირს! (1915 წ. 5 აგვისტო).

ეს წერილები არ არის უბრალო, ჩვეულებრივი ეპისტოლარული ჩანაწერები, აპოლინერისთვის მადლენი ლუს მსგავსად და იქნებ უფრო მეტადაც ინსპირატორია უფაქიხესი ლირიკული პოეზიისა. ამიტომ ამ შემთხვევაშიც წერილებს ხშირად თან ერთვის ლექსებიც.

«მელოდისი და თა გეკეთათ თითზე
არყოფნასათი უფერული ალუმინის სადა ბუქდები
ნაზი ვით სსოვსა»

ჰერბერტმა პერ მიიღო ახალი პოლონეთი



საქართველოს
საქმიანობა

პოლონეთის სემის 2017 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით 2018 წელი ზბიგნევე პერბერტის წლად გამოცხადდა. სემის განცხადებით, პერბერტის შემოქმედება განსაკუთრებით გამოირჩეულია პოლონურ ლიტერატურაში.

ამავე განცხადების თანახმად, პოეტური ციკლის „პან გოგიტო“ შემოქმედი, მრავალი ესესა და დრამატული ნაწარმოების ავტორი გახული საუკუნის 60-იანი წლებიდან ბევრჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, 80-იანი წლებში მჭიდროდ თანამშრომლობდა ანტიკომუნისტურ ოპოზიციასთან. მის ლექსებს მრავალი ბარდი მღეროდა. 1986 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პოეტი პარიზში ცხოვრობდა და ჟურნალ „ლიტერატურულ ფურცლებთან“ თანამშრომლობდა.



ჩვენი დროს უდიდესი პოლონელი პოეტი ზბიგნევე პერბერტი დაიბადა ლვოვში 1924 წელს. მას მიძიმე ბავშვობა ჰქონდა. თხოთმეტი წლის იყო, როცა მისი მშობლიური ლვოვი რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის საფუძველზე საბჭოთა კავშირმა დაიკავა, ცხრამეტი თვის შემდეგ კი, როდესაც საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის ომი დაიწყო, ქალაქი ნაცისტები შევიდნენ. სიცოცხლით სავსე, მრავალეროვნული ქალაქი საკონცენტრაციო ბანაკად იქცა. პერბერტს ეს დრო კარგად ახსოვდა. ჰყვებოდა ხოლმე, როგორ მოკვდა მაშინ სკოლის ეზოში მისი მასწავლებელი, დანარჩენი შედგოგები კი ციხეში ჩაყარეს.

პერბერტი პოლონურ წინამდებობის მოძრაობას შეუერთდა, სწავლა კი მიზისქვეშეთის უნივერსიტეტში განაგრძო. იმ ხანებში ბერტის ნახვა და გადატანა მიუწია: მასობრივი

მკვლევლების მოწმეც ყოფილა და იძულებითი დემორტაციაც გამოსცადა. მისი ოჯახი საბჭოთა არმიის მიერ ლვოვის აღებას არ დალოდებია, 1944 წელს კრაკოვში გაიქცა. წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ პერბერტმა უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, სახვითი ხელოვნების აკადემიაში ხატვას ეუფლებოდა და ამავე დროს საფაქრო აკადემიაში ეკონომიკას სწავლობდა. ბოლოს ეკონომიკურ მეცნიერებაში ხარისხიც კი მოიპოვა.

როგორც ანტიკომუნისტური „არზია კრაიოვას“ ყოფილი მებძოლი, პერბერტი პოლიტიკურად არასაიმედო პირად ითვლებოდა. პოეტს მაშინ დიდი არჩევანი არ ჰქონდა, ათასგვარ სამუშაოზე უშუშავია: ხან ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილი ჟურნალის რედაქტორი იყო, ხანაც – ბანკის კლერკი, ნოქარი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი. მოგვიანებით – პოლონელ კომპოზიტორთა კავშირის ადმინისტრატორი. ერთი წელი, როცა ძალიან გაუჭირდა, სისხლსაც აპარებდა და თავი ამ გზით მოღებულ შემოსავლით გაჰქონდა. 1950 წლამდე მისი ლექსები არსად გამოქვეყნებულა, 1956 წელს კი, ოცდათორმეტი წლის

ასაკში, პირველი წიგნი – „სინათლის წნული“ გამოსცა. მოგვიანებით თავის გამძლეობას, რომლის წყალობითაც „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ წინამძე ქვედი უკიდურეს გასაჭირშიც კი არ მოუხრია, შინაგან ძალას ან ხასიათის სიმტკიცეს კი არ მიანერდა, ამბობდა, გემოვნების საქმეაო. სულ ესაუბრებინა მეგობრთა იხსნა: საყოველთაო სიბინძურეში რომ არ გაისყარა, ამაში დიდი როლი სილამაზის მისებურმა აღქმამ ითამაშა.

ჰერბერტის, როგორც პოეზია, ისე მთელი შემოქმედება ძირითად ბერძნულსა და რომაულ ანტიკურ სიუჟეტებს ეყრდნობა. მისი ლექსები ადამიანური ბუნების წინააღმდეგობრივი ხასიათის დრამატუზაციანია. ჩვენ ხომ ღრუბელსა და ტალახთან ვუბეს შორის ეცხოვრობით, ამბობდა ჰერბერტი.

1958 წელს ჰერბერტმა პოლონეთის კულტურის სამინისტროსგან პირველი სამოგზაურო გრანტი მიიღო. ბევრს მოგზაურობდა, იყო ინგლისში, იტალიაში, პოლანდიაში, საბერძნეთში, სხვა ქვეყნებშიც; უმეტესად პარიზში, ბერლინსა და ლოს-ანჯელესში ეცხოვრობდა.

„რქული ლექსების“ გამოქვეყნებამ დიდი სახელი მოუტანა. ბოლოს, გერმანიის ხელოვნების აკადემიის მუდმივ წევრად აირჩიეს და რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ლიტერატურული პრემიაც მიიღო, მუშაობდა თეატრში, რედაქტორად, ქუცების ორი წიგნი გამოსცა: „ბარბაროსები ბაღში“ (1962) და „ნატურორტი ლაგამიან ერთად“ (1993). 1974 წელს დაიბეჭდა მისი კიდევ ერთი ლექსების კრებული, „ჰან გოგინო“, რომელშიც ამავე სახელის მქონე პერსონა პირველად შემოიღო. ბატონი გოგინო პირველ პირში საუბრობს ან მის შესახებ ჰყვება რომელიმე სხვა პერსონაჟი. ყოველი ლექსი მცირე ბიოგრაფიული სექტრია, განსჯა ჰერბერტის გმირის ვარემში.

1992 წელს სილამაზით შენსებულმა, მძიმედ დაავადებული ზიგნევი ჰერბერტი იძულებული გახდა პარიზიდან ვარშავაში გადასახლებულიყო. პოლონეთში დაბრუნებულმა საზოგადოებრივი ცხოვრებაში ყოფილი კომუნისტების მონაწილეობა ვერ აიტანა (ამაზე ბევრ ინტერვიუში ამახვილებდა ყურადღებას) და მტერიც ბევრ გაიჩინა, თავისი ყოფილი მეგობრებისა და კოლეგების წრეშიც. ამ უკანასკნელთა ინტელექტუალური პატრონების ნაკლებობას საყვედურად და ამხელდა. ჰერბერტი იმის გადატანად გაუჭირდა, რომ „არშია კრიაოვას“ ბრძოლა, რომლის მონაწილე თავად იყო და ვარშავის 1944 წლის აჯანყება ახალ პოლონეთში ზოგიერთმა პოლიტიკურ სიბეცედ და უაზრო მსხვერპლად

შეწავა. სიცოცხლის ბოლოს ჰერბერტი კიდევ ერთხელ აღიზნდა მარტოდმარტო, პოლონელი მწერლებისა და ინტელექტუალების უმარჯველესობის მიერ გარყვნილ და მოძულეობაში, რომელთა ყოველთვის ისეთ რამებს წერდა და ლაპარაკობდა, ვინც ნაკითხვა და მოსმენად ბევრს არ სურდა.

თავის პოლიტიკურ შეხედულებებს საკუთარი ცხოვრების წესითაც უმატებდა ზურგს. მაგალითად, მისი ხელმოწერა ამჟვენებს 70-იანი წლების მუა ხანებში პოლონელ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საპროტესტო წერილს, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესწორების წინააღმდეგ დაიწერა. ამის გამო განრისხებულმა ხელისუფლებამ პოეტის ნაწერების გამოქვეყნება აკრძალა და ჰერბერტი იძულებული გახდა ისინი ემიგრაციაში და იატაკქვეშა გახეთქებში დაეხვედა. ხელოვანი მორალურ ავტორიტეტს წარმოადგენდა მრავალი თაობის პოლონელისათვის, სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი ლუსტრაციისა და დეკომუნაციის უაღრესად აქტიური მხარდამჭერი იყო.

ჰერბერტი მდიდარი არასოდეს ყოფილა და ცხოვრებას საკმაოდ ფილოსოფიურად უყურებდა. 1972 წელს პოპულარულ ჟურნალ „პოლიტიკისათვის“ მიცემულ ინტერვიუში პოეტმა ასეთი რამ განაცხადა: „მთელი ცხოვრება შემდეგი ზეობრივი კრედიოთი ვხელმძღვანელობდი: თუ ორი გზიდან ერთ-ერთს უნდა დაადგე, აირჩიე ის, რომელიც შენთვის გაცილებით ძნელი გასავლელია.“ ამ კრედიოების მას არც უღალატია.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კი თქვა, თითქოს ანდერძივით უნდა: „ცხოვრება ძალის დარინება შვება: ძველ ძახვს ახალი უნდა შეეროს. სანამ ეკაც საღვთო წაგა, ის ტანისამოსი უნდა მოირგოს, რომელიც აქვს და ტანზე კარგად ადგას. თუმცა, უნდა იცოდეს, როგორი ტანსაცმელია ეს, რომელი ნაწილები აქვს კარგად შეხახული და რომელი გაცვენილია. ცხოვრებასაც ასეთი თვალთ უნდა შეხედო. მხოლოდ საკუთარს კი არა, იმ ერისა და საზოგადოებისასაც, რომელშიც მან ცხოვრება გაატარა“.

ჰერბერტი 1998 წლის 28 აგვისტოს ვარშავაში გარდაიცვალა.

ბოპოქარი ურიიერთობა ქალუბთან, კონფორმიზმის სიძულვილი, დასაღვთო ევროპაში ნასვლა, ლეოვში გატარებული ბავშვობა, ლიტერატურული ჯილდო ნობელზე წარდგენა, მთელი მსოფლიოს მწერლებთან, პოლიტიკოსებთან, ჟურნალისტებთან მეგობრობა – ეს მხოლოდ ფრაგმენტებია პერბერტის ბიოგრაფიის. ანდრეი ფრანსუაჟი¹ ორ ტომში, 1920 გვერდზე ციფლობს პასუხს გასცენ კითხვას, როგორი იყო „ჰან გოგინოს გზავნილი“. წინამდებარე ინტერვიუში ცნობილი ჟურნალისტი არგად ღრუშკინისა მისთან საუბრობს მწერლის ცხოვრების მხოლოდ ორ სვერის შესახებ: მის დამბოკიდებულებაზე პოლიტიკასთან და ქალუბთან.

¹ ანდრეი ფრანსუაჟი (დაბ. 1971 წ.) – ლიტერატურული კრიტიკოსი, კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ზიგნევი ჰერბერტის სახელობის საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდოს მინიჭებულ საბჭოს მდივანი, ავტორი წიგნისა „პილოტი, ბიოგრაფია“, რისთვისაც უამრავჯერ დაუჯილდოებიათ. ავტორია ასევე წიგნისა „ნელი ნაჟარო“, ვისზეც ჰერბერტის შემოქმედებაში ტანჯვის შესახებ“ და ჰერბერტის არტკოპული ბიოგრაფიის.



- როდის აქვთ განხილვა პერბერტი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი?

- პერბერტი უკვე 1956 წლიდან ნარუდგა პოლონურ საზოგადოებას თავისი ლექსების კრებულით. მისი შემოქმედება 1970-იან წლებში უკვე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა.

- კონკრეტულად მაინც უფრო რომელი ლექსით?

- 1974 წელს გამოქვეყნებული ლექსით „პან გოგიტო“. ლექსების ამ კრებულის გამოსვლის შემდეგ საზოგადოებამ მასში ის ზნეობრივი კრიტიკურებები ნახა, როლიაც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ეხელმძღვანელა. რადგან სამიში იყო ოფიციალურად დაბეჭდილი მისი ლექსების საზღვარგარეთ მცხოვრები პოლონელებისათვის გაცნობა, მას ხელით წერდნენ და ისე უზრუნველდნენ ნაცნობ-მეგობრებს. პოპულარული გახუთის, „გაზეტა ვიბორნას“ რედაქტორი ადამ მისინი, რომელიც იმ პერიოდში პოლიტიკური საქმიანობისათვის ციხეში იჯდა, პერბერტის ლექსების შესახებ წერს, რომ ლექსებით იკითხებოდა და ადამიანს ცხოვრებას უადვილებდა.

- ინტელექტუალურ ასევე ბევრთად კითხულობდა მის პოეზიას?

- უფრო მისი ოპოზიციური ნაწილი. ჯერ „პან გოგიტოს“ წყალობით, ხოლო შემდგომ პარიზში 1983 წელს გამოქვეყნებული ნიგნის, „რაპორტი ალყაშემორტყმული ქალაქიდან“ პერბერტი ისეთ პოეტად იქცა, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი ყურადღებით კითხულობდა.

- და არა მთელი საზოგადოება?

- ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მსგავსი სოციალურად გამოკითხვის ჩატარება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მის საავტორო საღამოზე სამხედრო მდგომარეობის დროს, რომელიც, როგორც წესი, ეკლესიაში ტარდებოდა ხოლმე, არა ასობით, არამედ ასობით ადამიანი მიდიოდა.

- ათასობით?

- დიახ. მაგალითად, კრაკოვში, ერთ-ერთ ეკლესიაში სამი ათასამდე კაცი შეიკრიბა. ეჭვგარეშად, მათ პერბერტის ლექსების მოსმენა სურდათ. მაგრამ უნდოდათ ასევე ერთობა ეგრძნოთ, ერთად ყოფილიყვნენ მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ, პოეტის სიტყვებით გაერთიანებულყვნენ.

- და ეს ხალხი რას უნდა გაართიანებინა?

- უაღრესად ყოვლისა, სურვილს, რადაკით მაინც წინ აღდგომოდნენ კომუნისტურ ხელისუფლებას. შეიძლება ითქვას, რომ მაშინ პერბერტის ლექსები დიდ მოვლენას წარმოადგენდა, ხოლო თავად მათი ავტორი - მნიშვნელოვანი, თუ პირველი არა, პოლონელი პოეტი იყო. რა თქმა უნდა, მილოში ნობელის პრემიის ლაურეატი ვადა, მაგრამ საზოგადოებაში ის ამკარად ნაკლებ პოპულარული იყო, ვიდრე ავტორი ნიგნისა „რაპორტი ალყაშემორტყმული ქალაქიდან“. ჩვენს კულტურაში, რომელიც რომანტიზმითაა „დაღდასპული“, პოეტს გაცილებით უფრო მეტი მოთხოვნაა, ვიდრე უბრალოდ ლექსების წერა. ხოლო 80-იან წლებში პერბერტმა ეს მოლოდინი გასამართლა. ამასთან, არც იმის დაგინებაა ეჭვები, რომ „პან გოგიტოს“ ავტორს არასდროს უწერია უბრალოდ გასართობი, გულიდან კაემნის გადამყრელი ლექსები - ის, მამატიეთ ეს ბანალური გამონათქვამი, ყოველთვის გამოირჩეული იყო.

- პერბერტი - სახალხო პოეტი?

აპირებ. საქმარისია, ჩელიო. რას ფიქრობ? ამქვეყნად სხვა მარი-
ანებიც არსებობენ. ერთად ვისადილოთ და ჯანდაბაშიც წასულა
მარიანა.

ჩ ე ლ ი ო. ნახვამდის, ნახვამდის მეტ-
ანს ვერ გაგჩერდები. ხვალ ისევ ვნახავთ ერთ-
მანეთს, ამახანავო. (გადის.)

ო ტ ა ვ ი ო. ჩელიო, მომისმინე! სხვა მარი-
ანას მოენახეთ, საყვარელს, კრავივით უწყი-
ნარს, და, რაც მთავარია, მწუხრის ლოცვაზე არ
ივლის. აჰ, წყეული ზარები! როდის დაასრულე-
ბენ ჩემს დასამარებას?

მ ს ა ხ უ რ ი. სენიორ, ნითურა ქალბატონი
არ იყო ფანჯარასთან, ამიტომ თქვენი მოხვევა
ვერ გადავცი.

ო ტ ა ვ ი ო. ჯანდაბაში წასულიყოს მთელი
სამყარო! ნუთუ დღეს მარტოობაში სადილობა
მიწერია? უკვე ღამეც კი დადგა. ჯანდაბა! რა
გავიკეთო? მშენებერა! ეს წამდელიად სარე-
მოა. (სვამს.) ნალევს ეს ლეონის დავახრობ
ან ლეონის მაინც დავახრობ აჰ ნალევლი. ა,
ლოცვა დასრულდა! მარიანა ბრუნდება.

შემოდის მ ა რ ი ა ნ ა.

მ ა რ ი ა ნ ა. ისევ აქ ხართ, სენიორ ოტავიო,
და უკვე სადილობთ? ალბათ, მოსაწყენია ასეთ
დროს მარტოობაში ყოფნა.

ო ტ ა ვ ი ო. მთელმა სამყარომ მიმატოვა.
მინდა მივალნიო მისს, რომ თვალუბო მიორდევ-
ბოდეს ყველაფერი, მსურს საკუთარი თავის
თანამოსულურე ვიყო.

მ ა რ ი ა ნ ა. როგორ! არც მეგობარი და
არც საყვარელი, რომელიც ამ დღი სიმძიმისგან
- მარტოობისგან გიხსნიდათ?

ო ტ ა ვ ი ო. სიძაროლე გითხრათ? მსახური
გავგზავნე; რათა ვინმე როზალინდა დეკაპტი-
უებიანა ჩემი სახელით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ
როზალინდა მეზობელთან სადილობს, როგორც
პატიოსანი მანდილოსანი.

მ ა რ ი ა ნ ა. ეს ჭეშმარიტად სანყენია და,
ვეარუებო, თქვენს გულში ახლა საშინელი სი-
ცარიელება.


ო ტ ა ვ ი ო. სიცარიელე, რომლის აღწ-
ერასაც ვერ შევძლებდი და რომლის გაზიარე-
ბასაც ამაოდ ვცდილობ ამ ფილისთან. ზარის
ულარუნმა კი რამდენიმე საათით სულაც დამაყ-
რუა.

მ ა რ ი ა ნ ა. მიპასუხეთ, ბიძაშვილო,
ბოთლი, რომლიდანაც სვამთ, თხუთმეტი სოლ-
დოს იხდით?

ო ტ ა ვ ი ო. დამცინით? ლაკრიმა ქრისტის
ცხები; ეს ხომ ცრემლებია თავად ქრისტისი.

მ ა რ ი ა ნ ა. მაკორუებს, რომ იმ ღვინოს
არ სვამთ, რომელიც თხუთმეტი სოლდო ღირს,
- გიბოვით, დალიეთ.

ო ტ ა ვ ი ო. მამაკბეთ, რატომ უნდა დავლიო?



მ ა რ ი ა ნ ა. გასინჯეთ; დარწმუნებული ვარ, საერთოდ არ განსხვავდება თქვენი ღვინისგან.

ო ტ ა ვ ი ო. ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც მზე და ფანარი.

მ ა რ ი ა ნ ა. არა, მერწმუნეთ, ერთი და იგივეა.

ო ტ ა ვ ი ო. ღმერთო დამიფარე! ხომ არ შეხუმრებით?

მ ა რ ი ა ნ ა. ფიქრობთ, რომ განსხვავდება?

ო ტ ა ვ ი ო. რა თქმა უნდა.

მ ა რ ი ა ნ ა. ვიფიქრო, რომ ღვინო — იგივეა, რაც ქალი. განა ქალი არ ჰგავს ძვირფას ფიალას, რომელიც ამ თლილ მინასავით დაღუქულია? განა ის არ იბეჭეტ აუტაცავით, ღვთაებრივად თუ მდაბიურს, რომელიც განისაზღვრება მისი ძალითა და ღირსებით? და განა არ გხვდება ქალთა შორის იაფფასიანი ღვინოცა და ქრისტეს ცრემლებიც? რად ღირს თქვენი გული, თუ მას ჭკუას დაარიგებთ? თქვენ არ დაღვით იმ ღვინოს, რომელსაც ხალხი სხვამს, მაგრამ მოგწონთ ქალები, რომლებიც მას მოსწონს. კეთილშობილი, დიდებული სინოტივე ამ ბოთლისა, რომელიც ოქროსფრად ელავს, ეს მზის პაპაქებისა და ვეზუვის ღვინოსგან წარმოშობილი ვადოსნური წვენი, გიბიძგებთ თქვენ, უძღურსა და მოპარბაცეს, კურტიზანის გულაგებობას, ხოლო უბრალო ღვინის დაღვეს გრცხვენიათ და გულს გრთვით. ამ! თქვენი ტუჩები განახლებულია, მაგრამ რაც თქვენს გულს ათრობს — იაფფასიანი. ნახვამდის, ბიძაშვილო; როზალინდას შინ დაბრუნებას გისურვებთ!

ო ტ ა ვ ი ო. გვედარებით, ორი სიტყვით, მშვენიერ მარიანა, ჩემი პასუხი მოკლე იქნება. როგორ ფიქრობთ, რამდენი ხანი უნდა ვუვილიდე ამ ბოთლს, რათა მისი კეთილგანწყობა დავიმსახურო? ის, როგორც თქვენ თქვით, საესევა ღვთაებრივი სინოტივით, ხოლო ღვინო, რომელსაც ხალხი სხვამს, ისე ჰგავს ამ ღვინოს, როგორც გლეხკაცი თავის მეპატრონეს. მაგრამ დააკვიდრეთ, რამდენად უდრჭინველია! ვფიქრობ, ის არავის აღუწრდია. მას არ გააჩნია არავითარი შეხედულება; შეხედეთ, როგორი დამთბობია! ერთი სიტყვით ეს საკმარისი იყო, რათა საპყრობილედან მესხნა; მტვირიც კი არ ჩამოუვრტყავს, ისე გამოთავისუფლდა, რათა რამდენიმე წუთით ერუქებინა ჩემთვის თავადივნება და მომკვდარიყო. მისი უმანკო გვირგვინი, სურნელოვანი ცვილიანი შენთილებული, ნაშპი დაიშალა და, არ დაგიმაღავთ, კინალამ მთლიანად გამოცალკე, როდესაც პირველი მხურვალე კოცნისას ჩაეკარა.

მ ა რ ი ა ნ ა. დარწმუნებული ხართ, რომ

იგი უფრო მეტს იმსახურებს? თქვენ რომ მისი ერთ-ერთი მცემ-მართი საყვარელი კოფილიყავით და ამ სინოტივის საიდუმლოც დაკარგულიყო, ჩახვიდიდით ვულკანის ხანაშირჩხტან ვაქცი აფირჩინათ მისი ბოლო წვეთი?

ო ტ ა ვ ი ო. ის იმსახურებს იმას, რასაც იმსახურებს, — არც მეტს და არც ნაკლებს. იცის, რომ მისი დაღვევა შეიძლება და ამისთვისაა შექმნილი. ღმერთს არ დაუშავლავს მისი წყარო მიუვალი კლდის მწვერვალზე თუ ღრმა გამოქვაბულის ფსკერზე; მან მოპოვებული მტვერების სახით გამოიწვია ის ჩვენი გზების კიდევ-ზე და იბავს აკეთებს, რასაც კურტიზანი, — გამვლელის ხელს იჭერს; მზის სხივების ქვეშ თავის მყურას საჩვენებლად გამოდგამს, შედეგად კი ფუტურებისა და ბაზების გუნდი გროვდება მის ირგვლივ. წყურვილით გატანჯულ გამვლელს შეუძლია მისი მწველი მტვერების ჩრდილქვეშ მოსვენება; იგი არასდროს ავესტრად ვალგრობობას, არასდროს ტოვებს უფრავდებოდ მის ნეტარ ცრემლებს. აჰ, მარიანა! სიღამაზე — საბუდისნერი ნიჭია. სათნოება, რომლითაც იგი ამავლას, — სიძუნისა დაა, და ზეცა მას უფრო სისუსტეს ამატებს, ვიდრე სისასტიკეს. ნახვამდის, დარ; გასურვებთ, რომ ჩელითა დაავიწყდეთ!

მიდის სამიკონტონი, მარიანა კი — თავის სახლში.

სცენა მეორე

სება ქუჩა.

ჩ ე ლ ი ო, ს ი უ ტ ა.

ს ი უ ტ ა. სენიორ ჩელიო, არ ენდოთ ოტავიოს. ხომ არ უთქვამს თქვენთვის, რომ მშვენიერმა მარიანამ თავისი სახლის კართან მისვლა აუკრძალა?

ჩ ე ლ ი ო. დიას, მითხრა. რატომ არ უნდა გენდო?

ს ი უ ტ ა. სანამ აქ მოვიდოდი, დავინახე: ფანტატურში მარიანას ესაუბრებოდა.

ჩ ე ლ ი ო. რა არის ამაში საკვირველი? როგორც ჩანს, ჩაუსაფრდა და როდესაც გამოინდა, შემთხვევით ისარგებლა და ჩემ შეხახებ ესაუბრა.

ს ი უ ტ ა. მინდა ვითხრაო, რომ ისინი მეგობრულად საუბრობდნენ, როგორც ყველაფერში შეთანხმებულ ადამიანები.

ჩ ე ლ ი ო. დარწმუნებული ხარ ამაში, სოუტა? რაანა ასეა — ყველაზე ბედნიერი ვარ მოკვდავთა შორის; ეს იმას ნიშნავს, რომ ოტავიო დიდი მონდომებით მოეკიდა ჩემს საქმეს.

ს ი უ ტ ა. დაე ბედი მონკალე იყოს თქვენ მიმართ. (გადის.) ჩ ე ლ ი ო. რად არ გავწმდი ამქვეყნად ტურნირებისა და ბრძოლების დროს? რათა შემეძლოს მარიანასთვის ყვავილების მიტანა და მათი საკუთარი სისხლი დასცულება! რათა ვცოფილიყავი ვალდებულნი, მონინაალმდეგისთან მქცხადავა ან მთელი არმისი წინააღმდეგ მებრძოლა! რომ საკუთარი ცხოვრების ფასად მისთვის რაღაც სარგებელი მომეტანა! მაგრამ მე მხოლოდ მოქმედება შემიძლია — და არა საუბარი. ენა არ ემორჩილება ჩემს გულს, და შეემძლო მომკვდარიყავი, როგორც საპყრობილემი გამოიმწყვედელი მუნჯი, ისე, რომ ვერაფერს გამიგებდა.

სკენა შესამე

კლუდიოსთან.

კ ლ ა უ დ ი ო, მ ა რ ი ა ნ ა.

კ ლ ა უ დ ი ო. თქვენ, სავარაუდოდ, საფრთხობულა გგონივართ და ფიქრობთ, რომ მიმოლოდ იმისთვის ვარსებობ, რათა ჩიტებს ვაფრთხობდე.

მ ა რ ი ა ნ ა. საიდან გაგიჩნდათ ესოდენ დახვეწილი აზრი?

კ ლ ა უ დ ი ო. ნუთუ ფიქრობთ, რომ მოსამართლემ არ იცის სიტყვების უსი და რომ, მის ნდობაზე დაყრდნობით, მარტივად შეგიძლიათ მისი გასულულება, თითქოს იგი მანანალა ჯამბაზი იყოს?

მ ა რ ი ა ნ ა. ვის უბრაზდებით?

კ ლ ა უ დ ი ო. გგონივთ, თქვენი სიტყვები ვერ გაიგევიროდესაც თქვით, რომ, თუ ეს ადამიანი ან მისი მეგობარი კიდევ გაბედავს ამ სახლთან მოვლას, კარი აუცილებლად დაკეტილი დახვდებათ? თქვენ კი ყოველგვარი რიდის გარეშე ესაუბრებით მას სამიკიტნოსთან ფანატიურში, თანაც სალა-მოს, და ფიქრობთ, რომ ამაში სამიკიტნოს ვერაფერს დავი-ნახავ!

მ ა რ ი ა ნ ა. ფანატიურში შეშინიწიეთ?

კ ლ ა უ დ ი ო. დიას, დიას, დავინახეთ, აი ზუსტად ამ თვალებით, ფანატიურში, რომელიც სამიკიტნოსთანაა: სამიკიტნოსთან მდებარე ფანატიური - ნამდვილად არა თანამდებობის პირის შეუღლებსთან სასაუბრო ადგილი, და სახლის კარის დაკეტვისას აზრი არ აქვს, თუ თავად არ გრცხენია ასე გადიოდე ქუჩაში.

მ ა რ ი ა ნ ა. როდის ამეკრძალა თქვენს ნათესავთან საუბარი?

კ ლ ა უ დ ი ო. თუ ეს ნათესავი ერთ-ერთი თქვენი საყვარელია - არ იჩენებოდა ცუდი, თუ თავს შეიკავებდით მასთან შეხვედრისგან.

მ ა რ ი ა ნ ა. ოტავიო! ერთ-ერთი ჩემი საყვარელი? გაგიყვით? მას ჯერაც არ ჰქონია ქალთან ურთიერთობა.

კ ლ ა უ დ ი ო. იგი უზნეო ადამიანია. იგი ლოთი და ბედოვ-ლათია.

მ ა რ ი ა ნ ა. მით უფრო ნაკლები საფუძველი გავთვ, რათა ჩათვლით, როგორც თქვენ თქვით, ჩემს ერთ-ერთ საყვარელად? უბრალოდ აუცილებელი იყო ჩემთვის, რომ ოტავიოსთან შესაუბრა.

კ ლ ა უ დ ი ო. შეეცადეთ, არ მიიყვანით თქვენითვის სანეწე უკიდურესობამდე და დაუფიქრდით, თუ რას აკეთებთ.

მ ა რ ი ა ნ ა. რა უკიდურესობამდე შემიძლია თქვენი მიყვანა?

კ ლ ა უ დ ი ო. მე ავიკრძალავდით მასთან შეხვედრას და საუბარს, განურჩევლად იმისა, თუ სად შედგება ეს: ჩემს თუ სხვის სახლში, ან თუნდაც ქუჩაში.

მ ა რ ი ა ნ ა. აბა, აბა, აბა, აბა! ოტავიო! ჩემი ნათესავი იმდენად, რამდენადაც თქვენითვისაა მსათესავი: მასთან ვისაუბრებ, როდესაც მომეპრიანება, ქუჩაშიცა და სხვა ნებისმიერ ადგილასაც, ამ სახლშიც კი, თუკი იგი ისურვებს მოვლას!

კ ლ ა უ დ ი ო. არ დაგვიწყნოთ ეს თქვენი ნათქვამი. თქვენთვის სამაგალითი, სასაჯელს გამოვნახავ, თუ ჩემი ნების წინააღმდეგ ნაწევალთ.

მ ა რ ი ა ნ ა. შეგეუთ იმ აზრს, რომ საკუთარი ნების შესაბამისად ვიმოქმედებ. ძალზედ მაინებს თქვენი მუქარა!

კ ლ ა უ დ ი ო. მარიანა, შენვეცილობთ ეს საუბარი. ან უნდა მიხედეთ, რამდენად აუტვია ფანატიურში საუბარი, ან ვალდებულს გამხდით, რომ ძალა გამოიყვირო, რაც ჩემს ნოდებას არ შეესაბამება. (გადის.)

მ ა რ ი ა ნ ა (მარტო). ჰეი, არის აქ ვინმე?

შემოდის მ ს ა ხ უ რ ი.

ხედავთ, აი მსაჯულს, ფანატიურში მავადანსთ ახალგაზრდა მამაკაცი ზის? მიდით და უთხარით, რომ მასთან საუბარი მსურს და ჩემთან ბაღში მოვიდეს.

მსახური გადის.

საოცრება! ვინ ვგონივარ? რა არის ამაში უღამაზო? ო, რა სამიწლად გამოვიცურებ! საზარელი კბა მაცვივა. რას ნიშნავს ეს? ვალდებულს გამხდით, რომ ძალა გამოიყვირო რა ძალა? როგორ მიწდა, რომ დედა ახლა აქ იყოს! არა, არა! იგი პირველივე სიტყვაზე დაეთანხმება მას. დიდი სიამოვნებით ვცემდი ვინმეს. (სკამებს ამხობს.) აჰ, მართლაც, მე ხომ სულელი ვარ! აი ოტავიოც მოვა. ნეტავი ერთმანეთს შეხვდნენ. აჰ, ესე იგი სწორედ ეს არის დასაწყისი! ეს მიწინასწარმეტყველეს. ამას მოველოდი! მოთმინება! მოთმინება! იგი სასჯულს მიმზადებს, ნეტავი როგორს, ჰა? ძალზედ მაინტერესებს, რა გულსსმობდა!

შემოდის ო ტ ა ვ ი ო.

დაბრძანდით, ოტავიო, უნდა დაგელაპარაკოთ.


ო ტ ა ვ ი ო. სად მიჩვეთ დაბრძანებას? ყველა სკამი გადაბრუნებულია. რა მოხდა?

მ ა რ ი ა ნ ა. არაფერი.

ო ტ ა ვ ი ო. სიამარველი ვითხრათ, ბიძაშვილი, თქვენი თვალები საპირისპიროს ამბობენ?

მ ა რ ი ა ნ ა. ვიფიქრე იმის შესახებ, რაც თქვენი მეგობრის - ჩელიოს შესახებ მითხარით. მიპასუხეთ, ახლა რატომ არ შესაუბრება?

ო ტ ა ვ ი ო. ერთობ მარტივი მიზეზის გამო: ის გნერდათ, თქვენ კი მის წერილებს ხვდით;



სხვა გამოგვიგზავნათ და სხვასაც აუკრძალეთ საუბარი; იგი გიძღვრდათ სერენადებს, თქვენ კი ქუჩაში უფურადღებოდ ტოვებდით. და აი, იმედი დაკარგა და ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, განა სხვაგვარად შესაძლებელი იყო?

მ ა რ ი ა ნ ა. ესე იგი მან გადაწყვიტა, თქვენთან მომართათ?

ო ტ ა ვ ი თ. დიას.

მ ა რ ი ა ნ ა. მამ მომიყვით მის შესახებ.

ო ტ ა ვ ი თ. სერიოზულად ამზობთ?

მ ა რ ი ა ნ ა. დიას, დიას. საესებით სერიოზულად. ვაგონთ, ვისმენთ.

ო ტ ა ვ ი თ. დამცინით?

მ ა რ ი ა ნ ა. ძალზედ ცუდად იცავთ მეგობრის ინტერესებს. მომიყვით-მეთქი; განა ამას მნიშვნელობა აქვს, დაგცინით თუ არ დაგცინით?

ო ტ ა ვ ი თ. იქითაქით რატომ იხედებით? ვინდა, რომ ბრახობთ.

მ ა რ ი ა ნ ა. საყვარელის გაჩენა მსურს, ოტავიო... საყვარელის თუ არა, კავალერის მარცხ. რას მირჩევთ? თქვენს არჩევანს ვერ დობი: ჩელიო თუ სხვა ვინმე - ჩემთვის უმინიმუმ ნივთია; ბავალ, არა, დღესვე პირველს, ვინც ამ ფანჯრების ქვეშ მიმდევრებს, ჩემი კარი ღია დახვდება. აბა, რას იტყვიან? დადუმდით? გუფუნებით, საყვარელის გაჩენა მსურს. აი, აიღეთ ჩემი შარფი; ვისაც გადასცემთ, დამიბრუნოს უკან.

ო ტ ა ვ ი თ. მარიანა, რაც არ უნდა იყოს ამ კეთილგანწყობის მიზეზი, რომელმაც ჩემი გამოძახებია და მოინენის სურვილი გავიჩინათ, გავიცვებთ, დარწმინდით ასეთი კიდევ რამდენიმე ხანი. (მუხლი მოიყარა.)

მ ა რ ი ა ნ ა. რას მეტყვით?

ო ტ ა ვ ი თ. თუ ამტყვენდა არსებობს ადამიანი, რომელიც იმსახურებს თქვენს შიგნობას, თქვენთვის ცხოვრებასა თუ სიკვდილს, მაშინ ეს ადამიანი - ჩელიოა. მე ვიცი საკუთარი თავის ფასი, ძვირი არ ვღირვარ, ვიცი, რომ ვინაა, რომლის შესახებაც ესაუბრობ, ჩემში მხოლოდ უბადრულ შუამავალს ხედავს. აჰ! ნეტავი გენახათ ის წმინდალწმინდა საკურთხეველი, რომელიც მან თქვენთვის აღმართა, რაა თაყვანი გცვით, როგორც ღვთაებას. თქვენ, ესოდენ ლამაზი, ესოდენ ახალგაზრდა, ვერ კიდევ უმანკო, თქვენ ეკუსენით გამოჩრჩეტილებულ მოხუცს, რომელმაც არასდროს იცოდა, თუ რა არის გული. ნეტავი იცოდეთ, ზედნიერების როგორი საგანძური, ნეტარების როგორი წყარო იმალება თქვენში, იმალება მასში, ამ ნათელ, ნორჩ ალიონში, ცხოვრების ამ დოთაბრიც ცვარში, მონათვერ სულების ამ

პირველ თანაფდერაში! მე არ გიყვებით მისი სულის შესახებ, ამ ნაზი და რუმი სევდის შესახებ, რომელიც ვერ დაახლო თქვენმა სიმკაცრემ და რომლის გამოც უსიტყვოდ ვსუტაბა. დიას, მარიანა, იგი ამის გამო კვდება. რის თქმა შეუძლია? რის გამოგონება შემიძლია, რაა ამ სიტყვებს მოვმატო ის ძალია, რომელიც ესოდენ აკლია? ჩემთვის უცნობია სიყვარულის ენა. ჩაიხედეთ საკუთარ სულში: მასში თქვენ მისი სულის ანარეკლს დაინახათ. შემიძლია, რომ თქვენზე ვიმოქმედო? თქვენ შემიძლია ლოცვა, მიმასხუბთ, არსებობს ლოცვა, რომელსაც შეუძლია იმის გადმოცემა, რაც ახლა გულში მიდევს?

მ ა რ ი ა ნ ა. ადექით, ოტავიო! ვინმე რომ შემოსულიყო და ასე დაეხანეთ, იფიქრებდა, რომ საკუთარ სიყვარულს აღწერთ!

ო ტ ა ვ ი თ. მარიანა, მარიანა, ვაგონთ, ნუ იცინით! ნუ დაახლობთ საკუთარ თავში ელვებს, რომლებიც; შესაძლებელია, პირველად ნარმოიძვა თქვენში. ეს სიცივის გამოკრთობაა, ეს ძვირფასი მომენტი მალევე გაქრება. თქვენ ასხენთ ჩელოს სახელი, თქვენი იფიქრეთ მის შესახებ, ხომ ასეა? აჰ, თუნდაც ეს მხოლოდ ახირებაა, ნუ გააფუჭებთ მას. მასზე ადამიანის ბედნიერებაა დამოკიდებული.

მ ა რ ი ა ნ ა. დარწმუნებული ხართ, რომ არ უნდა მეღიმებოდეს?


ო ტ ა ვ ი თ. დიას, მართალი ხართ, ვიცი, როგორი ზიანი შეიძლება მოგიტანოთ ჩემთან მეგობრობამ. მე ვიცი, ვინც ვარ, ვგრძნობ: ასეთი სიტყვების მოსმენა ჩემი პატივდღიდან - დაცინვად გექმნებათ. თქვენ იძვი შეგატეთ ჩემი სიტყვების გულწრფელად: ვფიქრობ, ამდენად მწარე ვერ არ ყოფილა ჩემთვის იმ აზრის გათავისება, რომ ჩემი სიტყვები რთული დასაჯერებელია.

მ ა რ ი ა ნ ა. რას ბრახებთ? როგორც ხედავთ, ვისმენთ. მაგრამ ჩელიო მე არ მომწონს და არ მჭირდება. სხვის შესახებ მომიყვით, ვის შესახებაც გსურთ. აირჩიეთ თქვენი მეგობრებიდან ღირსეული კავალერი; მომგვარეთ, ოტავიო, ხომ ხედავთ, თქვენ ლინკობთ.

ო ტ ა ვ ი თ. ო, ქალი სამჯერ ქალი! ჩელიო თქვენ არ მოგწონთ, მაგრამ პირველი შემხედრი - მოგწონებათ. ადამიანი, რომელსაც მთელი თვის განმავლობაში უყვარხართ, ყველაგან დაგასდევთ და მხოლოდ ერთი თქვენი სიტყვისთვის სიკვდილისთვისაც კი მზად არის - არ მოგწონთ! ის ახალგაზრდაა, ლამაზი, მდიდარი და იმსახურებს თქვენთან ურთიერთობას; მაგრამ თქვენ არ მოგწონთ, ხოლო პირველი შემხედრი - მოგწონებათ!

მ ა რ ი ა ნ ა. გააკეთეთ ის, რაც გითხარით, ან საერთოდ ნუ მოხვალთ. (გაიხი.)

ო ტ ა ვ ი თ. თელწარმტაცია თქვენი შარფი, მარიანა, და ბრახის ეს პატარა ანთება - სამყაროს მომავადივებილი საწინდარია. ცოტათი სიამაყეა საჭირო, რათა უკეთ გავიგოთ თუშვა წვეთი მზაკერობისა ასევე საკმარისია. მაგრამ ეს ჩელიოსთვის იყოს განკუთვნილი და დღე სარგებელი მოუტანოს მას. (გაიხი.)



სცენა მეოთხე

ჩელიოსთან.

ჩ ე ლ ი ო, მ ს ა ხ უ რ ი.

ჩ ე ლ ი ო. ქვემოთ მელოდება? ახლავე მოვიდეს აქ. მაშინვე რატომ არ შემოიბატიჟეთ?

შემოდის ო ტ ა ვ ი ო.

აბა, მეგობარო, ახალი რა ხდება?

ო ტ ა ვ ი ო. შემოიხივე ეს შარფი მარჯვენა ხელზე, ჩელიო, აიღე გიტარა და დამნა. მენ - მარიანას საყვარელი ხარ.

ჩ ე ლ ი ო. გაფიცებ, ნუ ღამციანი!

ო ტ ა ვ ი ო. ღამაში ღამეა; მთვარე ახლავე გამოჩნდება ჭორიზონტზე, მარიანა მარტოა, მისი კარი კი დიაა.

ჩ ე ლ ი ო. ეს მართალია? მართალია? ახლა ან ცხოვრებას მწუხნი, ოტავიო. ან სიბრალულის გრძნობა არ გვაჩნია!

ო ტ ა ვ ი ო. ჯერ არ ნასულხიარ? გეუბნები, ყველაფერი დათქმულია. იძურე მის ფანჯრებთან; მოიფარე ეს მოსახსმა-მი, რათა მისი მუხლის მტველებმა გერ გიცნონ. იყავ უში-შარი, რათა სხვები დააშინო, და თუ წინააღმდეგობას გაგიჩენეს, დაუშტკიცე, რომ უკვე გვიანა ამაზე ფიქრი.

ჩ ე ლ ი ო. ო, ღმერთო! ძალები მერათმევა.

ო ტ ა ვ ი ო. მეც ასევე; კარგად არ მისადილია. ჩემ მიერ გაწეული შრომისთვის დასაჯილოდობლად ნასულის წინ უბრ-ძანე მსახურებს, რომ მისადილონ. (ჯდება.) თურქული თოთუნნი ხომ არ გატეხს? აქ, საგარეულოს, ხევალა დგაგედები. აბა, მეგობ-არო, გზა შენია! მე კი დაბრუნებისთანავე გადაამეხვევი. გზას გაუდები! ღამე ახლოვდება.

ჩელიო გადის.

ნეტავი ეს ღამე, წინდაო ღმერთო, ჩამთვალოს შენს სამოთხ-ეში. და სიმართლეა, რომ სამოთხე გატეხს? ვფიცავ, ეს ქალი მშვენი-ერი იყო, ეს ბრაზი კი ძალზედ ამშვენებდა. რამ გამოიწვია მისი აგზნება? არ ვიცი. განა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ ეცემა ჩვენს მიერ აღნიშნულ ნომერს რეალურის ძილის ზურგულა? მეგობრობის-თვის შეგვარებულის ნართმევა - ეს უეცრებლად ბინძური საქციელია ჩემთვის! მარიანა იქნება ეს თუ სხვა ქალი - განა ამას აქვს ჩემთ-ვის მნიშვნელობა? ახლა ჩემთვის მთავარია, რომ ვისადილო, ხილო ჩელიო, რა თქმა უნდა, უზმოდ ნაივია. როგორ შეგტულებდობდი, მარიანა, მე რომ შემეყარებოდი! როგორ მომიხიზრადი კარებს! როგორ აღონიხა, ნეტავი სილვანად მოგეჩვენებოდა შენი ქმარი ჩემთან შედარებით! ნეტავი რისი ბრალია ეს? რატომ მიემართება კვამლი ყალიონისგან მარჯვნივ და არა მარცხნივ? განა იგივე მიზ-ეზები არ აქვს ამასაც? შემოდილია, სამჯერ შემოდილია ის, ვინც საკუთარ ნაბიჯებს წინასწარ თვლის, ვინც გონებას უფლებს ჯურს! ღვთაებრივ მართლმსაჯულებას ხელში სისწორი უჭირავს. სასწორი - უდავოდ უნდა, მაგრამ საწორი - შიგნით ცარიელია! ერთ-ერთ მათგანში - მოწყობა, მეორეში - შეყვარებულის ამოსუთქვა, მესამეში - შაკივი, მეოთხეში - სათლი ან აფდარი, და ადამიანის

ყოველი ემედება იწვევს ან ეცემა ამ საწორების ახ-რებების მიხედვით.

მ ს ა ხ უ რ ი (შემოდის). სწორი, თქვენ-თან ნურიალია იმდენად სასწრაფო, რომ თქვენმა მსახურებმა აქვე მოიტანეს; მიბრძანეს, რომ თქვენთვის გამოემეცა ნებისმიერ შემთხვევაში.

ო ტ ა ვ ი ო. აბა ვნახო. (კოთხულობს.) აარ მოვიდით დღეს. ქმარმა სახლი მკვლელ-ებით შემოფარგლა და თუ მოვალთ, თავისუ-ფლად მოგკლავენ. მარიანა. ო, რა ჩაიფინე, მე - უბადრუკმა! სადაა ჩემი მოსახიანი? სადაა ქუდი? ღმერთო, ნეტავი მიუესწრო! გამოიყვივით, თქვენ, ვინც აქ ხართ! თქვენი მიბრძანებლის ცნობრება საფრთხის ქვეშაა. (გარბის.)

სცენა მეხუთე

კლაუდიუს ბაღი. ღამე.

კ ლ ა უ დ ი ო, ო რ ი მ ა მ ა კ ა ც ი, ტ ი ბ ი ა.

კ ლ ა უ დ ი ო. შემოუშვით და თავს დაესხით მაშინვე, როგორც კი ამ ხეებს მოუახლოვდება.

ტ ი ბ ი ა. თუ მეორე მარიანა მოვა?

კ ლ ა უ დ ი ო. მაშინ კედელთან დაელო-დეთ, კუთხეში.

ე რ თ ე რ თ ი მ ა მ ა კ ა ც ი. გასაგებია, სწორი.

ტ ი ბ ი ა. აი, ისიც მოდის. შეებდეთ, ხე-ნიორ, რა დიდი ჩრდილია! მაღალი ადამიანია.

კ ლ ა უ დ ი ო. განზუვ გაუდგეთ და, როცა დრო მოვა, თავს დავეხსათ.

შემოდის ჩ ე ლ ი ო.

ჩ ე ლ ი ო (აკაკუნებს ფანჯარაზე). მარიანა! მარიანა! აქ ხარ?

მ ა რ ი ა ნ ა (წნდება ფანჯარასთან). გაიქვეთი, ოტავიო! ნურილი არ გინახავთ?

ჩ ე ლ ი ო. ღმერთო ჩემო, ვისი სახელი მესმის!

მ ა რ ი ა ნ ა. სახლი მკვლელებითაა გარშემორტყმული. ქმარმა დაინახა, ჩემთან რომ შემოხვედით; გაიგო ჩვენი საუბარი; ერთი წამი-თავს თუ გაჩურჩხობდა აქ, თქვენი სიკვდილი - გარდაუდებელია.

ჩ ე ლ ი ო. განა ეს სიზმარი არ არის? განა მე ჩელიო არა ვარ?

მ ა რ ი ა ნ ა. ოტავიო, ოტავიო! ზეცას გა-ფიცებთ, დაუყოვნებლოვ დატოვებთ ბაღი! იქნებ ჯერ გვიანი არაა და დააღწევთ როგორმე თავს!

ხვალ შუადღით ეკლესიაში მოზრძანდით, საალმ-
სარებლოსთან დაგხვდებით.

ფანჯარა იხურება.

ჩ ე ლ ი ო. ო სიკვდილო! შენ აქ ხარ, მაშ
დამეხმარე. ოჯახი, მოღალატე ოჯახიო! დაე
დაღვრილი სისხლი შენ დაგვესროს! კარგად
იცოდი თუ რა მელოდებოდა აქ და საკუთარი
თავის მაგივრად გამოგზავნე - დაე, ასრულდეს
შენი წადილი. ო, სიკვდილო! ხელგამოშლი
გელოდეები ბოლო მოეღოს ჩემს ტანჯვას.

ისმის დახშობილი ყვირილი და შორეული ხმაური.

ო ტ ა ვ ი ო (ქუჩიდან). გააღეთ, თორემ
კარებს შევაშტრეფ!

ქ ლ ა უ დ ი ო (აღებს, ხელში დაშნა
უჭირავს). რა გნებათ?

ო ტ ა ვ ი ო. ჩელიო სადაა?

ქ ლ ა უ დ ი ო. არ მგონია, რომ ამ სახლში
დროის გატარება მის ჩვევებში შედიოდას.

ო ტ ა ვ ი ო. თუ მოკალი, კლაუდიო, მი-
ფრთხილდი; აი, ამ ხელებით გაგანადგურებ!

ქ ლ ა უ დ ი ო. თქვენ შემლილი ხართ თუ
მთფარეული?

ო ტ ა ვ ი ო. თავად არა ხარ შემლილი
ან მთფარეული, რადგან ღამით ეზოში დაშნით
ხელში დასჯირონო?

ქ ლ ა უ დ ი ო. თუ გნებათ, ბაღში მოძებ-
ნეთ, მე არავინ შეშხვედრია: და რომც ჰქონო-
და ეინმეს აქ მოსვლის სურვილი, მგონი, მაქვს
უფლება, რომ არ გავუღო კარი.

ო ტ ა ვ ი ო (თავის მსახურებს). აქეთ. გა-
დამხრიკეთ ბაღი.

ქ ლ ა უ დ ი ო (ჩუმად მიმართავს ტიბი-
ას). ყველაფერი ისე ვაკეთებ, როგორც გიბრ-
ძანეთ?

ო ტ ბ ი ა. დაიხ, სენიორ, დამშვიდდით. რამ-
დენიც გავსარდებათ, იმდენი ეძებონ.

გადიან.

სკენა შექვსე

სასაფლაო.

ო ტ ა ვ ი ო და მ ა რ ი ა ნ ა საფლავთან.

ო ტ ა ვ ი ო. მხოლოდ მე ვინცნობდი მას. ეს
თეთრი ურნა საკუთარი საფარველის სამგლოვი-

არო კვამლის ქვეშ წარადგენს ჩელიოს ნამდვილ სახეს. ჩემი
სევდა ასევე ფარავდა ამ მოკრძალებული და სათუთი სულის
სრულყოფილებას. და ეს ჩუმი ცხოვრება მხოლოდ, ჩემთვის არ
იყო გამოცანა. ჩვენი ხანგრძლივი ბაასები საღამოებში და ქვეყნულ
იაზისა უდაბნოს პაპანაქებაში; მხოლოდ ის აგრილებდა ჩემს
გულს ცვარით. ჩელიო ჩემი სულის საუკეთესო ნაწილი იყო, მის-
თან ერთად გაეშურა ის ზეცისკენ. ეს ადამიანი სხვა სამყაროს
ეკუთვნოდა; მან იცოდა ტუბოს და მარტოობა ამჯობინა; მან
იცოდა, როგორი მატყყურაა ოცნებები, მაგრამ მინც ოცნება
ამჯობინა სინამდვილეს. რამდენად ბედნიერი იქნებოდა ქალი,
რომელიც შეიყვარებდა მას!

მ ა რ ი ა ნ ა. და ის ქალი არ იქნებოდა ბედნიერი, ვისაც
თქვენ შეუყვარდებოდათ, ოჯახიო?

ო ტ ა ვ ი ო. მე არ შემიძლია სიყვარული; მხოლოდ ჩელიოს
შეეძლო. გეგმი, რომელიც ამ კუბოში ასვენია, არის ყველაფერი,
რაც კი ამქვეყნად მიყვარდა, ყველაფერი, რაც მუდამ მეყვარება.
მხოლოდ ჩელიოს შეეძლო სხვათა სულელები იმ ბედნიერების შე-
მატება, რომელიც თავად მას გააჩნდა. მხოლოდ მას შეეძლო
ყოფილიყო უსაზღვროდ ერთგული; მხოლოდ მას შეეძლო, მიეძ-
ღენა ცხოვრება ერთადერთი ქალისთვის და ამავე ქალისთვის
თავი გაეწირა. მე კი უბრალოდ უსულგულო და გარყვნილი ვარ,
ქალებს კი პატივს არ ვცემ; სიყვარული, რომელსაც ისინი ჩემ
მიმართ გრძობდნენ, ჩემსავე გრძობის შტავს, - ნაშიერი ზამენ-
ითი თრობაა. ჩემთვის უცნობია საიდუმლოებანი, რომელთაც ის
ინახავდა. ჩემი მთავარულება - ნააფხა ოინზაზის ნიღაბს, მაგრამ
ისიც კი არ არის ისე გაცრეცილი, როგორც ჩემი გული; ჩემს
მიყვარებულ გრძობებს მისი ჩამოცილება სწადა. მე უბრალო
უსულგულო ვარ;

მისი სიკვდილისთვის შურიც არ მიძიებია.

მ ა რ ი ა ნ ა. მაგრამ ეს უსაძლებელი მხოლოდ თქვენი
სიცოცხლის ფასად თუ იქნებოდა! კლაუდიო ძალზედ მოუხვია,
რათა გამოეყვება მიოლი, და ძალზედ ძლიერამოსილია, თქვენი
რომ ემინდეს.

ო ტ ა ვ ი ო. ჩელიო შურს იძიებდა ჩემი სიკვდილის გამო, თუ
მე მის გამო მოგვედებოდა ისევე, როგორც ის მოკვდა ჩემ გამო.
ეს საფლავი - ჩემია; მე ენევერ ამ გაყინული ქვის ქვეშ; ამანას
ისინი იმისთვის ლესავდნენ, რათა მე მოეგვალთ, და მოშველეს
კიდევაც. მაპატიე, ჩემი ხსენებაზრდიობის ხალისი, შემლილო უზ-
რუნველობაგ, ვეზუვის კალთაში გატარებულ თავისუფალ და
ბედნიერ ცხოვრებას! მაპატიეთ, ხანურაიანო ნადიმებო, საღა-
მის საუბრებო, მოიჭროვილი აიგნების ქვეშ შესრულებული
სერენადებო! მაპატიე, ნეაპოლო, მაპატიეთ, ნეაპოლიტანელი
კოლებო, ჩირალდნების ქვეშ გაზაფხული მასკარადებო, ტყვითა
ჩრდილებეშ გატარებულ ხანგრძლივი ეახშმებო და მეგობ-
რობაგ! არ არის ჩემი ადგილი დედამინაზე.

მ ა რ ი ა ნ ა. მაგრამ ჩემს გულში არის, ოჯახიო! რად ამბობ
ამას მაპატიე, სიყვარული!

ო ტ ა ვ ი ო. მე თქვენ, მარიაან, არ მიყვარხარა; ჩელიოს
უყვარდით!


ფრანგულიდან თარგმნა დიანა მიქელაძემ

ლიბიტრი გრიგორიევი

რუსი პოეტი და პროზაიკოსი, დაიბადა 1960 წელს, ლენინგრადში. პროფესიით ქიმიკოსია, მუშაობდა ლაბორანტად, დურგლად, ფანჯრების მშენებდავად, მხატვარ-განფორმებლად, ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებზეც კი, უფროსი ლეიტენანტის რანგში მსახურობდა ლენინგრადის ქიმიური დაცვის პოლკში, ასევე მუშაობდა ჟურნალისტად, რედაქტორად და სხვა.

80-იან წლებში იყო ლიტერატურული კლუბის, „დეპრესიონისტების“ წევრი. რომლის ძირითადი ლაიტმოტივი იყო საბჭოთა კავშირის, როგორც სისტემის იგნორირება და ფილოსოფიურ-ირონიული დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. ამავე პერიოდში აქვეყნებს ლექსებს, შემდეგ კი მითარობებს, სადაც კიდევ უფრო მეტად ჩანს მისი მიდრეკილება ირონიისა და აბსურდისკენ. 1992 წელს გამოვიდა მისი პირველი პოეტური კრებული, ხოლო რამდენიმე წელიწადში კი რომანი, ამას მოჰყვა სხვა ნივნებიც, როგორც ლექსების კრებულები; ასევე მცირე პროზა და რომანები.

2006-2007 წლებში ლიტერატურული კლუბის – „დეპრესიის“ – ხელმძღვანელია. მისი ტექსტები იმეფდება როგორც რუსულ, ასევე ვერძულ პერიოდიკაში, თავის მხრივ სხვადასხვა ენებზე. ლიბიტრი გრიგორიევი არის საერთაშორისო პენ-კლუბის საწევრ-პეტერბურგის განყოფილების წევრი, არის ნიკოლაი შამოლოცკის საქელობის პოეტური შრიების ლაურეატი, ამჟამად ცხოვრობს სანქტ-პეტერბურგში.



სიცოცხლის ყველა ზარი

– ჟურნალებს არ გადავყრი, – თქვა ნინამ. – ნახე, რა მაგრაა. დიდი ბილია, ამხანაგი კი ირ სენი. იცო, კორეულად გაზაფხულის ტილივი როგორია? ბოზბაღული.

ნინა ოცდაათი წლის წინ გამოცემულ შრილა უფრნალს, „კორეას“ ფორცლავდა, გოშამ რომ გადმოყარა ანტრესოლიდან. გოშა და ნინა გუშინ განდმოვიდნენ, პირველად განცალკევდნენ შშობლებისგან, უფრო სწორად, გამოიყენენ მათ. საკუთარი ერთობიანი – ეს ის საშუალო იყო, ნინა რომ დიდი ხანია, ოცნებობდა. ვინაო დერეფნით, თიხათი და სამხარეულითი, რომელსაც ცალ შიარეს ჰქონდა ფანჯარა. უფრო ზუსტად, ეს იყო დიდი ბინის მეოთხედი, რომელიც, ასე, სამოცდაათი წლის წინ გადაუტინრავთ. მაგრამ მათ ასეთივე აწყობდა – ვერ კიდევ ცარიელი თიხათი ორი ფანჯრით, სამხარეული წყლის გამათბობლით და დერეფნის განსაკუთრებულად ნარმტაცი ანტრესოლი – გრძელი, ბნელი ნაწილი, რომლის შიგნით ფეხზე დადგომაზე კი შეეძლოთ.

გოშა ახლა სწორედ ამ ტერტორიას ასუფთავებდა, რომ მერე იქ ნივნებით სავსე ყუთები და სხვა არაპირველადი მოხმარების ნივთები დაეწყო.

– ისე კი, შეველით, თვისი ნაგავი თვითონ გაეცანათ. – ბურტყუნებდა და იქიდან ძველი ბოტებით სავსე ტომრებს ყრდა. – ფუ, როგორ ყარს!


ბოტების ტომრებს შპალერის შეყვითლებული რულონები

მოჰყვა, რომელიც, შეიძლება, რემონტის დროს იატაკზე დასაფხვად მაინც გამოსდგომოდათ. მაგრამ ახლა გოშა ამაზე არ ფიქრობდა. ცოტა ხნით მაინც უნდოდა, რომ უზარალოდ ეცხოვრა და რემონტი მერე, ნელ-ნელა გაეკეთებინა. მისი აზრით, რემონტის ძირითადი ნაწილი ის იყო, რომ ეს ბინა ადრე მცხოვრებნი ანკვალევისგან გაუთავისუფლებინა. ისინი რომ ბლოშიად იყვნენ, ეს ვერ კიდევ მაშინ შენიშნა, პირველად რომ მოვიდა ბინის სანახავად.

ის დიდხანს აკვირდებოდა კომპოსტონავით ფენებად დაპრესულ შპალერს, რომელიც კარის გვერდითა კიდედან ჩანდა. ბინის გამყიდველმა იფიქრა, გოშა ფასის დაკლების მიზეზებს ეძებოდა და დარწმუნება დაუნყო: „თქვენ აღზაბთ ამჩნევთ, რომი შპალერი კი ამქველია, მაგრამ თითონ კედელი სწორია. ჭურხე კი არც მზარებდა და არც წყლის ლაქები“. აჰა, მე სხვა რამეს ვუყურებ. – თქვა გოშამ. მან დაითვალა ცხოვრების ბუთი პერიოდი, ხუთი აშუაბა ფენა. იყო გვითელი, რომელიც ისევ ყვილით, მაგრამ უფრო მუქით ჩაენაცვლებინათ. მერე მთლიანად, მერე, თითქოს კონტრასტისთვის, მწვანე გადაკრათ. ბოლოს კი ეს ვარდისფერი, რომელზეც თეთრად რაღაც ანტიკური შენობები იყო დაბასული.

ეს ვარდისფერი, ეტყობა, ერთი და ორი წლის წინ არ გაუქრავთ. ფანჯარასანი სულ გახუნებულიყო, და იქ, სადაც ადრე ავეჯი იდგა, მკვეთრი ფერები ჰქონდა შენარუნებულს, თითქოს ყოფი-ბოლის კარავების და კომოდების წოდებლობა. ერთ ადგილას, უკვე არარსებული დივანის საბლოეცს, ციხის და ჭუჭყს კედელი არამართო გაეშუქებინა, გაეპრიალებინა კედელი.

გოშას და ნინას ავეჯი თითქმის არ ჰქონდათ.



სამაგიეროდ, ჰქონდათ ჩვიდმეტი ყუთი ნიგნები, ორი ყუთი კომპაქტ-დისკები, ორი ზურგჩანთა და სამი დიდი პოლიეთილენის პარკი ქინძები. კიდევ — დივანის ლეიბი დივანის გარეშე, ნოუთბუქი, პერსონალური კომპიუტერი და მუსიკალური ცენტრი.

გოშა ანტრეპოლის სიღრმისკენ მიიწვიდა და ნინასთვის ნაირნაირი ნიუთების გადამონოდებს აგრძელებდა.

— ოჰო, ეს, მგონი, კინოპროექტორია... ფირიც დეეს! — გაისმა ხმა სიბნელიდან. — გამომართმევ? ანდა იყოს, მე თვითონ.

გოშა ჩამობობდა, ყუთიდან ქრომირებული აგრეგატი მოჩანდა.

— ჯერ ნუ გადავაცვობ, იქნებ მუშობს... ეს ხო ანტიკვარია. მოიკა, ახლვე გაესინჯოთ...

— მაგრამ იფიქრეს, რომ ჯერ ანტრესოლის გასუფთავება უნდა დაეპრეზერვინათ და მერე ახალი სათამაშოები დაეთანადებინათ. ანტრესოლზე ყველაფერი დაეტია, ზამთრის ტანსაცმელიც, ნიგნებიც.

— ესეც ასე. იაპონელებივით ვართ — მინიმალური ნიუთები სახლში. — კმაყოფილმა თქვა გოშამ, როცა გადახედა დალაგებულ გასუფთავებულ ოთახს, რომლის კუთხეებში კომპიუტერი ორი ხალიჩით (ერთი — პატარა — მალსისთვის და მეორე — დიდი — კლავიტურის წინ ჩაძინებული ადამიანისთვის), მუსიკალური ცენტრი და ანტრესოლიდან ჩამოტანილი კინოპროექტორი იდგა. მეთხუე კუთხეში კი ლეიბი და ნოუთბუქი იდო.

— გაგრძობტებაც იოლი იქნება, — გააგრძელა გოშამ, — კედლებზე თეთრ ქაღალდს გავაკრავთ, ქერს შევავითარებთ და, მე მგონი, ცხოვრება შეიძლება. მარა აი, ლეიბი ტყუილად წამოვოდეთ. მოდი, გადავაცვოთ.

— როცა კედლებს და ქერს გავაკეთებთ, ყველაფერი გადავყაროთ. ახლა კი მე ამ ლეიბზე მინდა ძილი. — განახლებად წინას.

გოშამ ამასობაში პროექტორის და ფირის დათვალეურება დაიწყო.

— „ესთამი დოზა“, — ხმაშაღლა ნაიკითხა წარწერა ერთ-ერთზე. დახარჩენები წარწერების გარეშე იყო. ეს ალუმინის, მრგვალი კოლოფები რატომღაც ნალმებს ჰგავდნენ. გოშას ნაღმები ან მუზეუმში, ან ეთნომი ენახა, და ახლა, როცა ხელში იღებდა, ცხადად წარმოიდგინა: თითქოს შეწვლული კადრიაო, ისე იშლება კოლოფი წინელი ნახილებად, მერე აფეთქების ტალღა აფრიალებს კარს და ფანჯრებს, ანგრეც კედლებს. მაგრამ კოლოფიდან წარუჩადა გადმოვარდა და იტყუაზე გაგორდა. უკან კი ფირის მუქი ფაცისფერი, ზოლიანი შლიეფი მოიტოვა. გოშა ამ ზოლს კუდში სწვდა და სინაილზე გახედა.

— შესედე... — წინასზე მიბრუნდა და გამლი-

ლი ფირი ორივე ხელით გაუნოდა. — მგონი ხეები ჩანს... ბაგეტი ველოსიპედზე...

— ასე ვერაფერს გავარჩევ, ლუპაა საჭირო... ანტიპროექტორი ჩაერთოთ.

— რომც არ მუშაობდეს, მაინც მინდა, რომ ენახო. ერთი ნაცნობი მყავს, იმასაც რაღაც მსგავსი პროექტორი აქვს.

გოშა საკმაოდ სწრაფად გაერკვა აგრეგატში. ლერძს ფირი შემოახვია, ჭრილობა გაუყარა და დამჭერით დაამარჯა. ადამიანისთვის, რომელსაც ტექნიკური განათლება აქვს და სამი წელია, საკუთარი ხელით არემონტებს გაცილებით რთულ და თანამედროვე მექანიზმებს, ეს ამოცანა რთული არ იქნებოდა.

აქლიწინდა, რომ პროექტორი გამართულად მუშაობდა. ფირის გარეშე ხმაურობდა და ჭოჭოქინებდა, როცა ფირი დაამარჯეს, სტევენა და ჭრილობაც დაემატა. მიეღო ეს მექანიკური ნების შემაწუხებელი კი არ იყო, შიშაებედილობას ქმნიდა, რომ აგრეგატი ცოცხალი არსებდა. გოშამ კედლებზე ხეწარი გაჭიმა და ქინძისთაყვებით დაამაგრა. შუქი გამორთო.

ჯერ ცარიელი ფირი ტრიალებდა: ყვითელ მარიაკუთხედში ხელნაკეთი ეკრანის ოსოქები დათოვლილ მთებს ჰგავდა, ალგა-ალგა გამოჩენილი ნახვამურები კი — წვიმის, ცოტა ხანში ეს ყველაფერი გაქრა, რადგან მასზე ჯერ გზის იქით მდგარი ხეები გაჩნდა, მერე კი — პატარა ზოტი პანამით და სამთავლა ველოსიპედით.

ბიჭი თავისთვის მიკატაობდა, კამერისკენ არ იყურებოდა. კამერა მის გვერდით მიშავალ ადამიანს უშვებოდა, რომლის ჩრდილი ნაწილობრივ ეცემოდა კარს. ბიჭი იღებოდა და რაღაცას ამბობდა. ის ახლოვდებოდა და ის-ის იყო, ეკრანი უნდა შეეფსო, რომ კამერა ხელ-ხელა მძლავრა აინია და გვერდით წავიდა. კამერა შიშაშია უსწარმანსწორი ნაკლეჯბა გაივლიდა, ახლა ბიჭი უკვე შორედებოდა კამერას და გასაცხებდა გახდა, რომ ამ ყველაფერს ტანსაღალი ადამიანი იღებდა და როცა ბაგეტი მოუახლოვდა, ის ნამოდეგა, რომ გაეტარებინა.

ამის მერე ფირი განუცა და „კატუშკამ“ ცარიელმა დაიწყო ტრიალი და კიდევებით აპარატზე რახუნო. გოშამ აგრეგატი გააჩერა, ისევე ჩაჩრთა კატუშკამი ფირი, სკოტჩით დაანება.

— ნეტავ რამდენი წლისაა ეს ბიჭი ასობა? — იკითხა წინამ.

— მე მგონი, 80-იანებში იღებდნენ ასეთი კამერებით. ესე იგი, ეგ ახლა იქნება... მოიცა... — გოშამ კოლოფი აიღო. — აქ დაშაზდების თარიღი იქნება „სტევენა“. ათას ცრხაას ოთხმოცდაორი. ანუ ამაზე ადრე უფრო გადაიდებდნენ. ესე იგი, ოცდაათ წლამდე იქნება. ჩვენი ტოლი.

— თუ კოლოფი ამ ფირისაა.

შემდეგი სუფეტიც იყო რაღაც აბსურდული მაგ-თეორი ფილმი გასული საუკუნის მუნიცი კინოს სტილიში. მიიღო სცენას (კამერა, როგორც ჩანს, შტატოზე იდგა და გადაღება ერთი წერტილიდან მიიღობდა) ფაცისფერი, მასიური კარადა და საწოლი იკავებდა, რომელსაც შუაში გადასაფარებელი ფურცა. კამერის მხრიდან სცენას თეთრ საღამურში გამოწყობილი, მუქმიანი, მოკლედ თმამკურცხილი გოგონა მოუახლოვდა. საწოლს გადასაფარებელი გადააცალა და შეწვა. გამოჩნდა თეთრი პალიშეში, თეთრი სახანა. კამერა ახლი ზედიზე გვაჩვენებდა მის სახეს — კრიალა კანი, გრძელი ნაწამები, დიდი თვალები. გრძიმი ამ ყველაფერს კონტრასტულ, თოჯინურ იერს აძლევდა.

ამის მერე ოთახში უნიფორმაში გამოწყობილი ადამიანი გამოჩნდა, რომელსაც დურგლის ყუთი ეჭურა. იქიდან ხერხი, ცუ-

ლის ტარი და რაღაც უფრო წერილი ინსტრუმენტების მივლი თიავალი მოჩანდა. დურგალმა ყუთი საწოლთან დადგა, მისურის და ტრუსუნის გარდა ყველაფერი გაძირო, კარადაში დაკიდა და თავით გადაფარა საწოლში.

- აა... ახლა დაინყება... - თქვა გოშამ.
- რა?

- სექსი ინსტრუმენტების გამოყენებით. მაგრამ გოშას პროგნოზი არ განართლდა. ოთახში კიდევ ერთი კაცი შემოვიდა - ულვამებით, ოფიცირის ფორმაში. მან ფერით განია ღურვლის ყუთი, მის გვერდით თავისი პორტფელი დაბო, გაიხადა, ტანსაცმელი კარადაში დაკიდა. მუნდარი, ალკანულოზა და რეგოლეფერი თავისი ზუღიანად ზედა თაროზე განათავსა და ისიც საწოლში შეწეა. ნინას ვარუდი, რომ ესაა ქმარი, ხოლო დურგალი - საყვარელი, განათილდა შემდეგი ეპიზოდით, როცა კადრში გამოჩნდა მესამე, პიჯაკში გამოწყობილი სტუმარი, პორტფელით და აკურატული სათავალებით - საყვარულოდ, ჩინოვნიკი ამ მეციხერი.

- გოგოლა რა... და ეს გოგონა კი მშენიერი სოლხაა... - გაიციხა გოშამ.

ამ უცნაურ რიგში მიხვთე მღვდელი იყო, თეთრხალათიანი ექმის მერე.

- როდის დასრულდება ამითი მსვლელობა?

- იკითხა ნინამ მათე პერსონაჟზე. - ამ ჭალს, მე მგონი, უფრო საწილი აქვს.

- ალბათ როცა ფირი დამთავრდება. - თავდაჯერებულად უპასუხა გოშამ.

თამაჯი მეთერთმეტე კაცი არ მოსულა. კამერამ ახლო ხედით ისევ ქალის სახეზე გადაინაცვლა. ის იდმოხუდა. მისი ყველა სტუმარი თითოი საწოლის სიღრმეში გაუჩინარდა. ის ადგა, კარადას მოუახლოვდა დაკრიტიკულად შეათვალიერა, რაც იქ ეკიდა. მამაკაცის ტანსაცმლის რიგებით თხელი, საზაფხული, მოკლეხახლელებიანი, მსხვილი ყვევილებით მოხატული კაბა ამოარჩია. კამერამ ღია ფონზე ნაცრისფერი გვირგვინები დააფიქსირა. ფერები შეგვლო, გამოგვეცინა. მაგრამ გოშა დარწმუნებულყო იყო, რომ კაბა ცისფერი იყო და ამ ფონზე ოქროსფერი გვირგვინები ებნებოდა. კამერა ნელა დადევნებდა თვალს ქალს, სტუმრების დატოვებულ ჩანათებსა და პორტფელებს, გულისა და პროთესსაც კი, ხელფეხის და ზურგჩანახა (ერთი სტუმარი ტურისტია იყო, ერთი კი ცალფეხი ნივლიანი) და შეჩერდა ფარდაზე, რომლის იქით ფანჯარა ანათებდა. ქალმა საღამოური გადაიძირო, თითისწერებზე დადგა, გადაიხარა და წამში გაცეკვდა - მუქი, შშშშშევილი სილუეტეი მართკუთხედში. შემდეგ კაბა გადაიკეთა, ფარდები გადაწია. კადრში მკვეთარი შუქი შეიკრებდა, რომელშიც ყველაფერი ნაშალა, რაც კი ოთახში იყო, შემდეგ კი განჩნდა მუქი ფონი,

ფონზე კი ტიტრები: „სიკვდილის ნინამე ყველა თანხაბარი ერთი“.
- პოო... - თქვა ნინამ. - ესეც ახანა. მხიარული ვიღებოკ იყო. არც მსახიობების გვარები, არც რეჟისორის, ^{ნინა ბენდიანი}
- რა რა რა რა რა - ნამდერა გოშამ. - და რა რა რა რა რა რა... ნარწიმიდგევიან, როგორი მუსიკაც მოუხდებოდა ამ ფილმს. მოიცა, ეს ხომ იქვენი ფანჯარა ფილმში. აქ იღებდნენ. ფირებიც ამიტომია აქ...
- საინტერესოა. დანარჩენებზეც ასეთებია?
- მე მგონი, „ქათამი დოზაც“ რაღაც ეგეთი იქნება.

შემდეგი ფილმი ვილაცის ქორწილის ბანალური გადრები აღმორჩა. თმაშეკრეფილი ახალგაზრდა ბიჭი პალსტუხსა და პიჯაკში, ივე თეთრებში გამოწყობილი პატარაძალი, რომელიც ამკარად ორსულად ჩანდა. არაფერია იმაზე უფრო მოსაწყენი, ვიდრე სხვისი გაზამ-სამის ყურება. გოშამ უწყურად დაინყო სტუმრების გახმოვანება და პატარაძლისა თუ სიძის ნათესაგების პირით ათას უწამაწრობასს ამბობდა.

- გოშა, მოკეტე. არაა სასაცილო... - თქვა ნინამ.
- არაა სასაცილო, სერუოდ უყუროდ ამ ყველაფერს.

- სტოპ! - ნინამ უცებ მაგრად მოუჭირა ხელი გოშას. - შეხედე. სიკვდილი!

- სად? - გოშამ პროექტორი გააჩერა.

- აი, კართან. შეგიძლია, უკან გადაახვიო?

გოშამ ფირი გადაახვიდა. მართლაც, კარის ზღურბლზე ის მსახიობი ქალი იდგა, წარბანდელი ფილმინამ. მას ისევ ის გვირგვინიანი კაბა ეცვა, ამჯერად ზემოდან რაღაც მოიცვდა. ანას დამატებული მუქი კოლმოჭი და მაღალქუსლიანი ტუფლები. ის სუფრასთან არ დამჯდარა, არც არავის ესაუბრებოდა. თითქოს მხოლოდ აკვირდებოდა ამ ყველაფერს. ამის მერე კამერამ სხვაგან გადაინაცვლა და მთელი ფილმის მანძილზე ქალი აღარ გამოჩნდილა.

- რა არის გასაკვირი. - თქვა გოშამ. - ალბათ იმის მეგობარი, ვინც იღებს. სხვებიც ვნახოთ?


- სხვა დროს რა. რაღაც დავიღაც.

და მოუხდებოდა იმისა, რომ ნელამ ამტკიცებდა, ახალ ადგილას ცუდად ვიძინებო, ნინას მამიწე ჩაქიბი.

გოშა კი ხანს ეძებდა ინტერნატს, სადაც სულღირად ავად მყოფები მკურნალებდნენ. მისამართი სახლის ყოფილმა პატარონმა მოსცა, როცა გოშამ ფირების შესახებ დაურეკა. „ვლადიკი იღებდა მაც ფილმებს“. - აუხანა მან. - „ჩემი ძმისძვილი, მაგრამ რამდენიმე წელია, ინტერნატშია. ფირები კი აღარავის გვჭირდება“. როცა გოშამ ვლადიკის ნახვის სურვილი გამოთქვა, ქალს გაუხარდა: „მამინე მე ამ მათე-კურის აღარ მომიწევს მისი ნახვა. ერთი თოხენა მექნება, თუ არ მენუსხვებით, იქნებ საჭმელიც უყიდოთ“. და ამის შემდეგ პროდუქტორი გათელი სია უკარნახა.

და აი, ახლა, თავისი ძველისძვილი „კოპელი“ გოშა გზიდან გაუბეზა გადადიოდა. რამ აძულა, დაეწყო ეს უცნაური თიება და მოეყვანა ქალეკში, სადაც ქუჩები ორახიარად არ მკავს მკურნალებურგის ქუჩებს, გოშას ამის ახანა საკუთარი თივისთივსაც კი არ შეეძლო. რუკა რამდენიმე თვის წინ გადაახარო, როცა მანქანას ალაგებდა, ნავიგატორის დაყენება კი ეწერ მოასწრო. ადამიანები, რომელთაც ქუჩის სახელს ეუბნებოდა, სხვადასხვა მიმართულებით უთითებდნენ.

გიჟი ქალეკი - ტყუილად არ გაცუკუთებიათ აქ ინტერნატო. როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, შემოიღობილ შენიბას მიადგა. გოშას



ნაკითხული ჰქონდა, რომ პიტერში შენობების უმეტესობა ყვით-
ლადა შეღებილი — მზის ილუზია მუდმივად უტყურ ამინდში. სიგიჟე
ყველგან. საციფეთისგან განსხვავებით, ინტერნატის მთლიან ჯი-
ურში მუდომი დარჩა იცავდა. შენობა კი უფრო სკოლას ან სა-
ბავშვო ბაღს წაგავდა, ვიდრე სამკურნალო დაწესებულებას.

გოშამ უპრობლემოდ გაიარა დარბაზის ზონა და კბინებით
მეორე სართულზე ავიდა, სადაც პალატები იყო. აქ მოსვლამდე
ერთი კვირით ადრე მან დანარჩენი ფიერებიც შეისწავლა. ნინას
მორიგი ანგარიში ჰქონდა სამსახურში და სახლში მხოლოდ გვი-
ან საღამოსაც მიიღოდა. ამიტომ ფილემების უმეტესობას მარტო
გატყვნიდა. ყურებისას რამდენჯერმე დაიჭირა თავი იმამი, რომ
ყოველ კადრში იმ გოგონას ეძებდა, რომელმაც უცნაურ სამოყ-
ვარულო ფილმში სიკვდილი ითამაშა. მაგრამ არცერთ ფილმზე,
რომელიც ძირითადად ვიღაც ოჯახის ცხოვრებას ასახავდა, ის
არ გაბოშებულა. პატარაობი, სავარაუდოდ, იმ ბიჭის დედა იყო,
რომელიც პირველ ფილმში ველისაბეჭდზე იჯდა. „ქათამი დონა“
კი აღმოჩნდა ფილმი, რომელიც ყირიმში მოგზაურობასა და
რალაც პიკნიკს ასახავდა, სადაც არაფორმალუბის კომპანია ნა-
კვერჩხალზე წვავდა ქათამს.

დერეფანში გოშას ხელი მოხუცმა, დანაოჭებულმა, პიფამში
გამოწყობილმა კაცმა ჩააგდო.

— ჩემი მეგობარი მოვიდა. — გამოაცხადა გახარებულმა. —
საჩუქრებში მომიტანა.

სანამ გოშა გონს მოვიდოდა, მან საგარქველად მიიყვანა, სა-
დაც ჯინსის შარვალას და ზოლიან ჯეიმზში გამოწყობილი კაცი
იჯდა, ნივთი ხელში. ის, სავარაუდოდ, ამ ინტერნატის კურა-
ტორი, ან, სულაც, მწახველი უნდა ყოფილიყო.

— კოლია, მეგობარი მესტუმრო, საჩუქრები მომიტანა.

— შენვე. — გულგრილად უპასუხა კაცმა.

ამ დროს გოშამ დერეფნის ბოლოს თეთრხალათიანი ექთანს
დაინახა და მისკენ წავიდა.

პატარა კაცი აედგინა.

— მომიცი რამე გემრიელი. — სთხოვდა ის. მომიცი, გთხოვ.

გოშამ ჩანთით ქექვა დაინახა, რომ ბანანი ან ოგურტი ამოუ-
ძვრია, მაგრამ ექთანმა ანიშნა, რომ შეჩერებულიყო.

— სერიოზო, — მკაცრად თქვა ქალმა. — ეს ადამიანი შენთან არ
მოსულა. დაატეხე თავი.

მეტი გოშას მიუბრუნდა.

— გისთან ხარო?

გოშას საყვარელი ფილმი მომუშავე გოგონები გაახენდა, სადაც
ერთხელ თავისი ახლოდღის სანახავად მივიდა. სამკათოური, სასაკო-
ლო გოგონები მოკლე ხალათებში. — სტუდენტები თუ მედნისტი-
ტუტის აბლაღურსადამაზარებლები. რალაც მსუბუქი, როტიკული
იყო მთელ მათ გარეგნობაში, რომელიც არანაირად არ მოდიოდა
პარმონიანი საციფეთის მძიმე ზეგონთან და არასექსუალურ ატმოს-
ფეროსთან. იქ ყველაფერი მკაცრი და სერიოზული იყო.

როცა გოშამ ვლადისლავი ასხენა, ექთანს სახე ერთბაშად
გაუღულა და კეთილ გლენის გოგოს დაემსგავსა. გოშამ უთხრა,
რომ ის ვლადის შორეული ნათესავია.

ვლადისლავის პალატაში მიმწვარი შერის დაფის სუნი იცავდა.
გოშას ბავშვობიდან ახსოვდა ეს სუნი — სტანდარტული საუზმე —
გახეხილი სტაფილი, ფანა რძით ან ხაჭო. დედას ხშირად ეჩქარე-
ზოდა და ცდილობდა, ერთბაშად რამდენიმე საქმე მოეხსნა. შოდა
ფაფა ხან ქვაბიდან გადმოდიოდა, ხან მიიწვებოდა ხოლმე.

ვლადისლავი სტაფილი, ხან რძით დაიშრონდა, როგორც გოშას წარმოე-

დგინა. — მაღალი, გამხდარი, ცუდად გააჩნდა ვლადისლავი,
შემელოტებულმა მამაკაცად. ის საწილზე იჯდა და
იტყვა მიმტურებლად.

— ვლადიკ, მოგაკითხეს. — უთხრა ექთანს
გლენის ქალმა.

ვლადიკმა გულგრილად შეხედა გოშას.

— ვლადისლავ, გამარჯობა. — დაინკო გოშამ.

— ოღვა ვეტირებუნა ძალიან დატირებულა და
მთხოვა, მომენახულებინებო. შემდეგში თვითონ
მოვა.

ვლადისლავი დედა, თუშვა ცახხეც ცნო-
ბისმოგვარობა დაუტყო. გოშამ ჩანთიდან
პოლიეთილენის პარკი ამოიღო და ამოალავა
ოიგურტები, ბანანები, პეპსი-კოლა, ორცხობილი,
კინოს შესახებ ჟურნალის ბოლო ნომერი.

— მე თქვენს ფილმები ვნახე. — თქვა გოშამ.

ვლადისლავმა ხელი ჩაიჭრა.

— დიდი ხანია, არაფერს ვიღებ. აქ არ შეიძლება.

— ძალიან საინტერესო ფილმებია. შავალი-
თად, ის, „სიკვდილის წინაშე ყველა თანასწორია“.

— არაფერი განსაკუთრებული.

— ძალიან მომეწონა მთავარი პერსონაჟი
ქალი, რომელმაც სიკვდილი ითამაშა. ურთიერ-
თობით მასთან? არ იციო, სადაა ახლად?

— არ ვიცი. — მშვიდად უპასუხა ვლადმა. —
და არც მინდა, ვიცოდე. მე არაფერს არ ვიღებ.

შეიძლება, ვეძიო?

ვლადმა პეპსი-კოლა დაისხა და ბანანის
გაფუქცნა დაინახო, თითქოს ველარც კი ამწრედა
სტუმარს.

გოშა ქუჩაში გავიდა და თავისი მანქანისკენ
გემართა. ქუჩაზე გადასვლა რომ დააპირა, აე-
ტობუსი შეჩერდა, რომ მისთვის გადასვლის საშუ-
ალება მიეცა, ამ დროს გამოფარდა „აუდი“. გოშამ
წამით თვალს მოჰკრა რალაც დედას და წითელს
და ამის მერე სამყარო ამოყარა. ტკივილს და
გარშემო ხმაურს არ გრძობდა, ჩიტების უსას-
რული ფივივიც ესმოდა მხოლოდ.

გოშამ ხედავდა მანქანის ზორბლებს, ქალის
ნატივ ფეხებს ნატივ ტულუფებში და ზავფულს
კბის ბოლოს — მუქ ვარდისფერ გვირგვინს ღია
ვარდისფერ ფონზე. ქალი მის თავთან დაისარა.

გოშამ იცნო ისიც და მისი კაბაც. მაგრამ...

— ცოცხალია. — ჟივფივებდნენ ფრინველები.

— სუნთქავს!..

— ეს ის ფერები არ არის... — დაიჭურჩულა
გოშამ.

ქალმა პირი გააღო, მაგრამ ხმა არ გაუღია,
უჩინარმა ჩიტებმა დაიჭურჩივეს...

— რა? რა?

— და გოშამ კიდევ უფრო გასაგებად წარ-
მოთქვა:

— ეს ის ფერები არ არის.

რუსულიდან თარგმნა ლელა კოდლაშვილი



ՆԱԲԱԾՆԵՐԸ
ՆՈՅՔՈՒՄՈՒՅՆ

ISSN 0134-9648



9 770134 984002

ՆԱԲԱԾՆԵՐԸ